

პავლე სამსონაშვილი

ჰიდროელექტროსადგურებში სადგურშიგა რეჟიმების
ოპტიმიზაციის საკითხები

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
იანვარი 2013 წელი

© საავტორო უფლება პავლე სამსონაშვილი, 2013 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით პავლე სამსონაშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „ჰიდროელექტროსადგურებში სადგურშიგა რეჟიმების ოპტიმიზაციის საკითხები” და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი: სრული პროფ. ჯ. კილასონია

რეცენზენტი: აკად. დოქტორი რ. პატარაია

რეცენზენტი: აკად. დოქტორი თ. არშბა

რეცენზენტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2012 წელი

ავტორი:	სამსონაშვილი პავლე	
დასახელება:	„ჰიდროელექტროსადგურებში რეჟიმების ოპტიმიზაციის საკითხები”	სადგურმიგა
ფაკულტეტი :	ენერგეტიკისა	და ტელეკომუნიკაციის
აკადემიური ხარისხი:	დოქტორი	
სხდომა ჩატარდა:	თარიღი	

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

მადლიერება

ავტორი მადლობას უხდის დისერტაციის სამეცნიერო
ხელმძღვანელს

სრულ პროფესორს ჯემალ კილასონიას, ჰიდროენერგეტიკული
დანადგარებისა და სამილსადენო სისტემების მიმართულების
ხელმძღვანელს სრულ პროფესორს იური ლომიძეს და მიმართულების
პროფესორ-მასწავლებლებს სამუშაოს შესრულების ყველა ეტაპზე გაწეული
კონსულტაციებისათვის.

რეზიუმე

გაანალიზებულია პიდროელექტროსადგურების როგორც სადგურშიგა რეჟიმის, ასევე მოკლევადიანი და ხანგრძლივი რეჟიმების თავისებურებები და შეფასებულია თვითეული მათგანის როლი ენერგოსისტემის ფუნქციონირებაში. ვრცლად არის განხილული სამივე რეჟიმის, განსაკუთრებით სადგურშიგა რეჟიმის ოპტიმიზაციის საკითხები. შეფასებულია ელექტროენერგიის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის თავისებურებების გავლენა სადგურშიგა რეჟიმის ოპტიმიზაციის ეფექტურობაზე. აღნიშნულია გეგმიური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლასთან დაკავშირებით ტენდეცია დეცენტრალიზაციისკენ რეჟიმიების მართვაში, რაც უფრო აქტუალურს ხდის ელექტროსადგურების, კერძოდ, პიდროელექტროსადგურების სადგურშიგა რეჟიმების ოპტიმიზაციის მეთოდების სრულყოფას თვითონეული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით. მოყვანილია ტექნოლოგიური და სხვა სახის შეზღუდვების სისტემა და ოპტიმალურობის კრიტერიუმები. დასაბუთებულია დინამიკური პროგრამირების მეთოდის უპირატესობა პესის სადგურშიგა ოპტიმალური რეჟიმების გაანგარიშებაში. აღნიშნულია ცალკეული პესის სადგურშიგა რეჟიმის ოპტიმიზაციის კავშირი მთლიანად ენერგოსისტემის რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანასთან და მისი როლი ამ უკანასკნელის გადაწყვეტაში. ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ ელექტროსადგურების არასაკმარისად შეთანხმებული ფუნქციონირებას ახალ საბაზრო პირობებში მივყვართ წყლის უქმი გადაგდების, წყალსაცავების ვადაზე ადრე დაცლისა და ცალკეული პიდროელექტროსადგურების არაოპტიმალური დატვირთვებისკენ. ამიტომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში აქტუალურად რჩება ენერგოსისტემების გრძელვადიანი ოპტიმალური რეჟიმების დაგეგმვა მათი შემდგომში ოპერატიული კორექტირების შესაძლებლობით. იმასთან დაკავშირებით, რომ ელექტროენერგიის ბაზარს გააჩნია თავისი კრიტერიუმები და იმისათვის, რომ თანხმობაში იყოს ტექნოლოგიური და საბაზრო ეფექტურობა, უყურადღებოდ არ დაგვრჩენია კრიტერიუმების იერარქიის დადგენის საკითხიც. წარმოდგენილი კრიტერიუმებს გააჩნია გამოყენების განსაზღვრული არე, ისინი დაკავშირებულია ერთმანეთთან და ურთიერთ-დამოკიდებულებია.

იმის გამო, რომ ელექტროენერგიის მოხმარების განუსაზღვრელობა ობიექტური რეალობაა, ხოლო პროგნოზების

აბსოლუტური სიზუსტის მოთხოვნა აბსურდული, სადისერტაციო ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტისას საწყისი ინფორმაციის შემთხვევითი ხასიათის გათვალისწინებას, ხოლო ისეთი შემთხვევებისთვის როცა ვერ ხერხდება საწყისი ინფორმაციის ალბათური აღწერაც, – მინიმაქსური კრიტერიუმებით სარგებლობას, რომლებიც ფართოდ გამოიყენება თამაშების თეორიაში.

იმასთან დაკავშირებით, რომ პესების პიდროაგრეგატების ენერგეტიკული მახასიათებლები საწყისია ოპტიმიზაციური ამოცანების გადასაწყვეტად, სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია მახასიათებლების ანალიზი და ვრცლად არის განხილული მათი აპროქსიმაციის და კომპიუტერის მეხსიერებაში შენახვის საკითხები.

მოცემულია პიდროაგრეგატორსადგურის სადგურშიგა რეჟიმის ოპტიმიზაციის ძირითადი ამოცანის მათემატიკური ფორმულირება, პესის ოპტიმალური ენერგეტიკული მახასიათებლის აგების ალგორითმი და პიდროაგრეგატების შემადგენლობისა და რეჟიმების მართვის ალგორითმი დინამიკური პროგრამირების მეთოდის გამოყენებით. განხილულია აგრეთვე ცალკეულ შემთხვევებში სხვა მათემატიკური მეთოდების, კერძოდ, შტოებისა და საზღვრების და ვარიანტების მიმართული გადარჩევის მეთოდების გამოყენების საკითხები. რამდენადაც რეჟიმის ოპტიმიზაციის რთული ამოცანების რიცხვითი ამოხსნების გარდა, მიზანშეწონილია ამ ამოცანების გამარტივებული ვარიანტების ანალიზური ამოხსნების ქონა, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს ამოვიცნოთ პესების რეჟიმების ოპტიმალური მართვის ძირითადი კანონზომიერებები, რაც თავის მხრივ იძლევა რიცხვითი მეთოდების ამოხსნების კორექტირების კონტროლის საშუალებას, განხილულია, აგრეთვე გამარტივებულ შემთხვევებში ვარიაციული აღრიცხვის მეთოდების, პირველ რიგში ლაგრანჯის მამრავლის მეთოდის გამოყენების საკითხები. მოცემულია აღნიშნული ალგორითმების მიხედვით შედგენილი კომპიუტერული პროგრამის აღწერა, მისი გამოყენებით ჩატარებული გაანგარიშებებით მიღებული შედეგები და მათი ანალიზი.

Summary

Characteristic features of Hydro Power Stations as an intra-station regime, as well as short term and long term characteristics have been analyzed and their role in the functioning of energy system has been estimated. The matters related to optimization of all three regimes and especially intra-station regime, have been widely discussed. The influence of the peculiarities of the technological process related to energy production on the efficiency of the intra-station regime optimization has been assessed. The tendency related to changing scheduled economy by the market economy in the process of managing regimes towards decentralization has been also mentioned, which makes it more actual to complete the intra-station regime optimization methods of the power plants and particularly of the hydro power plants, considering the specifics of each project. The system of technological and other limitations are mentioned, with its optimality criteria. Priority of dynamical programming method for calculating intra-station optimal regimes has been substantiated. The link of the intra-station regime optimization of separate HPP-s to the energy system regime optimization task and its role in the solution of the latter has been mentioned. Besides, it is mentioned, that due to insufficient functioning of the HPP-s on the background of the new market leads us towards an idle diversion of river water, the discharge of reservoir water earlier than needed and towards non-optimal loading of separate HPP-s. Due to this, under the conditions of market economy it is optimal to plan a long term optimal regimes of the energy system with a possibility of their future correction. Due to the fact, that the energy market has its own criteria and due to the necessity of its being consistent with technological and market efficiency, the matter of determining hierarchy criteria has become the issue of discussion. The presented criteria have their own area of application, which are interconnected with each other and are interdependent.

Due to the fact that non-determination of power consumption requirements is an objective reality and a requirement for the absolute precision in this case is a real absurd, a great deal of attention is paid to the consideration of occasional character of the initial information in the dissertation work, but in such cases, when it is impossible to provide a probable description of the initial information - an attention is paid to the use of minimum and maximum criteria, which are widely used in the game theory.

Due to the fact that the energetic characteristics of the HPP aggregates are initial for solving the optimization tasks, the dissertation work describes analysis of characteristics, including discussion of approximation and the issues of keeping them in the computer memory.

Mathematical formulation of the main task of HPP regime optimization is also provided, including the algorithm of creating optimal energetic properties and the algorithms of HPP structures and regime management by using dynamical programming method. Also the issues related to the use of selection methods for the boundaries and variants of other mathematical methods for separate cases have been also discussed.

As long as it is recommended to have analytical solving of the simplified variants of the mentioned tasks, besides solving of the difficult tasks of regime optimization, which would give us a possibility to find main regulations of optimal management of HPP regimes, which in itself gives a possibility to control the solving correction process, it is also discussed in the work, including variation estimation methods in the simplified cases and first of all the issues of using the Lagranzhe multiplier factor method. Description of the computer program based on the mentioned algorithms and the calculations carried out by using them, their results and analysis have been also discussed.

შინაარსი

შესავალი	XII
თავი I. საპითხი შმიდავლის თანამედროვე	
მდგომარეობის ანალიზი. - - - - -	15
1.1. ჰიდროელექტროსადგურების და ელექტროენერგოტიკული სისტემების რეჟიმების ოპტიმიზაციის	
თანამედროვე კონცეპციები - - - - -	15
1.2. ჰიდროენერგეტიკული დანადგარების მოკლევადიანი რეჟიმების გაანგარიშების საკითხები - - - - -	20
1.3. ჰიდროენერგეტიკული დანადგარების გრძელვადიანი რეჟიმების გაანგარიშების საკითხები. - - - - -	41
თავი II. ჰიდროელექტროსადგურების სადგურება	
რეზიმების კვლევის მეთოდიკის შემუშავება - - - - -	44
2.1. ამოცანების დასმა და მათემატიკური ფორმულირება - - -	44
2.2. გამოყენებული მათემატიკური აპარატი - - - - -	59
თავი III. ჰიდროელექტროსადგურების სადგურება	
რეზიმების ოპტიმიზაციის ალგორითმი და კომპიუტერული პროგრამა - - - - -	72
3.1. ჰიდროელექტროსადგურის ენერგეტიკული მახასიათებლების აგების ალგორითმი - - - - -	72
3.2. ჰიდროაგრეგატების შემადგენლობისა და რეჟიმების მართვის ალგორითმის შედგენა. - - - - -	77
3.3. ენერგეტიკული მახასიათებლების აპროქსიმაციის საკითხები - - - - -	89
დასკვნები - - - - -	95
გამოყენებული ლიტერატურა - - - - -	100

ცხრილების ნუსხა

ცხრილები არ არის ნაპოვნი განახლებისთვის დააწერით F9 ღილაკს.

ნახაზების ნუსხა

ნახ. 1.1. დატვირთვის ოპტიმალური განაწილება ჰეს-სა და ოეს შორის P_b და $\lambda_{\text{ჰეს}}$ მოცემული მნიშვნელობებისას. - - - - -	28
ნახ.1.2 $\lambda_{\text{ჰეს}}$ -ის გავლენა ჰეს-ის მუშაობის რეჟიმზე დატვირთვის დღედამურ გრაფიკში. - - - - -	30
ნახ. 1.3 $B_u(\lambda_{\text{ჰეს}})$ -ის და $W_{\text{ჰეს}}(\lambda_{\text{ჰეს}})$ -ის დამოკიდებულებები. - -	31
ნახ. 1.4. ჰეს-ის ჩამრთველი აგრეგატების ცვალებადი რიცხვის გავლენა ენერგოსისტემის მუშაობის რეჟიმზე - - - - -	34
ნახ. 1.5. ჰეს-ის გასწორებული მახასიათებელი - - - - -	36
ნახ. 3.1. სადგურშიგა ოპტიმიზაციის გამსხვილებული ბლოკ-სქემა დინამიკური პროგრამირების მეთოდის გამოყენებით. - - -	85
ნახ. 3.2. სარჯვითი მუშა მახასიათებლის ნიმუში. - - - - -	92
ნახ. 3.3. აგრეგატის ნატურული მუშა მახასიათებლის ნიმუში. - - -	
ნახ. 3.4. სიმძლავრითი მუშა მახასიათებლების ინტერპოლაციის ბიჯის განსაზღვრის დიაგრამა. - - - - -	94

შესავალი

საკითხების წრე, რომლებიც ეხება ჰიდროენერგეტიკული რესურსების ეფექტური გამოყენების პრობლემას ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციის პერიოდში, ძირითადად მოიცავს ელექტროენერგიის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფის ამოცანებს და, თუ წყალსაცავების წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების ამოცანების გადაწყვეტაში მიღწეულია საქმაოდ შთამბეჭდავი შედეგები, სხვა სურათია ჰიდროაგრეგატების რეჟიმების ოპტიმიზაციის სფეროში. ჯერ კიდევ არასაქმარისად არის დამუშავებული და გაშუქებული ჰესის მომუშავე აგრეგატების შემადგენლობისა და მათ შორის დატვირთვის განაწილების მეთოდიკა. განსაკუთრებით მცირე ყურადღება აქვს დათმობილი ჰესის აგრეგატების შემადგენლობის არჩევას სადგურშიგა ოპტიმიზაციის პოზიციებიდან.

გეგმიური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლამ ისევე, როგორც სამეურნეო მოღვაწეობის სხვა დარგების, შეცვალა ელექტრონერგეტიკის განვითარებისა და ფუნქციონირების პირობები. კერძოდ, შეიმჩნევა ტენდეცია დეცენტრალიზაციისაკენ რეჟიმების მართვაში და ობიექტის ცალკეული მესაკუთრეების სწრაფვა ინდიკირდულური სარგებლობის მიღწევისგან. ეს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ელექტროსადგურების, კერძოდ, ჰიდროელექტროსადგურების სადგურშიგა რეჟიმების ოპტიმიზაციის მეთოდების სრულყოფას თვითონეული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ჰიდროელექტროსადგურის (ჰესის) სადგურშიგა რეჟიმის ოპტიმიზაცია, გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს ჰიდროენერგორესურსების მოცულობით შეზღუდული და დროით რეგლამენტირებული მარაგების რაციონალურ გამოყენებას, ზოგად შემთხვევაში არეგულირებს ენერგოსისტემის დატვირთვასა და სიხშირეს, რაც დაკავშირებულია აგრეგატების მუდმივი ჩართვასა და გამორთვებთან, აგრეგატებს შორის დატვირთვების სისტემატურ გადანაწილებასთან.

პესი, როგორც სამრეწველო საწარმო, ცდილობს თავისთვის რაც შეიძლება რაციონალურად გამოიყენოს მოცულობით შეზღუდული და დროში რეგალმენტირებული პიდროვენერგორესურსები. ამასთან ერთად იგი მონაწილეობს ენერგოსისტემის საერთო დატვირთვის დაფარვაში, რაც განსაზღვრავს მისი რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანის ზოგადსისტემურ ხასიათს, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული მთელი ელექტროენერგეტიკული წარმოების თავისებურებებთან.

პესის სადგურშიგა რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანას გააჩნია რამდენიმე ძირითადი ქვეამოცანა, მათ შორის დღედამური რეჟიმის დაგეგმვა და მისი კორექცია პესის ენერგოსისტემაში მუშაობის პირობების ცვლილების გათვალისწინებით. მათემატიკური განსხვავება ამ ქვეამოცნებს შორის განისაზღვრება მხოლოდ საანგარიშო პერიოდით, რაც იძლევა ზოგადი ამოცანის დასმის შესაძლებლობას, რომელსაც დაემატება შემდგომ სხვადასხვა პესების თავისებურებების ანალიზი. ტექნოლოგიური პროცესის ყველა თავისებურებების კორექტული გათვალისწინებისაგან დიდად არის დამოკიდებული პიდროვენერგორესურსების გამოყენების ეფექტურობა მთლიანობაში, რაც სადგურშიგა რეჟიმების ოპტიმიზაციის ამოცანას ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

თუ პიდროკვანძებს მხოლოდ ენერგეტიკული დანიშნულება გააჩნია, მაშინ მათი მუშაობის რეჟიმი მთლიანად განისაზღვრება იმ ენერგოსისტემის მოთხოვნებით, რომლებშიც ისინი შედის. მნიშვნელოვნად უფრო რთულია კომპლექსური დანიშნულების პიდროკვანძის შემთხვევა, როცა მისი მომსახურების არეალს შეადგენს არა მხოლოდ ენერგეტიკა. ამ შემთხვევაში ჯერ ყალიბდება შეზღუდვების სისტემა, რომელიც ახდენს წყლის რესურსების განაწილების რეგალმენტირებას, ხოლო შემდეგ წყდება პესის ენერგეტიკული რეჟიმების გაანგარიშების ამოცანები, მაგრამ უპა აღნიშნული შეზღუდვების გათვალისწინებით.

ელექტროენერგეტიკაში არსებული მართვის იერარქიის გათვალისწინებით პესის რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანა პირობითად იყოფა რამდენიმე გაანგარიშების ეტაპად, დროსა და სიგრცეში

ურთიერთდაკავშირებული ცვლადებით: პესის ოპტიმალური გრძელვადიანი რეჟიმის გაანგარიშება; პესის მოკლევადიანი რეჟიმის გაანგარიშება; პესის ძირითადი მოწყობილობის ოპტიმალური სადგურშიგა რეჟიმის გაანგარიშება. პირველი ორი ამოცანა ზოგადსისტემურია. მესამე ამოცანის გადაწყვეტა ხდება პიდროაგრეგატების მუშაობის დამყარებული ნორმალური პირობებისათვისა და გარდა იმისა, რომ აქვს თავისთავადი მნიშვნელობა, წარმოადგენს ინფორმაციულ ბაზას სხვა ამოცანებისათვის. რამდენადაც სამივე რეჟიმი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და გავლენას ახდენენ ერთმანეთზე, ნაშრომში ძირითად თემაზე – პესის ძირითადი მოწყობილობების სადგურშიგა რეჟიმის გაანგარიშების მეთოდებზე გადასვლამდე განხილულია პესის მოკლევადიანი და გრძელვადიანი რეჟიმების გაანგარიშების საკითხები.

მოცემულია პიდროელექტროსადგურის სადგურშიგა რეჟიმის ოპტიმიზაციის ძირითადი ამოცანის მათემატიკური ფორმულირება, პესის ოპტიმალური ენერგეტიკული მახასიათებლის აგების ალგორითმი და პიდროაგრეგატების შემადგენლობისა და რეჟიმების მართვის ალგორითმი დინამიკური პროგრამირების მეთოდის გამოყენებით. განხილულია აგრეთვე ცალკეულ შემთხვევებში სხვა მათემატიკური მეთოდების გამოყენების და ენერგეტიკული მახასიათებლების აპროქსიმაციის საკითხები. მოცემულია აღნიშნული ალგორითმების მიხედვით შედგენილი კომპიუტერული პროგრამის აღწერა, მისი გამოყენებით ჩატარებული გაანგარიშებებით მიღებული შედეგები და მათი ანალიზი.

თავი I. საპითხო შესრულების თანამედროვე მღვმელთა ანალიზი.

1.1. ჰიდროელექტროსადგურების და გლექტროენერგეტიკული სისტემების რეჟიმების ოპტიმიზაციის თანამედროვე კონცეფციები

ეკონომიკის ელექტროენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე საბაზო გარდაქმნების მიზანია ელექტროენერგეტიკის მუშაოების ეფექტურობის ამაღლება საბოლოო მომხმარებლისათვის: ელექტროენერგიაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის დაკმაყოფილება და მისი ღირებულების შემცირება, მოწოდებული ენერგიის და მომსახურების ხარისხის გაზრდა, პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება, ინვესტიციების მოზიდვა აუცილებელი მოცულობებით და ა.შ. ელექტროსადგურების არასაკმარისად შეთანხმებული ფუნქციონირებას ახალ საბაზო პირობებში მივყავართ წყლის უქმი გადაგდების, წყალსაცავების ვადაზე ადრე დაცლისა და ცალკეული ჰიდროელექტროსადგურების არაოპტიმალური დატვირთვისაკენ. ამიტომ საბაზო ეკონომიკის პირობებში აქტუალურად რჩება ენერგოსისტემების გრძელვადიანი ოპტიმალური რეჟიმების დაგეგმვა მათი შემდგომში ოპერატორული კორექტირების შესაძლებლობით.

საბაზო ურთიერთობები გულისხმობს, რომ თვითოვეული მეწარმე დამოუკიდებლად იდებს გადაწყვეტილებას, თუ რამდენი ენერგია და დროის რომელ მომენტში უნდა აწარმოოს. არსებობს მოსაზრება, [1], რომ ენერგრტიკული სისტემებისათვის, რომლებშიც ჰქენების წილი მცირეა ელექტროენერგიის გამომუშავებაში, ასეთი მიდგომა გამართლებულია. ელექტროენერგიის წარმოების მოცულობა განისაზღვრება ბაზარზე მოთხოვნით, სათბობის მარაგით, ტექნიკური შეზღუდვებით და შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებლად დროის სხვადასხვა ინტერვალში. ყველა რყევები, დაკავშირებული წყალსაცავში წყლის შემოდინების განუსაზღვრელობასთან, ჰქენებზე

გამომუშავების მცირე წილის შემთხვევაში შეიძლება გასწორდეს თბოსადგურების რეზერვებით.

ენერგეტიკული სისტემებისათვის, რომლებშიაც ჰქონდების წილი დიდია ელექტროენერგიის წარმოებაში (საქართველოს გარდა ასეთი ქვეყნებია ბრაზილია, ახალი ზელანდია და სხვ.), ენერგოსისტემის მდინარის ჩამონადენის რეგულირებასთან მიბმულობის გამო, ამ მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს შემდეგი ნეგატიური შედეგები:

- წყლის რესურსების არაპტიმალური გამოყენება;
- თბოსადგურებზე სათბობის ეკონომიურად არაეფექტური გამოყენება;
- ელექტროენერგიის დროებითი დეფიციტის წარმოქმნა.

თუ მიმდინარე ინტერგალში ჰქონდეს ელექტროენერგიის გამომუშავებას (იყენებს წყლის დამატებით მოცულობებს), რომ დაზოგოს სათბობი თბოსადგურზე (ან მიიღოს დამატებითი მოგება), მაშინ მომდევნო პერიოდში, თუ ისინი იქნება წყალმცირე, შეიძლება მოხდეს თბოსადგურების არაეკონომიური დატვირთვა, ხოლო მათში სათბობის უკმარისობისას – ელექტროენერგიის დეფიციტი. თუ კი მიმდინარე პერიოდში ჰქონის იმარაგებს წყალს მომავალში გამოსაყენებლად, მაშინ მომდევნო წყალუხვი პერიოდების შემთხვევაში არის ალბათობა, რომ საჭირო გახდება თბოსადგურის არაეკონომიური განტვირთვა ან წყლის უქმი გადაგდება.

მაშასადამე, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ენერგოსისტემის, რომელშიც პიდროელექტროსადგურების წილი ელექტროენერგიის გამომუშავებაში მნიშვნელოვანია, ეკონომიურად ეფექტური მუშაობა, და ენერგო რესურსების ოპტიმალური გამოიყენება, აუცილებელია რეჟიმების ცენტრალიზებული დაგეგმვა ციკლში, რომელიც გაითვალისწინებს ჰქონის რეჟიმების გაძლოლის თავისებურებებს. რეჟიმების დაგეგმვის მეთოდიკა უნდა შეიცავდეს აუცილებელ ცვლილებებს და დამატებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკაში ურთიერთობების საბაზო ხასიათს [2, 3, 4].

პიდროელექტროსადგურების და ელექტროენერგეტიკული სისტემების რეკიმების ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტის ეფექტურობის ამაღლების უპირველესი გზაა ოპტიმიზაციის შესაბამისი მათემატიკური მეთოდების გამოყენება, რაც თხოულობს მათემატიკური მოდელების და ალგორითმების გამოყენებას. ზოგიერთი ამოცანის გაანგარიშების შედეგები მოყვანილია [5] მონოგრაფიაში. თუ პეტე ავირჩევთ მომუშავე აგრეგატების ოპტიმალურ რიცხვს ოპტიმიზაციის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, მაშინ სადგურის მ.ქ.პ. ამაღლდება 3–5%-ით (აქ რეკომენდირებულია ვარიანტების მიმართული გადარჩევის მეთოდი). თუ მოხდება წყალსაცავის წყლის რესურსების გამოყენების რეკიმის ოპტიმიზაცია სხვადასხვა წყლიანობის წლებში – 5–10%-ით (რეკომენდირებული გრადიენტული მეთოდი და ლაგრანჯის მამრავლების მეთოდი). თუ სისტემაში ოპტიმალურად განაწილდება დატვირთვა, მაშინ სათბობის გადამეტწვა შემცირდება – 2–5%-ით (რეკომენდირებულია არაწრფივი პროგრამირების მეთოდების კომპლექსი [6, 7, 8, 9]. ელექტროენერგების ოპტიმალური რეკიმი – მივყევართ ელექტროენერგიის დანაკარგების შემცირებამდე 1–5%-ით.

ოპტიმალურობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მაგრამ პირველ რიგში შესაძლო ვარიანტების რიცხვზე. მაგალითად თუ ელექტროენერგიის სიჭარბეს აქვს ადგილი, მაშინ შეიძლება იყოს ალტერნატივები.

ენერგეტიკაში წარმოიშვება პრინციპული შეკითხვა – როგორ წარიმართოს ოპტიმიზაციის პროცესი? საწარმოო შესაძლებლობებიდან გამომდინარე თუ საბაზო შეხედულებებიდან. ინვესტიციების ეფექტურობას უზარმაზარი როლი გააჩნია ენერგეტიკის განვითარებაში. არც ერთი ინვესტორი არ ჩადებს სახსრებს წარმოების განვითარებაში, თუ მას შემდგომში იგი ვერ გამოიყენებს ეფექტურად. მაშასადამე, ბუნებრივი გზაა – „წარმოების ტექნიკური შესაძლებლობების ეფექტური გამოყენებიდან კომერციულ შეღებამდე“. ამ პრინციპის გამოყენებისას ერთეული ძირითადი კითხვაა – რომელი მაჩვენებელი ან მაჩვენებლები იქნას მიღებული შეფასების კრიტერიუმად? სახალხო მოხმარების საქონლისა და სამრეწველო საქონლის კომერციული საწარმოებისთვის – ეს არის მოგება. ენერგეტიკისათვის მოგება არ

შეიძლება იყოს კრიტერიული მაჩვენებელი. ენერგეტიკა არის საზოგადოების სიცოცხლის უზრუნველყოფის არე, მისი როლი განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარებას, სახელმწიფოს პოლიტიკურ მდგრადობას, მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე კრიტერიუმი შეიძლება იყოს მხოლოდ დანახარჯები ელექტროენერგიის და სიმძლავრის წარმოებაზე, ხოლო ბაზრის წესებს უნდა მიენიჭოს მხოლოდ დამხმარე, მაკორექტირებელი, და არა მთავარი როლი.

ელექტროენერგიის ბაზარს გააჩნია თავისი კრიტერიუმები და იმისათვის, რომ თანხმობაში იყოს ტექნოლოგიური ეფექტურობა და საბაზრო, აუცილებელია კრიტერიუმების იერარქიის დადგენა. ამასთან შეიძლება გამოყენებული იქნას ოპტიმიზაციის კრიტერიუმების შემდეგი იერარქია [3, 4].

- უმაღლესი დონე – ენერგეტიკის საწარმოს შიგა დანახარჯების ოპტიმიზაცია – „ოპტიმიზაცია დანახარჯების მიხედვით“. ესაა მინიმიზაცია დანახარჯებისა წარმოებაზე სასაქონლო ასორტიმენტის (რეჟიმის პარამეტრების ელექტროენერგიისა და სიმძლავრის და მომსახურების მიხედვით) გათვალისწინებით, რაც სრულად ეხმიანება ბიზნესის, კონკურენციისა და მარკეტინგის ტიპურ სტრატეგიებს.

- შემდეგი დონეა – ენერგეტიკული საწარმოების ელექტროენერგიის და სიმძლავრის ოპტიმალური გამოყენება ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე („კომერციული ოპტიმიზაცია“) საქონლის გასაყიდი ფასის მინიმუმის კრიტერიუმის მიხედვით და გასაყიდი ფასი ემყარება წარმოების ოპტიმალურ დანახარჯებს.

- და ბოლოს – ენერგეტიკული საწარმოების რეჟიმების ოპტიმიზაცია ბაზარზე საზოგადოებრივი ინტერესებისათვის („ოპტიმიზაცია საზოგადოებრივი ინტერესების წესების მიხედვით“) – ფასჩამოკლება / დანამატი, შედაგათები, ჯარიმები.

წარმოდგენილ კრიტერიუმებს გააჩნია განსაზღვრული არე და ისინი დაკავშირებულია ერთმანეთთან და ურთიერთდამოკიდებულია.

კავშირი გამოიხატება მათი იერაარქიის სახით და თუ ამოვალო პრინციპიდან „ტექნიკური წარმოების ეფექტური გამოყენებიდან კომერციული შედეგებისაკენ“, მაშინ იერარქიულ სქემას ექნება სახე: წარმოებაზე დანახარჯების მინიმიზაცია მთელ ტექნოლოგიურ ციკლზე, დანახარჯების მინიმიზაცია ტრანსპორტირებაზე, გასაყიდი ფასის მინიმიზაცია, გაყიდვის და შესყიდვის წესების დადგენა სასაქონლო – ფულადი ურთიერთობების დამუშავებისას.

საწყისი ინფორმაცია რეჟიმების ოპტიმიზაციის ამოცანების გადასაწყვეტად არის დატვირთვის და ელექტრომოხმარების გრაფიკების პროგნოზი, ობიექტების მახასიათებლები, რომლებიც აკავშირებენ კრიტიკულებს და დამოუკიდებელ ცვლადებს, სისტემის სტრუქტურის თვისებებს, რომლებიც გავლენას ახდენს მათემატიკურ მოდელზე, შეზღუდვები (ტექნიკური, სამურნეო, კომერციული). კომერციული პრინციპები დამყარებულია ელექტროენერგიის შესყიდვაზე განაცხადების სრულ განსაზღვრულობაზე, რადგანაც ელექტროენერგიის დასაწყობება არ შეიძლება. მაგრამ ელექტროენერგიის მოხმარების განუსაზღვრულობა ეს ობიექტური რეალობაა და პროგნოზების აბსოლუტური სიზუსტის მოთხოვნა აბსურდულია – ცდომილებები გარდუგალია.

ოპტიმიზაციისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დატვირთვის გრაფიკს და ენერგეტიკული ბალანსების პროგნოზების უტყუარობას. პროგნოზების ცდომილებები შეიძლება მივიღოთ მოდელების ცდომილებიდან და დამატებითი საექსპერტო შესწორებებიდან. ასეთი შეფასებები ძალიან პირობითია – ესაა გადაწყვეტილებების მიღება განუსაზღვრულობის პირობებში. შეიძლება მოცემულ იქნას პროგნოზული პარამეტრების ცვლილებების ზონა და შემდეგ მასში ნაპოვნი იქნას გადაწყვეტის ალტერნატიული გარიანტები. დატვირთვის გრაფიკების ცვლილების პროცესის დროის მიხედვით მოდელირება ჯერჯერობით გერ ხერხდება საკმარისად კარგად.

1.2. პიდროენერგეტიკული დანადგარების მოკლევადიანი რეჟიმების გაანგარიშების საკითხები

ენერგოსისტემის დატვირთვის დღე-დამური (კვირიანი) გრაფიკის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს მისი არათანაბარზომიერება, რაც განსაზღვრავს ძირითად მოთხოვნებს ელექტროსადგურების მიმართ. ასე, მაგალითად, დატვირთვის მაქსიმუმის პერიოდებში ყველა ელექტროსადგური იტვირთება მთლიანად, სხვა დროს დღე-დამის განმავლობაში სისტემის დატვირთვა ნაკლებია მაქსიმალურზე.

ამასთან დაკავშირებით იქმნება ელექტროსადგურის დატვირთვის ქვეშმუოფი დანადგარების რიცხვისა და შემადგენლობის ოპტიმიზაციის აუცილებლობა, ასევე აუცილებელია მისი განაწილების რაციონალური მეთოდი. ენერგოსისტემის მოკლევადიანი რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანა მსგავსია, მაგრამ გაცილებით რთულია ჰეს-ის სადგურშიგა რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანაზე დიდი ზომის, ელექტროსადგურთა ტიპების მრავალფეროვნების გამო, რომლებიც მონაწილეობენ ენერგოსისტემის დატვირთვის დაფარვაში, სხადასხვა ელექტროსადგურების რეჟიმების ურთიერთგავლენის გათვალისწინების სირთულის, ელექტროსადგურების რეჟიმის ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორების სიმრავლის, გამოყენებული დამოკიდებულებიების არაწრფივობის, სხვადასხვა განტოლებების და ელექტროსადგურების უტოლობათა ტიპის შეზღუდვების დიდი სიმრავლის გამო და ა.შ. გარდა ამისა, საჭიროა რეჟიმის მიმართ იმ მოთხოვნების გათვალისწინება, რომელიც წაყენებულია წყალსამეურნეო სისტემის არაენერგეტიკული უბნის მიერ. დამატებითი სირთულეები შეაქვს ალბათური და განუსაზღვრელი ხასიათის საწყისი ინფორმაციის გათვალისწინებას [10, 11, 12, 13, 14].

აღნიშნულის გათვალისწინებით ენერგოსისტემის ნორმალური მოკლევადიანი რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანა უნდა მივაკუთვნოთ არაწრფივი (სტოქასტიკური) პროგრამირების მოქლრიცხვა მრავალექსტემალურ ამოცანას [12, 13, 14].

ამოხსნის გასამარტივებლად იყენებენ სხადასხვა მათემატიკურ ხერხებს. ასე, მაგალითად, ამოცანის განზომილების შესამცირებლად, ენერგეტიკაში ჩამოყალიბებული მართვის სტრუქტურის გათვალისწინებით, გამოიყენება აგრეგირების მეთოდი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ენერგოსისტემის ძირითადი ელემენტების სახით გამოიყენება არა ცალკეული ენერგობლოკები, არამედ ელექტროსადგურები მთლიანობაში. ამ დროს ელექტროსადგურების რეჟიმების შიდასასადგურო ოპტიმიზაციის ამოცანა ითვლება ამოხსნილად.

ამ მიზნითვე გამოიყენება დეკომპოზიციის მეთოდი, რომლის დახმარებით შესაძლებელი ხდება რთული ამოცანის დაყოფა უფრო მარტივ ამოცანების რიგად. წყალსამეურნეო სისტემის და გარემოს დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინება გარდაქმნის მოკლევადიანი ოპტიმიზაციის ამოცანას არაფორმალიზებულ ში. ამ უკანასკნელის ამოხსნა შესაძლოა კვალიმეტრიის მეთოდების გამოყენებით.

უნდა აღინიშნოს, რომ გაანგარიშებებში მონაწილე მთელი საწყისი ინფორმაცია ხასიათდება გარკვეული ცდომილებით. ამის გამო ნებისმიერი შედეგი, მიღებული გაანგარიშებებში უნდა განიხილებოდეს როგორც რაღაცა ზომით საორიენტაციო.

ზემოხსენებული ეხებოდა ე.წ. ექსპლოატაციურ ამოცანას, ანუ ენერგოსისტემის დღე-დამურ და ერთკვირიანი დაგეგმვის ამოცანას სადისპეტჩერო მართვის ავტომატიზირებული სისტემის ფუნქციონირების პირობებში. საპროექტო ამოცანისათვის ასეთი დეტალიზაცია, ელექტროსადგურების რეჟიმების განსაკუთრებულობის გათვალისწინების დროს, არ მოითხოვება, მისთვის საკმარისია გათვალისწინებული იყოს დატვირთების მიახლოებითი განაწილება ენერგოსისტემის ელექტროსადგურებს შორის, დატვირთვა შეიძლება ჩაითვალოს მოცემულად ერთ ექვივალენტურ კვანძში, ხოლო დატვირთვის დღე-დამური გრაფიკი შეიძლება წარმოდგენილ იქნას ხანგრძლივობის მრუდის სახით და ა.შ.

როგორც საპროექტო, ასევე საექსპლოატაციო ამოცანას არა აქვთ ამონახსნები ზოგადი სახით. ის შეიძლება იყოს მიღებული მხოლოდ რიცხვითი მეთოდებით, რომელთა კორექტული გამოყენება

ბევრ შემთხვევაში განისაზღვრება ამოცანის დასმით. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისაღები შედეგების ფიზიკური აზრის ცოდნა უხეში შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

თანამედროვე ენერგოსისტების ოპტიმალური სადღედამისო რეჟიმის ოპტიმალური გაანგარიშება ზოგად შემთხვევაში საკმაოდ რთულია. ამასთან დაკავშირებით, განვაზოგადოთ მიღებული შედეგები და გავაანალიზოთ სხვადასხვა ფაქტორების გავლენა პიდროელექტროსადგურების მაჩვენებლებზე.

ერთეული პერიოდის მოკლევადიანი რეჟიმების ოპტიმზაციის ამოცანა (უმარტივესი შემთხვევა) მათემატიკურად შეიძლება იყოს წარმოდგენილი შემდეგნაირად.

მოცემულია კონცენტრირებული ენერგოსისტება ერთი კაშხალური პერიოდი და რამოდენიმე თეს-ით ანუ შემთხვევა როდესაც ელექტროგადამცემ ხაზებში და ქსელის გამანაწილებლებში შიძლება ვაგულებელვყოთ დანაკარგები. ცნობილა თეს-ის ჩართული დანადგარების მუდმივი შემადგენლობა ერთი დღე-დამის განმავლობაში და მისი ენერგეტიკული მახასიათებლები. პერიოდისათვის მოცემულია ენერგეტიკული მახასიათებლები, რომლებიც აგებულია ხარჯის გამშვები დანაკარგების გათვალისწინების გარეშე და პიდროაგრეგატების უცვლელი დაწნევისას დღე-დამის განმავლობაში. გარკვეულობისათვის მივიღოთ, რომ ყველა პიდროაგრეგატი ერთნაირია.

მოითხოვება პერიოდის და თეს-ის ისეთი რეჟიმების პოვნა ერთი დღე-დამის განმავლობაში ანუ $N_{\text{obj}}(t)$, $N_{\text{obj},j}(t)$, $j=1,2,\dots,m$, რომლებიც უზრუნველყოფენ პირობითი საწვავის მინიმალურ ხარჯვას სისტემაში:

$$B_b = \int_{t_0}^{t_k} \sum_{j=1}^m B_j(N_{\text{obj},j}(t)) dt \Rightarrow \min \quad (1.1)$$

აქტიური სიმძლავრეების ბალანსის პირობებში:

$$\varphi(t) = P_b(t) - N_{\text{obj}}(t) - \sum_{j=1}^m N_{\text{obj},j}(t) = 0, \quad (1.2)$$

როცა მოცემულია ჩადინების მოცულობა პეს-ის გავლით ერთ დღე-დამეტი:

$$W_{\dot{y}_b} - \int_{t_0}^{t_k} Q_{\dot{y}_b}(t) dt = 0 \quad (1.3)$$

და ცნობილია ელექტროსადგურების რეჟიმები განსახილველი დღე-დამეტის t_0 და t_k ბოლოზე. აუცილებელია ასევე უზრუნველყოფილი იყოს პეს-ის და თეს-ის რეჟიმების მოცემული შეზღუდვების შესრულება სახით:

$$N_{\dot{y}_b}^{\text{მინ}}(t) \leq N_{\dot{y}_b}(t) \leq N_{\dot{y}_b}^{\text{მაქ}}(t); \quad (1.4)$$

$$N_{\dot{y}_s}^{\text{მინ}}(t) \leq N_{\dot{y}_s}(t) \leq N_{\dot{y}_s}^{\text{მაქ}}(t); \quad (1.5)$$

დავუშვათ, რომ ყველა დამოკიდებულებანი, რომლებიც გამოიყენება გაანგარიშებაში წყალსამეურნეო სისტემის არა ენერგეტიკული უბნის მიერ, უწყვეტია და ორჯერ დიფერენცირებადი. მაშინ დაყენებული ამოცანა შეიძლება მიეკუთვნოს სასაზღვრო გარიაციულ ამოცანებს (1.3) სახის პირობებით, (1.2) სახის კაგშირის განტოლებებისა და (1.4) და (1.5) უტოლობათა ტიპის შეზღუდვების არსებობისას.

ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ (1.1) ექსტრემუმი მიიღწევა იმავე ექსტრემალებზე, სადაც მიიღწევა შემდეგი გამოსახულების ექსტრემუმი:

$$\begin{aligned} \Phi &= \int_{t_0}^{t_k} \left[\sum_{j=1}^m \beta_j (N_{\dot{y}_{b,j}}(t)) + \lambda(t) \varphi(t) + \lambda_{\dot{y}_b} Q_{\dot{y}_b}(t) + S_{\dot{y}_b}(t) + \sum_{j=1}^m S_{\dot{y}_{b,j}}(t) \right] dt = \\ &= \int_{t_0}^{t_k} F(y, \dot{y}, t) dt \Rightarrow \min, \end{aligned} \quad (1.6)$$

სადაც $\lambda(t)$, $\lambda_{\text{obj}} -$ ლაგრანჯის განუსაზღვრელი არატრივიალური მამრავლი;

$S_{\dot{\beta}\beta}^t(t), S_{\alpha\beta\beta j}^t(t) -$ საჯარიმო ფუნქციები, შემოტანილი მიზნობრივ ფუნქციაში უტოლობის ტიპის შეზღუდვათა გასათვალისწინებლად.
ცნობილია, რომ (1.1) მინიმუმს ადგილი ექნება, თუ
 $N_{\dot{\beta}\beta}(t)$ და $N_{\alpha\beta\beta j}(t)$ $i=1,2,\dots,m$ წარმოადგენენ ექსტრემალებს ანუ მათ გასწვრივ შესრულდება ეილერის ცნობილი განტოლება – ფუნქციონალის ექსტრემუმის აუცილებლობის პირობა (1.6):

$$F_{N_{\alpha\beta\beta}} \frac{d}{dt} F_{\dot{N}_{\dot{\beta}\beta}} = 0 \quad (1.7)$$

$$F_{N_{\alpha\beta\beta j}} - \frac{d}{dt} F_{\dot{N}_{\alpha\beta\beta j}} = 0, \quad j=1,2,\dots,m \quad (1.8)$$

სადაც

$$\left. \begin{aligned} F_{\dot{\beta}\beta} &= \frac{dF}{dN_{\dot{\beta}\beta}}; \quad F_{N_{\dot{\beta}\beta}} = \frac{dF}{d\dot{N}_{\dot{\beta}\beta}}; \quad \dot{N}_{\dot{\beta}\beta} = \frac{dN_{\dot{\beta}\beta}}{dt}; \\ F_{N_{\alpha\beta\beta j}} &= \frac{dF}{dN_{\alpha\beta\beta j}}; \quad F_{N_{\alpha\beta\beta j}} = \frac{dF}{d\dot{N}_{\alpha\beta\beta j}}; \quad \dot{N}_{\alpha\beta\beta j} = \frac{dN_{\alpha\beta\beta j}}{dt} \end{aligned} \right\} \quad (1.9)$$

გავხსნათ (1.7) და (1.8) განტოლებები:

$$F_{N_{\dot{\beta}\beta}} - \frac{d}{dt} F_{\dot{N}_{\dot{\beta}\beta}} = \lambda_{\dot{\beta}\beta} \frac{dQ_{\dot{\beta}\beta}}{dN_{\dot{\beta}\beta}} - \lambda(t) + \frac{dS_{\dot{\beta}\beta}}{dN_{\dot{\beta}\beta}} - \lambda_{\dot{\beta}\beta} \frac{d}{dt} \frac{dQ_{\dot{\beta}\beta}}{d\dot{N}_{\dot{\beta}\beta}} = 0, \quad (1.10)$$

$$F_{N_{\alpha\beta\beta j}} - \frac{d}{dt} F_{\dot{N}_{\alpha\beta\beta j}} = \frac{d\beta_j}{dN_{\alpha\beta\beta j}} - \lambda(t) + \frac{dS_{\alpha\beta\beta j}}{dN_{\alpha\beta\beta j}} - \frac{d}{dt} \frac{d\beta_j}{d\dot{N}_{\alpha\beta\beta j}} = 0, \quad (1.11)$$

გავაანალიზოთ (1.10) და (1.11) განტოლებების ამოხსნის მიღების საშუალება. უცნობთა რაოდენობა უდრის $3m+5-l$; $2m+2-l$ ინტეგრირების მუდმივების რიცხვი; $m+1-l = N_{\text{ჯ}} - N_{\text{ოჯ}}$ გაანგარიშებათა უცნობების რიცხვი; $\lambda_{\text{ჯ}} \text{ და } \lambda(t)$. გაანგარიშებათა რიცხვი ასევე უდრის $3m+5-l$; $m+1-l$ ეილერის განტოლებათა რიცხვი; $2m+2-l$ ზღვრული პირობებისა და კავშირის განტოლებების (1.2) და (1.3) რიცხვი.

სხვა სიტყვებით, თუ განსახილველი განტოლებები არაერთობლივია, ხოლო შეზღუდები არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, მაშინ ამოცანის ამოხსნა შეიძლება მოიძებნოს, თუკი ის არსებობს.

ენერგოსისტემების აქტიური დატვირთვის ოპტიმალური განაწილების აუცილებელი პირობები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ანალიზური სახით შემდეგნაირად:

$$\dot{b}_{\text{ოჯ}}(t) = \dot{b}_{\text{ოჯ}}(t) = \dots = \dot{b}_{\text{ოჯ}}(t) = \lambda_{\text{ჯ}} \dot{q}_{\text{ჯ}} = \lambda(t), \quad (1.12)$$

სადაც

$$\left. \begin{aligned} \dot{b}_{\text{ოჯ}} &= b_{\text{ოჯ}} + \dot{b}_{\text{ჯ}} + bs_j; \\ \dot{q}_{\text{ჯ}} &= q_{\text{ჯ}} + \dot{q}_{\text{ჯ}} + qs_{rx} \end{aligned} \right\} \quad (1.13)$$

როცა

$$\left. \begin{aligned} b_{\text{ოჯ}} &= \frac{d\beta j}{dN_{\text{ოჯ}}}; \dot{b}_{\text{ოჯ}} &= \frac{d}{dt} \frac{d\beta j}{dN_{\text{ოჯ}}}; b_{\text{III}} = \frac{dS_{\text{ოჯ}}}{dN_{\text{ოჯ}}}; \\ q_{\text{ჯ}} &= \frac{dQ_{\text{ჯ}}}{dN_{\text{ჯ}}}; \dot{q}_{\text{ჯ}} &= -\frac{d}{dt} \frac{dQ_{\text{ჯ}}}{dN_{\text{ჯ}}}; q_{\text{III}} = \frac{dS_{\text{ჯ}}}{dN_{\text{ჯ}}} \end{aligned} \right\} \quad (1.14)$$

თუკი ყველა პროცესი ენერგოსისტემაში ჩაითვლება დამყარებულად, ხოლო აგრეგატების და ელექტროსადგურების

დიფერენციალურ მახასიათებლებს საჯარიშო ფუნქციების გათვალისწინებით განვიხილავთ, როცა $\mu_j \rightarrow \infty$ და $\gamma_j \rightarrow \infty$, მაშინ (1.12) მიიღებს სახეს:

$$b_{\alpha j b_1}(t) = b_{\alpha j b_2}(t) = \dots = b_{\alpha j b_m}(t) = \lambda_{\alpha j b} q_{\alpha j b}(t) = \lambda(t), \quad (1.15)$$

ზოგჯერ უფრო მოხერხებულია (3.15) ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$\left. \begin{array}{l} b_{\alpha j b_1}(t) - b_{\alpha j b_j}(t) = 0, \quad j = 1, 2, \dots, m; \\ b_{\alpha j b_j}(t) - \lambda_{\alpha j b} q_{\alpha j b}(t) = 0, \end{array} \right\} \quad (1.16)$$

სადაც $b_{\alpha j b_1}$ – ენერგოსისტემაში არაგეგმური დატვირტვის ცვლილების დასაფარავად გათვალისწინებული ელექტროსადგურის (ამ შემთხვევაში თეს-1-ის) ფარდობითი ნამატი.

(1.15)-ის გათვალისწინებით შეიძლება აიგოს ენერგოსისტემის ეპივალენტური თეს-ის ენერგეტიკული მახასიათებელი და შემდგომ გამოყენებულ იქნას გაანგარიშებებში.

$$b_{\alpha j b_1}(t) = \dots = b_{\alpha j b_m}(t) = b_{\alpha j b}(N_{\alpha j b}(t)) = \lambda(t), \quad (1.17)$$

ზემოთქმულის საფუძველზე (1.17)-ის გათვალისწინებით წარმოვადგინოთ (1.15) შემდეგი სახით.

$$b_{\alpha j b}(N_{\alpha j b}(t)) = \lambda_{\alpha j b} q_{\alpha j b}(N_{\alpha j b}(t)) = \lambda(t) \quad (1.18)$$

და განვიხილოთ ენერგოსისტემაში პეს-ის ოპტიმალური რეჟიმების განსაკუთრებულობანი.

დავუშვათ, რომ პეს-ის დატვირთვის ქვეშ ჩართული აგრეგატების რიცხვი დღე-დამის განმავლობაში მუდმივია და $\lambda_{\alpha j b}$ მოცემულია. მაშინ A ენერგოსისტემის ნებისმიერი დატვირთვისათვის პირობა (1.17) შეესაბამება გადაკვეთას $b_{\alpha j b}(N_{\alpha j b})$ და პეს-ის დიფერენციალური


დახასიათებისა კებს ($N_{\text{ჯ}}^0$), გამრავლებულს $\lambda_{\text{ჯ}}^0$ -ზე (წერტილი α ნახ. 1.1-ზე). α წერტილში პირობითი სათბობის ხარჯი სისტემაში იქნება ყველაზე მინიმალური B_a^0 . ნებისმიერ გადახრას $N_{\text{ჯ}}^0$ და $N_{\text{ჯ}}^0$ -სგან მივყავართ სისტემაში რეჟიმული დანაკარგების გაჩენასთან $\Delta B_{\text{რ}}$.

ენერგოსისტემის დატვირთვის ცვლილებისა $P_f = G$ -მდე
 $\lambda_{\text{ჯ}}^0 = \text{const}$ -ის დროს პეს-ის ენერგეტიკული მახასიათებელი ინაცვლებს თავისი თავის პარალელურად, $b_{\text{ჯ}}(N_{\text{ჯ}})$ -ის გადაკვეთით ახლ β წერტილში (ნახ. 1.1).

(1.17)-იდან $\lambda_{\text{ჯ}}^0$ -ის ფიზიკური აზრი შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც პეს-ზე წყლის ხარჯის ყოველი ერთეულის სათბობი ეფექტურობა, ანუ $\lambda_{\text{ჯ}}^0$ უჩვენებს, თუ რამდენჯერ შემცირდება თეს-ზე სათბობის ხარჯი, პეს-ზე წყლის ხარჯის გაზრდისას 1 $\text{m}^3/\text{დღე-ლამეში}$ ენერგოსისტემის სიმძლავრეების ბალანსის დაცვისას. მართლაც (1.17)-ის საფუძველზე გვაქვს:

$$\lambda_{\text{ჯ}}^0 = \frac{b_{\text{ჯ}}}{q_{\text{ჯ}}} \approx \frac{dB_{\text{ჯ}}}{dQ_{\text{ჯ}}} \quad (1.19)$$

გაანგარიშებებში $\lambda_{\text{ჯ}}^0$ -ის მნიშვნელობა ჩვეულებრივ განისაზღვრება იტერაციული გზით ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს (1.3) პირობის შესრულება. რაც მეტია $W_{\text{ჯ}}$ ერთი დღე-ლამის განმავლობაში, მით ნაკლებია $\lambda_{\text{ჯ}}^0$ და პირიქით.



ნახ. 1.1. დატგირთვის ოპტიმალური განაწილება ჰეს-სა და თეს შორის P_b და $\lambda_{\text{эжл}}$ მოცემული მნიშვნელობებისას.

ილუსტრაციის სახით ნახ. 1.2-ზე ნაჩვენებია პეს-ის მუშაობის გრაფიკები სხვადასხვა $\lambda_{\text{ა}} - \text{სთვის}$ $\lambda_{\text{ა}}^{\text{მა}} - \text{დან}$ $\lambda_{\text{ა}}^{\text{მა}} - \text{მდე}$, რომლებიც გამოითვლება ფორმულით:

$$\lambda_{\text{ა}}^{\text{მა}} = \frac{b_{\text{ა}}}{q_{\text{ა}}}; \quad (1.20)$$

$\lambda_{\text{ა}}^{\text{მა}} - \text{ის}$ დროს დატვირთვის მაქსიმუმში ყველა თეს-ები მუშაობენ ზღვრული სიმძლავრით $N_{\text{ა}}^{\text{მა}}$. თუ $N_{\text{ა}}^{\text{მა}} \geq p_{\text{ა}}^{\text{მა}}$, მაშინ $W_{\text{ა}}(\lambda_{\text{ა}}^{\text{მა}}) = 0$ და $N_{\text{ა}}(t) = 0$. თუკი $N_{\text{ა}}^{\text{მა}} < p_{\text{ა}}^{\text{მა}}$, მაშინ პესი მუშაობს დატვირთვის გრაფიკის პიკში იძულებითი რეჟიმით, რომელიც განისაზღვრება ენერგოსისტემაში სიმძლავრეთა ბალანსის პირობებით:


$$N_{\text{ა}}(\lambda_{\text{ა}}^{\text{მა}}, t) = P_{\text{ა}}(t) - N_{\text{ა}}^{\text{მა}}, \quad (1.21)$$

პეს-ის მაქსიმალური სამუშაო სიმძლავრე ამ დროს უდრის

$$N_{\text{ა}}^{\text{მა}} = P_{\text{ა}}^{\text{მა}} - N_{\text{ა}}^{\text{მა}}, \quad (1.22)$$

$N_{\text{ა}}^{\text{მა}}$ და $N_{\text{ა}}^{\text{მა}} - \text{ის}$ შორის სხვაობა შეადგენს ენერგოსისტემის მბრუნავ რეზერვს.


$\lambda_{\text{ა}}^{\text{მა}} - \text{ის}$ დროს პესი მუშაობს ენერგოსისტემაში მაქსიმალურად შესაძლებელი სიმძლავრით; ენერგოსისტემის რეზერვები გადადიან თეს-ზე (ნახ. 1.2 ა) $\lambda_{\text{ა}} - \text{ის}$ ნებისმიერი ზრდა $\lambda_{\text{ა}}^{\text{მა}} - \text{ის}$ ზევით ან შემცირება $\lambda_{\text{ა}}^{\text{მა}} - \text{ის}$ ქვევით არ ახდენს გავლენას პეს-ის რეჟიმებზე როცა $H_s = \text{const.}$



ნახ.12 λ_{3j3} -ის გავლენა პეს-ის მუშაობის რეჟიმზე დატვირთვის
დღეღამურ გრაფიკში.

λ_{3j3} -ის ცვლილებას λ_{3j3}^{abs} -დან λ_{3j3}^{abs} -მდე იზრდება პეს-ის
მონაწილეობის ხარისხი ენერგოსისტემაში დატვირთვის ოპტიმალურ
განაწილებაში; ასევე ერთდროულად იზრდება N_{3j3}^{abs} (ნახ. 1.2 ბ).

ოპტიმიზაციური გაანგარიშებების შედეგების მიხედვით
სხვადასხვა $\lambda_{\text{აკ}} -$ სთვის შეიძლება აიგოს დამოკიდებულებები $B_u(\lambda_{\text{აკ}})$
და $W_{\text{აკ}}(\lambda_{\text{აკ}})$ შორის.



ნახ. 1.3 $B_u(\lambda_{\text{აკ}})$ -ის და $W_{\text{აკ}}(\lambda_{\text{აკ}})$ -ის დამოკიდებულებები.

ამ მრუდების განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მათ
აქვთ თითქმის წრფივი ხასიათი საშუალო $\lambda_{\text{აკ}}$ -ის ზონაში
(დაშტრიხულია ნახ. 3.3-ზე). ამ ზონაში $W_{\text{აკ}}$ -ის ნებისმიერ ცვლილებას
მივყავართ B_u -ის პროპორციულ ცვლილებამდე.

სწორედ ამ ზონაში დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგოსისტემაში
დატვირთვის განაწილების რაციონალური მეთოდის შერჩევას. $\lambda_{\text{აკ}}$ -ის
მნიშვნელობებისათვის, რომლებიც ახლოა $\lambda_{\text{აკ}}^{\text{მინ}}$ ან $\lambda_{\text{აკ}}^{\text{მაქ}}$ -თან,
ენერგოსისტემაში დატვირთვის განაწილების მეთოდის ეფექტურობა
ბევრად ნაკლები იქნება, ხოლო $\lambda_{\text{აკ}} > \lambda_{\text{აკ}}^{\text{მაქ}}$ ან $\lambda_{\text{აკ}} < \lambda_{\text{აკ}}^{\text{მინ}}$ -სთვის – არ
არის მასზე დამოკიდებული.

ზემოხსენებული მიეკუთვნება შემთხვევას, როცა პეს-ის ხვედრითი წონა ენერგოსისტემაში შეადგენს არანაკლებ 20–30% $P_{\text{t}}^{\text{მაქ}}$.

თუ პეს-ის ხვედრითი წონა უმნიშვნელოა, $W_{\text{აქ}} - \text{ის}$ დიდი ცვლილების დროსაც $B_{\text{t}} - \text{ის}$ ხარჯი მცირედ შეიცვლება. ეს ნიშნავს, რომ ენერგოსისტემაში დატვირთვის განაწილების მეთოდი პეს-სა და თეს-ს შორის მოახდენს მცირე გავლენას $B_{\text{t}} - \text{ზე}$. $B_{\text{t}} - \text{ის}$ ხარჯი ძირითადად განისაზღვრება დატვირთვის განაწილების მეთოდით თეს-ებს შორის როგორც პირობითი, ასევე ნატურალური სათბობის მიხედვით.

$\lambda_{\text{აქ}} - \text{ის}$ მცირე და საშუალო მნიშვნელობების დროს, რომლებიც შესაბამება მუშაობის საბაზო ან ნახევრადპიკურ რეჟიმს, ბევრი პეს-თვის (დაბალდაწნევიანი და საშუალოდაწნევისათვისაც კი) სამართლიანია დაშება პილოოაგრეგატების დაწნევის მუდმივობაზე ერთი დღე-დამის განმავლობაში. თუ ქვედა ბიეფის დონეთა რჩევები მნიშვნელოვანია, მაშინ მათი გაანგარიშებებისათვის შეიძლება დამყარებული რეჟიმის დამოკიდებულებათა მრუდებით სარგებლობა. შესაბამისი ცვლილებების შეტანა აუცილებელია დიფერენციალურ მახასიათებელში. წყლის რესურსების დეფიციტის პირობებში, რომლებიც გამოიყენება ენერგეტიკული მიზნებისათვის, პესი გაზაფხულ-ზამთრის პერიოდში მუშაობენ $\lambda_{\text{აქ}} - \text{ის}$ დიდი მნიშვნელობებით, რომლებიც შესაბამებიან მკვეთრად ცვლად რეჟიმს $N_{\text{აქ}}(t)$ (ნახ. 1.2, ბ). ასეთ შემთხვევებში მცირე დაწნევის და საშუალო დაწნევის პეს-თვის აუცილებელია ქვედა ბიეფში წყლის დაუმყარებელი მოძრაობის გათვალისწინება და შესაბამისი ცვლილებების შეტანა პეს-ის დიფერენციალურ მახასიათებელში.

ბიეფებში დიმაკური პროცესების გათვალისწინება მოითხოვს პეს-ის რეჟიმის რამდენამდე შეცვლას ერთი დღე-დამის განმავლობაში: მეტად დაიტვირთოს პესი დატვირთვის ზრდის პერიოდებში და შემცირდეს დატვირთვის დაქვეითების პირობებში.

გრძელი წყალსატარის მქონე კაშხალური პეს-ებისთვის და ხანგრძლივი რეგულირების დერივაციული პეს-ებისთვის ოპტიმალური დღე-დამური რეჟიმის გაანგარიშება შეიძლება ჩატარდეს მუდმივი

H_{sys} - ს დროს ერთი დღე-დამის განმავლობაში, ამის გათვალისწინებით პეს-ების დიფერენციალურ მახასიათებელებში.

მოკლევადიანი რეგულირების დაბალი დაწყების პეს-ებისთვის დამატებით საჭირო გახდება ზედა ბიუფის დონეების ცვლის გათვალისწინება ერთი დღე-დამის განმავლობაში ცვლადი H_{sys} -ს და H_s -სი.

თანამედროვე პირობებში თეს-ებისთვის დამახასიათებელია სათბობის შეზღუდული ხარჯვის არსებობა ერთი დღე-დამის განმავლობაში. ეს არ იძლევა თეს-ების ექვივალენტური მახასიათებლების წინასწარ აგებას და ართულებს ამოცანის ამოხსნას.

მაგალითად, თუ თეს-ზე ნომრებით $m-r$ -დან m -მდე მოცემულია სათბობის დღე-დამური ხარჯი

$$B_{\text{obj}} - \int_{t_0}^{t_k} B_j [N_{\text{obj}}(t)] dt = \Psi_j(t) = 0, \quad (1.23)$$

მაშინ ენერგოსისტემაში დატვირთვის ოპტიმალური განაწილების აუცილებელ პირობას აქვს სახე:


$$\begin{aligned} b_{\text{obj}1}(t) &= \dots = b_{\text{obj}_{m-r-1}}(t) = \lambda_{\text{obj}_{m-r}} b_{\text{obj}_{m-r}}(t) = \dots \ddot{E} \\ &\dots = \lambda_{\text{obj}_m} b_{\text{obj}_m}(t) = \lambda_{\text{sys}} q_{\text{sys}}(t) = \lambda(t). \end{aligned} \quad (1.24)$$

ენერგოსისტემაში ალექტროსადგურების რეჟიმების ურთიერთკავშირების სირთულის გამო λ_{obj} და λ_{obj} მნიშვნელობები, რომლებიც შეესაბამებიან (1.23) პირობის შესრულებას თეს-სთვის და (1.24)-სა პეს-სთვის, შეიძლება მოიძებნონ მხოლოდ ძიების იტერაციული მეთოდების გამოყენებით. უგანზომილებო მამრავლი λ_{obj} შეესაბამება მოცემული j -ური თეს-ის შეფარდებით ეფექტურობას სხვა თეს-ებთან შედარებით. რაც უფრო მეტი B_{obj} მოცემულობაა მოცემული, მით

ნაკლებია λ_{obj} და მეტია j -ური თეს-ის დატვირთვა, და პირიქით. როცა $\lambda_{\text{obj}}=1$, გვაქვს შემთხვევა სათბობის უსაზღვრო მარაგისა j -ური თეს-ზე.

განხილულ შემთხვევაში დაშვებული იყო პეს-ის ჩართული აგრეგატების შედგენილობისა და რიცხვის მუდმივობა. მაგრამ პიდროელექტროსადგურებისათვის ჩართული პიდროაგრეგატების მუდმივი რიცხვის შენარჩუნება პეს-ის დატვირთვის შეცვლისას არარაციონალურია, ვინაიდან გამოიწვევს სიმძლავრის დანაკარგს. პეს-ის დიფერენციალური მახასიათებელი, რომელიც ითვალისწინებს ჩართული აგრეგატების ცვლად რიცხვს, იქნება ხერხისმაგვარი სახის (ნახ. 1.4). ამის შედეგს წარმოადგენს ამოხსნათა სიმრავლე ენერგოსისტემაში დატვირთვის ოპტიმალური განაწილების აუცილებელი პირობების განსაზღვრის დროს.

ცალსახა ამოხსნის მისაღებად ჩვეულებრივ გამოიყენება პეს-ის გასწორებული დიფერენციალური დახასიათება. ამისათვის ატარებენ პორიზონტალურ AB ხაზს (ნახ. 1.5) ისე, რომ S_1 და S_2 ფართობები იყოს ერთმანეთის ტოლი. ეს იმას ნიშნავს, რომ პეს-ის ხარჯვით მახასიათებელზე შესაბამისი AB უბანი ასევე იქნება სწორხაზოვანი.



ნახ. 1.4. პეს-ის ჩამრთველი აგრეგატების ცვალებადი რიცხვის გავლენა ენერგოსისტემის მუშაობის რეჟიმზე


მიღებულ 0ABC მრუდს იყენებენ ოპტიმიზაციურ გაანგარიშებებში. $q_{\text{ა}} (N_{\text{ა}})$ -ის პორიზონტალობის გამო ABC ზონაში ენერგოსისტემაში დატვირთვის ყველა ცვლილება იქნება ძირითადად აღქმული პეს-ის მიერ $N_{\text{ა}}^{\text{ა}}$ ($H_{\text{ა}}$)-ს მნიშვნელობის მიღწევამდე.

ამონახსნის მრავალ მნიშვნელოვნობის (განუზღვრელობის) გამოსარიცხად კომპიუტერზე $q_{\text{ა}} = q_1$ -ის დროს AB მონაკვეთს გამოსახავენ დახრილი მრუდის სახით.

რა თქმა უნდა, გასწორებული $q_{\text{ა}} (N_{\text{ა}})$ მრუდის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს სათბობის რაღაც გადახარჯვა ენერგოსისტემაში, მაგრამ მისი მნიშვნელობა ჩვეულებრივ ისეთი პატარაა, რომ უგულებელყოფენ. პეს-ის დიფერენციალური მახასიათებლის გასწორებისას აუცილებელია იმ განსაკუთრებულებების გათვალისწინება, რომლებიც განისაზღვრება პიდროაგრეგატების არაოპტიმალური ჩართვით.

ხარჯების დანაკარგები პეს-ის აგრეგატების გაშვება-გაჩერებაზე, ისევე, როგორც დანადგარების ტიპების სხვადასხვაობა, შედარებით ნაკლებ გავლენას ახდენს გასწორებული მახასიათებლის საერთო სახეზე.

შედარებით უფრო ძნელია თეს-ზე ჩართული დანადგარების ოპტიმალური რიცხვის და შემადგენლობის პოვნის ამოცანის ამოხსნა. აქ აუცილებელია გათვალისწინებული იყოს სათბობის დანაკარგები აგრეგატების გაშვებისას, თვით გაშვების ხანგრძლივობა და დატვირთვის აღებისა და სწრაფი მოხსნის შეზღუდული სიჩქარე. გარდა ამისა, საჭიროა ასევე გათვალისწინებული იყოს ქსელში სიმძლავრის დანაკარგების ცვლილება, გამოწვეული დატვირთვის გადანაწილებით ელექტროსადგურების მიერ აგრეგატების გაშვება-გაჩერების გამო. ამრიგად, პეს-ზე ჩართული აგრეგატების შემადგენლობის შერჩევის ამოცანა პეს-ზე, მითუმეტეს თეს-ზე, ხდება ზოგადსისტემური, რომელიც განისაზღვრება სისტემის ყველა ელექტროსადგურის ერთიანი მუშაობის ყველაზე ხელსაყრელი რეჟიმის გაანგარიშების საფუძველზე.



ნახ. 1.5. ჰესის გასწორებული მახასიათებელი

ასეთი ამოცანის ზოგადი ამოხსნის მიღება შეიძლება მხოლოდ რიცხვითი მეთოდებით. ამოხსნასთან მიდგომის პრინციპი და მისი ფიზიკური არსი შეიძლება განვმარტოთ ისევე, როგორც ანალოგიურ ამოცანაში ჰესის დონისათვის.

თეს-ის j -ური აგრეგატის გაჩერება, რომელიც მუშაობს $N_{sj} = N(b_{aj})$ -ით რაციონალურია სათბობის ეკონომიის თვალსაზრისით, თუ $b_j(N_j)$ მეტია $b_{aj}(N_{aj} - N_j)$ -ზე. j -ური ტურბოაგრეგატის გასაშვებად უნდა შესრულდეს პირობა $b_{aj} > b_{sj}$.

b_{aj} და b_{sj} -ს თანაფარდობის ანალიზი საშუალებას იძლევა ნაპოვნი იქნას თეს-ის მოწყობილობის ოპტიმალური შემადგენლობა დროის ნებისმიერ მომენტში. გადაწყვეტილების პოვნის დასაჩქარებლად შეიძლება წინასწარ მოვახდინოთ თეს-ის აგრეგატების რანჟირება b_{sj} -ს კლების მიხედვით.

როგორც აჩვენებს ენერგოსისტემების დღე-დამური რეჟიმების გაანგარიშებების გამოცდილება, სწორედ თეს-ის მუშა დანადგარების ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევის ამოცანამ შეიძლება მოგვცეს მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი შედარებით, მაგალითად, ენერგოსისტემაში დატვირთვის განაწილების ამოცანასთან. განხილული ამოცანის ამოხსნა მნიშვნელოვნად გართულდება, თუ გათვალისწინებული იქნება გათიშული აგრეგატის გაშვების აუცილებლობა დილის საათებში დატვირთვის გაზრდისას, ასევე ელექტრომომარაგებს საიმედოობის მოცემული დონის უზრუნველყოფა (რეზერვების არსებობა სისტემაში).

პესის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აგრეგატების შემადგენლობის რაციონალური მართვა. აგრეგატების შემადგენლობა დიდ გავლენას ახდენს პესის ეკონომიკურ მაჩვენებელზე. ცნობილია, რომ აგრეგატების არაოპტიმალური შემადგენლობით მუშაობას მივყავართ პესის მ.ქ.კ.-ს შემცირებისკენ 1–5%-ით.

პიდროსადგური სისტემაში ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს: მონაწილეობს აქტიური სიმძლავრის ბალანსში და არეგულირებს სიმძლავრეს ფართო დიაპაზონში, არეგულირებს სიხშირეს და ძაბვას, უზრუნველყოფს სხვა სადგურებთან ერთად სისტემის ავარიულ და სარემონტო რეზერვებს. ამ ფუნქციების ნორმალური შესრულება ემყარება ჩართული აგრეგატების შემადგენლობის და მათი აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეების სწორ არჩევანს!

აგრეგატების შემადგენლობის ოპტიმალური მართვა ძნელდება საწყისი ინფორმაციის განუსაზღვრელობით: ენერგოსისტემის დატვირთვები, სიხშირე, ძაბვა, განკარგულებაში მყოფი ელექტროსადგურის სიმძლავრეები, გამოყენებისათვის შესაძლო პიდრორესურსები და სხვა მაჩვენებლები ჩვეულებრივად შემთხვევითი სიდიდეებია. პესების რეჟიმებს ამ შემთხვევაში ახასიათებთ რადაც განუსაზღვრელობა.

ამრიგად, პესის აგრეგატების შემადგენლობის არჩევის ამოცანა არის უმნიშვნელოვანესი ზოგადსისტემური ამოცანა და მისი გადაწყვეტა აუცილებელია სისტემის სხვა რეჟიმულ ამოცანებთან ყველა ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. ეს მიიღწევა სისტემის რეჟიმების მარტვის იერარქიის პრინციპისა და დეკომპოზიზის გზით. იერარქიული მიდგომა იძლევა ცალკეული ამოცანების გადწყვეტის პრიორიტეტული სქემის შექმნის, აზრობრივი და გამოთვლითი ალგორითმების გამარტივების, მოთხოვნილ დროში გადაწყვეტის მიღების შესაძლებლობას.

სადგურშიგა ოპტიმიზაცია მიმდინარეობს არა მარტო ოპერატიული დაგეგმვის დონეზე არამედ პროცესის ტემპშიც. სადგურშიგა ოპტიმიზაციის მეთოდებზე საუბარი იქნება II თავში. აქ განხილული იქნება მხოლოდ პროცესის ტემპში მართვის ამოცანების შინაარსი. ყველაზე უფრო ხშირად წყდება ათი ძირითადი ამოცანა.

მომუშავე აგრეგატების აქტიური სიმძლავრეების რეგულირება სისტემის სიხშირის ნორმირებული მნიშვნელობების შენარჩუნების პირობით.

აგრეგატების რეაქტიული სიმძლავრეების რეგულირება საკონტროლო კვანძებში ძაბვის შენარჩუნების პირობით.

აგრეგატების ჩართვა სიხშირითი რეზერვის შესანარჩუნებლად კონტროლირდება *f* სიხშირე.

აგრეგატების ჩართვა ავარიული რეზერვის შესანარჩუნებლად – კონტროლირდება სადგურის მბრუნავი რეზერვი.

აგრეგატების სწრაფი ჩართვა ნორმირებული ძაბვის შესანარჩუნებლად – კონტროლირდება ძაბვა და ძაბვის დროში ცვლილების სიჩქარე

$$a = \frac{du}{dt} \text{ თუ } a > a_{\text{დან}}$$

მაშინ აუცილებელია რაც შეიძლება ჩქარა გაიზარდოს რეაქტიული სიმძლავრის მბრუნავი რეზერვი.
აგრეგატების ჩართვა დასაშვები ძაბვების შესანარჩუნებლად.

$$u_{\min} \leq u \leq u_{\max}$$

აგრეგატების შემადგენლობის და აქტიური სიმძლავრეების ოპტიმიზაცია აქტიური დატვირთვის მიმდინარე მნიშვნელობებისათვის.

აგრეგატების რეაქტიული სიმძლავრეების და შემადგენლობის ოპტიმიზაცია რეაქტიული დატვირთვის მიმდინარე მნიშვნელობებისათვის.

სადგურის სიმძლავრეების კორექცია და აგრეგატების შემადგენლობისა და აქტიური სიმძლავრეების არჩევა ხარჯების ნორმირებული მნიშვნელობების ან ქვედა ბიუფის დონეების შენარჩუნებით.

აგრეგატის შემადგენლობისა და რეჟიმის ოპერატიული დაგეგმვა, მაგალითად, დღედამით წინასწარ.

თითოეული ჩამოთვლილი ამოცანა ოპტიმიზაციურია. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საკმარისია გვქონდეს ოთხი ალგორითმი: აქტიური დატვირთვის ყველაზე ხელსაყრელი განაწილება აგრეგატებს შორის (1 ამოცანისათვის), რეაქტიული დატვირთვის ყველაზე ხელსაყრელი განაწილება აგრეგატებს შორის (2 ამოცანისათვის), აგრეგატების შემადგენლობის არჩევა განკარგულებაში არსებული სიმძლავრეების სიდიდის მიხედვით (3–5 ამოცანები), აგრეგატების შემადგენლობისა და რეჟიმების ოპტიმიზაცია (6–10 ამოცანები). სხვადასხვა ამოცანებს შორის არსებობს პირდაპირი და უკუკავშირები და ყველა ამოცანა დაკავშირებულია სადგურშიგა ოპტიმიზაციის ერთიან კომპლექსთან.

დასახელებული ათი ამოცანა უზრუნველყოფს სადგურშიგა ოპტიმიზაციის იერარქიულობას დროში. პირველ სტადიაზე დგება

ოპერატიული გეგმები პროგნოზული საწყისი მონაცემების მიხედვით (10 ამოცანა). ოპერატიული დაგეგმვის დროულად მომზადება გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დღედამეს. მეორე სტადიაზე განხორციელდება დასახული გეგმის კორექტირება პროცესის ტემპში რეჟიმის პარამეტრების მიმდინარე მნიშვნელობების მიხედვით. (1–9 ამოცანები). კორექტირების აუცილებლობა ჩნდება მუშაობის პროგნოზული და რეალური პირობების დაუმთხვევლობის შემთხვევაში.

ჩვეულებრივად ორსტადიური სქემა გამოიყენება ენერგოსისტემის და სადგურების აქტიური სიმძლავრეების ბალანსების მართვისას. ენერგოსისტემის აქტიური სიმძლავრეების პროგნოზი გრაფიკულების მიხედვოთ განისაზღვრება ცალკეული ელექტროსადგურების დატვირთვების გრაფიკები. დატვირთვის მოცემული გრაფიკის დასაფარავად აირჩევა აგრეგატების შემადგენლობა და მათ შორის ყველაზე უფრო ხელსაყრელი სახით განაწილდება სადგურის აქტიური დატვირთვა. შემდეგ პროცესის ტემპში კორქტირდება აგრეგატების გეგმიური შემადგენლობა და რეჟიმი.

რეაქტიული სიმძლავრების ბალანსების მართვის განხორციელება ხდება, როგორც წესი, ტემპში კონტროლირებადი პარამეტრების მიმდინარე მნიშვნელობების მიხედვით. ოპერატიული დაგეგმვის სტადია აქ ჩვეულებრივად არ გამოიყენება (გარდა ცალკეული შემთხვევებისა), რაც აიხსნება ენერგოსისტემის რეაქტიული დატვირთვების გრაფიკების დაგეგმვასთან დაკავშირებული სიძნელეებით. რეაქტიული სიმძლავრეების ბალანსები სრულდება აქტიური სიმძლავრეების ბალანსების დარღვევის გარეშე.

1.3. პიდროვენერგეტიკული დანადგარების გრძელვადიანი რეჟიმების გაანგარიშების საკითხები.

ენერგოსისტემაში პეს-ის მუშაობის ხანგრძლივი რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანა და, აქედან გამომდინარე, მთელი ენერგოსისტემისა მთლიანობაში, პრინციპულად ცოტათი განსხვავდება ამოცანისაგან, რომელიც განხილული იყო პირველ თავში. მართლაც ხანგრძლივი რეჟიმის ოპტიმიზაციის ნებისმიერი ამოცანა შეიძლება წარმოგადგინოთ ისევე, როგორც დღვ-დამისათვის, მხოლოდ გაზრდილი საანგარიშო T ინტერვალით, მაგრამ ამ დროს მნიშვნელოვნად მატულობს ამოცანის განზომილება; მისი ამოხსნა შესაძლებელი ხდება მხოლოდ თანამედროვე კომპიუტერების გამოყენებით არა ნაკლებ მიღიონი თპერაციით წამში და მექანიკურების პრაქტიკულად შეუზღუდავი მოცულობით. ასეთი ამოცანის რეალიზაცია ხორციელდება მხოლოდ გაანგარიშებებით, რომელთა მიზანია თეორიული პრობლემური საკითხების გადაწყვეტა.

ენერგოსისტემის ექსპლოატაციის პრაქტიკაში აისახება შექმნილი იერარქიული სტრუქტურა მათი რეჟიმების მართვისა, რომელიც ითვალისწინებს ასევე ამოცანის განსაკუთრებულობებს დროის დიდი T პერიოდისათვის.

მართლაც, ხანგრძლივი რეჟიმების ოპტიმიზაციას, მოკლევადიანი ოპტიმიზაციისაგან განსხვავებით, გააჩნია შემდეგი თავისებურებანი: საწყისი ინფორმაციის დიდი ცდომილება; დატვირთვის და საყოფაცხოვრებო მოდინების გრაფიკის სეზონური ცვლილებების გათვალისწინების აუცილებლობა; ქვედა ბიეფის მახასიათებლების ცვლილება ზამთარში ყინულოვანი პირობების ან ზაფხულში წყალდენის მცენარეებით გაბარდვის გამო; ელექტროსადგურებზე მოწყობილობის რიცხვისა და შედგენილობის ცვლილება რემონტის შედეგად; პიდროვენერგოდანადგარების რეჟიმის მიმართ მნიშვნელოვანი მოთხოვნები წყალსამეურნეო სისტემის მონაწილეთა მხრიდან (შეზღუდვები ზედა და ქვედა ბიეფის ნიშნულებში ნაოსნობის, სოფლის მეურნეობის, სამრეწველო და კომუნალური წყალმომარაგების პირობებით და ა.შ.) სპეციფიკური მოთხოვნები არსებობს გარემოს

დაცვის მხრივ. განსაკუთრებული სირთულეები შემოაქვს გაანგარიშებებში დედამიწაზე მტკნარი წყლის შეზღუდული მარაგების კომპლექსური გამოყენების აუცილებლობას, მასში მოთხოვნილების უწყვეტი ზრდის პირობებში. არანაკლებ რთულია საწყისი ინფორმაციის ალბათური და განუსაზღვრელი ხასიათის გათვალისწინებაც [15, 16, 17].

სანგრძლივი რეჟიმების გაანგარიშებებში, განსხვავებით მოკლევადიანი რეჟიმების გაანგარიშებებისაგან, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ პესი წყალსაცავებით გადანააწილებენ დროში მდინარეების საყოფაცხოვრებო ჩადინებას და შესაბამისად, მდინარის $\mathcal{E}_{\text{შ}}(W_{\text{მო}})$ ენერგიას.

მნიშვნელოვანი გავლენა ენერგორესურსების ოპტიმალურ გამოყენებაზე სანგრძლივ ტექნიოლოგი შეუძლია მოახდინოს პეს-ის პიდრავლიკურმა კავშირმა კასკადში ($\tau_{\text{და}}$ -ის და ქვემოთ განლაგებული პეს-ების შეტბორვის გათვალისწინებამ).

პეს-ის სანგრძლივი რეჟიმების ეფექტურობაზე გავლენას ახდენენ ასევე დაწევების მნიშვნელოვანი რხევები წყალსაცავების დაცლა-ავსების გამო. ამ პირობებში (თეს-ებისაგან განსხვავებით) ადგილი აქვს ამოცანას შედეგებით, კერძოდ, წყალსაცავის ნაადრევი ამუშავება შეამცირებს პეს-ის გამომუშავებას დაწევის შემცირების გამო; ამუშავების დაგვიანებას დიდი წყალდიდობისას მოსდევს წყლის ფუჭი გადაგდება და ჩადგმული ენერგიის $\mathcal{E}_{\text{შ}}(W_{\text{მო}})$ დანაკარგები სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩნდება ენერგიის დამატებით დანაკარგები, რომელიც განისაზღვრება არა მარტო მოწყობილობების, არამედ წყალსაცავების რეჟიმებითაც.

ამასთან დაკავშირებით გამოვლინდება პეს-ის სანგრძლივი რეჟიმების მართვის ამოცანის ძირითადი არსი, რომელიც განსხვავდება მოკლევადიანი ამოცანების დანიშნულებისაგან, კერძოდ, ამოცანის ამოხსნა სისტემაში ენერგიის ბალანსისას და პეს-ზე ჩამონადენის გაანგარიშებების მიხედვით. ამასთანავე, ბუნებრივია, ამოხსნილად იგულისხმება მოკლევადიანი ოპტიმიზაციის ამოცანა, რომელიც ახდენს სიმძლავრის ბალანსის რეალიზაციას დროში [18, 19, 20, 21].

ზემოთქმული და ასევე სხვა მოსაზრებები განაპირობებენ წყალსაცავებიანი პესების რეჟიმების მართვაში აგრეგირებისა და დეკომპოზიციის მეთოდების გამოყენების აუცილებლობას.

აბრეგირების მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ელექტრული სადგური წარმოიდგინება საშუალო ინტერვალური ან რეჟიმული მახასიათებლებით, რომლებიც აკავშირებენ ინტეგრალურ ენერგეტიკულ მაჩვენებლებს დროის განსაზღვრულ ინტერვალებში, რომლებიც საერთოდ მიიღებიან ერთი დეკადისა ან ერთი თვის ტოლად. ეს მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდნენ პიდროენერგეტიკული დანადგარების ტექნოლოგიური ან მყისი ენერგეტიკული მახასიათებლებისაგან. მათი გაანგარიშებებისა და აგების დროს უნდა გათვალისწინებული იყოს ელექტროსადგურის რეჟიმის პარამეტრების განსაზღვრის ალგორითმი, ასევე მიღებული ფაზური კოორდინატები და ენერგოსისტემის მართვის სტრუქტურა.

დეკომპოზიციის მეთოდი მდგომარეობს ხანგრძლივი რეჟიმების ოპტიმიზაციის ამოცანის იტერაციულ ამოხსნაში, როცა პირველი რიგის ამოცანად გამოიყოფა ენერგოსისტემის აქტიური ენერგიის გამომუშავების ბალანსი.

მიღებული ამოხსნის ეფექტურობის შეფასება რთულია საწყისი ინფორმაციის ალბათური და განუსაზღვრელი ხასიათისა და წყლის რესურსების მრავალმიზნობრივი გამოყენების გამო. მაგრამ გაანგარიშებების მეთოდებისა და ამოცანის დასმის მიუხედავად სხვადასხვა პიდროენერგეტიკული დანადგარები მასში იქნება წარმოდგენილი გარკვეული ენერგეტიკული მახასიათებლებითა და მაჩვენებლებით. კანონზომიერი იქნება ასევე სხვადასხვა კრიტერიუმების ურთიერთკავშირიც.

ცნობილია, რომ პიდროენერგეტიკული დანადგარების მაჩვენებლების შესაფასებლად გამოიყენება ზოგიერთი, წყლიანობის მიხედვით საშუალო, პირობები. წსს-ის სხვა მონაწილეების მოთხოვნები პეს-ის რეჟიმის მიმართ გათვალისწინებულია შეზღუდვების სახით. ხდება ამ შეზღუდვების გავლენის გაანალიზება პიდროენერგეტიკული დანადგარების რეჟიმზე და მისი ცვლილებების შესაძლებლობაზე მრავალმიზნობრივი კრიტერიუმების შემთხვევაში.

თავი II. პიდროელექტროსაფგურების სადგურშიგა რეზიმების ოპტიმიზაციის პკლების მეთოდიკის შემუშავება

2.1. ამოცანების დასმა და მათემატიკური ფორულირება

სიტყვას „ოპტიმიზაციას“ შეიძლება პქონდეს ლრმა აზრი, მაგრამ შეიძლება არც პქონდეს რაიმე კონკრეტული აზრი, თუ მას გამოვიყენებთ, როგორც ეს ხშირად ხდება, მხოლად სიტყვა „კარგის“ აქვივალენტურად. სიტყვა „ოპტიმალური“ უნდა ნიშნავდეს, რომ რაიმე ობიექტი (პროცესი) უკავეთესად, ვიდრე სხვა ობიექტები (პროცესები), პასუხობს გარკვეულ მაჩვენებლებს – ოპტიმალურობის კრიტერიუმებს. ამრიგად, ოპტიმალურობის ცნება ფარდობითია.

პროცესების შედარება დადის ისეთ ამოცანებზე, რომელთა გადაწყვეტაც, როგორც წესი, უნდა აჩვენებდეს, რამდენად (ან რამდენჯერ) ერთი განსახილველი პროცესი უკავეთესია მეორეზე, ან დანარჩენებზე, რომელთა შედარება შესაძლებელია ოპტიმალურობის კრიტერიუმების გამოყენებით. ზოგიერთ შემთხვევებში მხოლოდ ოპტიმალურობის რაოდენობრივი მაჩვენებლების შემოტანა რთულდება და ამიტომ იძულებულები ვართ ვისარგებლოთ ზოგადი თვისობრივი მახასიათებლით. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ენერგეტიკული ნაგებობის ეკოლოგიური ზეგავლენის ოპტიმიზაციის შემთხვევა, როცა სისტემის დაპროექტებისას ან ექსპურტაციისას ხდება გადაწყვეტის ყველაზე ნაკლებ არასასურველი ზეგავლენის უზრუნველყოფა გარემოს სხვადსხვა ასპექტებზე.

პროცესები ენერგეტიკულ სისტემებში აისახება ჩვეულებრივი დიფერენციალური და ალგებრული განტოლების სისტემებით. ამ სისტემებში პროცესების განხილვისას აუცილებელია განხილული იქნას შემაშფოთებელი ზემოქმედებები შემოსული გარე არხებით (ნედლეულის შემადგენლობის ცვლილება, რესურსების გაზრდა ან შემცირება) და შიგა არხებით (მართვის წინა პერიოდებში დავალების რეალიზაციის უზუსტობები, მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლა).

შემფოთებების მოქმედება იწვევას ოპერატიული მართვის აუცილებლობას ენერგეტიკაში. ასეთი მართვის ამოცანაა საწარმოო პროგრამის შესრულების უზრუნველყოფა კონკრეტული სიტუაციების აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც თავს იყრის ოპერატიული მართვისას. ამ ამოცანის გადაწყვეტა ხორციელდება ოპერატიული მართვის მოდელების დახმარებით. ოპერატიული მართვის დინამიკური მოდელი შედგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც განკუთვნილია შეთანხმებული ოპტიმალური გადაწყვეტილების ძიებისთვის: პირველი (თავად ოპერატიული მართვა) – დროის მიმდინარე მომენტისთვის (საათისთვის, ცვლისთვის), მეორე (დაგეგმვის მოდელი) – მთელს წინა პერიოდისთვის (დღე-დამისთვის, კვირისთვის, კვარტლისათვის, წელიწადისათვის).

ოპერატიული მართვის გადაწყვეტის გვექმნება დაკავშირებულია სისტემის ფუნქციონირების პირობების პროგნოზირების შესაძლებლობასთან ოპერატიული მართვის ეტაპზე. ამასთან ძირითადი შემაშფოთებელი ზემოქმედებების პროგნოზირება საკმარისი სიზუსტით შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დროის შეზღუდულ ინტერვალზე.

ოპერატიული მართვის ამოცანა შეზღუდვების გამო, რომლებიც ასახავენ წარმოების სპეციფიკას, წარმოადგენს არაწრფივი პროგრამირების მრავალ განზომილებიან ამოცანას, რომელიც გადასაწყვეტად საკმაოდ რთულია.

გუგმიური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლამ ისევე, როგორც სამეურნეო მოღვაწეობის სხვა დარგების, შეცვალა ელექტროენერგეტიკის განვითარებისა და ფუნქციონირების პირობები. კერძოდ, შეიმჩნევა ტენდეცია დეცენტრალიზაციისაკენ რეჟიმების მართვაში და ობიექტის ცალკეული მესაკუთრების სწრაფვა ინდივიდუალური სარგებლობის მიღწევისაკენ. ეს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ელექტროსადგურების, კერძოდ, ჰიდროელექტროსადგურების სადგურშიგა რეჟიმების ოპტიმიზაციის მეთოდების სრულყოფას თვითოვეული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პესის სადგურშიგა რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანას გააჩნია რამდენიმე ძირითადი ქვეამოცანა, მათ შორის დღელამური რეჟიმის დაგეგმვა და მისი კორექცია პესის ენერგოსისტემაში მუშაობის პირობების ცვლილების გათვალისწინებით. მათემატიკური განსხვავება ამ ქვეამოცნებს შორის განისაზღვრება მხოლოდ საანგარიშო პერიოდით, რაც იძლევა ზოგადი ამოცანის დასმის შესაძლებლობას, რომელსაც დაემატება შემდგომ სხვადასხვა პესების თავისებურებების ანალიზი. ტექნოლოგიური პროცესის ყველა თავისებურებების კორექტული გათვალისწინებისაგან დიდად არის დამოკიდებული პიდროენერგორესურსების გამოყენების ეფექტურობა მთლიანობაში, რაც სადგურშიგა რეჟიმების ოპტიმიზაციის ამოცანას ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

რადგანაც პესის ენერგეტიკული მახასიათებლები მიიღება სადგურშიგა რეჟიმების ოპტიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტისაგან, მისი დასმისა და გადაწყვეტის მეთოდებისაგან იქნება დამოკიდებული ამ მახასიათებლების ზოგადი სახე და ხასიათი.

ზოგად შემთხვევაში, როგორც ცნობილია ცალკეული პესის სადგურშიგა რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანა, როცა მის აგრეგატების გააჩნია სხვადასხვა ენერგეტიკული მახასიათებლები, ასე შეიძლება დაისვას: განსახილველი $T = t_b - t_0$ პერიოდისათვის მოიძებნოს დატვირთვის ქვეშ ჩართული პიდროაგრეგატების ისეთი $z_0(t)$ რიცხვი, მათი $S^0(t)$ შემადგენლობა და პესის მოცემული $N_{\text{ჯ}}^{000}(t)$ აქტიური და $\Theta_{\text{ჯ}}^{000}(t)$ რეაქტიული დატვირთვების გრაფიკების განაწილება რომელიც უპასუხებს მიღებულ ოპტიმალურობის კრიტერიუმის ექსტრემუმს აგრეგატების რეჟიმების ცნობილი შეზღუდვების პირობებში. მოცემულად იგულისხმება პესის მოწყობილობის რეჟიმების და ბიუფების მდგომარეობა T პერიოდის t_0 საწყის და t_b ბოლო მომენტებში, აგრეგატების ენერგეტიკული მახასიათებლები, ბიუფების მახასიათებლები, პიდროაგრეგატების ელექტრული შეერთებების სქემა და პესის პიდრავლიკური სქემა.

პესის ზოგადი კანონზომიერებების და ეფექტური სადგურშიგა რეჟიმის ორგანიზების თავისებურებების გათვალისწინების მიზნით

მიზანშეწონილია არა რამოდენიმე, არამედ ერთი ყველაზე უფრო საჩვენებელი სადგურისათვის ოპტიმალურობის კრიტერიუმი, რომელიც გამომდინარეობს პესის თავისებურებებიდან. ასეთი კრიტერიუმები შეიძლება იყოს, მაგალითად, პესზე ენერგიის დანაკარგის მინიმუმი, ან მ.ქ.კ-ს მაქსიმუმი. ტოლობების ტიპის შეზღუდვებად ჩვეულებრივად მიღებული უნდა იყოს პესის აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეების ბალანსი, ხოლო უტოლობის ტიპის შეზღუდვებად გათვალისწინებული უნდა იყოს შეზღუდვები ჰიდროაგრეგატის ან მთლიანად პესის აქტიურ სიმძლავრეზე.

აგრეგატების ზღვრული დატვირთვები განისაზღვრება როგორც მათი გამტარუნარიანობით, ასევე ეკონომიკური შეზღუდვებით მათი მცირე დატვირთვისას. მთლიანად პესზე შეიძლება დაღებული იქნეს შეზღუდვები ელექტროგადამცემი ხაზების გამტარუნარიანობაზეც და ა.შ.

უტოლობის ტიპის შეზღუდვები რეაქტიული დატვირთვების მიხედვით ძირითადად განისაზღვრება ენერგოსისტემის რეჟიმის მდგრადობით და დამოკიდებულია მთლიანად პესზე და არა თვითგულ აგრეგატზე. დაშვებები აგრეგატის გაშვება-გაჩერების დასაშვები მაქსიმალური რიცხვის მიხედვით T პერიოდის განმავლობაში განისაზღვრება მოთხოვნებით ჰიდროაგრეგატების მუშაობის სამედობის უზრუნველყოფაზე.

ოპტიმალურობის ძირითად ერთმიზნობრივ კრიტერიუმად შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი:

პესში ჩადგმული ენერგიის მინიმუმი T პერიოდის განმავლობაში

$$E_{\text{შე}}^{\text{შე}}(T) = \int_{t_0}^{t_\delta} N_{\text{შე}}^{\text{შე}}(t) dt = \int_{t_0}^{t_\delta} \sum_{i=0}^{z_{0,s^0}(t)} N_{s_i}^{\text{შე}}(t) dt \Rightarrow \min, \quad (2.1)$$

სადაც $N_{s_i}^{\text{შე}} = 9.81 Q_{s_i} H_{s_i}$ – პესის აგრეგატის ჩადგმული სიმძლავრე;

მ.ქ.კ. მაქსიმალური ან პესზე ენერგიის დანაკარგის მინიმუმი T პერიოდის განმავლობაში

$$\begin{aligned}\Delta E_{\text{obj}}(T) &= \int_{t_0}^{t_\delta} \Delta N_{\text{obj}}(t) dt = \int_{t_0}^{t_\delta} \sum_{i=0}^{z_{0,s^0}(t)} \Delta N_{s,i}(t) dt = \\ &= 9.81 \int_{t_0}^{t_\delta} \sum_{i=0}^{z_{0,s^0}(t)} Q_{s,i}(t) H_{s,i}(t)(1 - \eta_{s,i}(t)) dt \Rightarrow \min;\end{aligned}\quad (2.2)$$

პერიოდული გავლით ჩადენის მინიმუმი ΔQ_{obj} ამუშავების დანაკარგების, ΔQ_{obj} უქმდება სკორის დანაკარგების და $\Delta Q_{b,j}$ სინქრონული კომპესატორის რეჟიმში მიმმართველი აპარატიდან წყლის გაუონგების გათვალისწინებით

$$W_{\text{obj}}(t) = \int_{t_0}^{t_\delta} Q_{\text{obj}}(t) dt = \int_{t_0}^{t_\delta} \left[\sum_{i=0}^{z_{0,s^0}(t)} (Q_{s,i}(t) + \Delta Q_{s,i}(t) + \Delta Q_{\text{obj}}(t)) + \Delta Q_{b,j}(t) \right] dt \Rightarrow \min; \quad (2.3)$$

ოპტიმალურობის კრიტერიუმი შეიძლება მოცემული იქნას გექტორული ფორმით, თუ ის მრავალმიზნობრივია.

ტოლობის ტიპის შეზღუდვებად ჩვეულებრივად ღებულობებს პერიოდული და რეაქტიული სიმძლავრეების ბალანსს:

$$N_{\text{obj}}^{\text{act}}(t) - \sum_{i=0}^{z_{0,s^0}(t)} N_{s,i}(t) = \varphi(t) = 0 \quad (2.4)$$

$$\Theta_{\text{obj}}^{\text{act}}(t) - \sum_{i=0}^{z_{0,s^0}(t)} \Theta_{s,i}(t) = \Psi(t) = 0 \quad (2.5)$$

უტოლობის ტიპის შეზღუდვებად ითვალისწინებენ შეზღუდვებს პიდროაგრეგატის ან მთლიანად პერიოდული სიმძლავრის მიმართ:

$$N_{s,i}^{\text{act}}(t) \leq N_{s,i}(t) \leq N_{s,i}^{\text{act}}(t), \quad (i = 1, 2, \dots, k) \quad (2.6)$$

$$N_{\text{obj}}^{\text{act}}(t) = \sum_{i=0}^{z_{0,s^0}(t)} N_{s,i}^{\text{act}} \geq N_{\text{obj}}^{\text{act}}(t) \quad (2.7)$$

ან ხარჯის მიმართ

$$Q_{\text{obj}}^{\text{act}}(t) = \sum_{i=0}^{z_{0,s^0}(t)} Q_{s,i}^{\text{act}} \geq Q_{\text{obj}}^{\text{act}}(t) \quad (2.8)$$

აგრეგატების ზღვრული დატვირთვები განისაზღვრება როგორც მათი გამტარუნარიანობით, ასევე ეკონომიკური შეზღუდვებით მათი მცირე დატვირთვისას. მთლიანად პესზე შეიძლება დადგებული იქნეს შეზღუდვები ელექტროგადამცემი ხაზების გამტარუნარიანობის მიხედვით წყალსამეურნეო სისტემის მოთხოვნების მიხედვით და ა.შ.

უტოლობის ტიპის შეზღუდვები რეაქტიული დატვირთვების მიხედვით ძირითადად განისაზღვრება ენერგოსისტემის რეჟიმის მდგრადობით და დამოკიდებულია მთლიანად პესზე და არა თვითეულ აგრეგატზე. დაშვებები აგრეგატის გაშვება-გაჩერების დასაშვები მაქსიმალური რიცხვის მიხედვით T პერიოდის განმავლობაში განისაზღვრება მოთხოვნებით პიდროაგრეგატების მუშაობის საიმედოობის უზრუნველყოფაზე.

ზემოთ დასმული ძირითადი ამოცანა სხვადასხვა ტიპის აგრეგატებით არაწრფივია პესის აგრეგატების მახასიათებლების არაწრფივობის გამო, არ გააჩნია ზოგადი ამოხსნა ანალიზური სახით და ყოველ კერძო შემთხვევაში შეიძლება გადაწყვეტილი იქნას მხოლოდ რიცხვითი გზით მათემატიკური პროგრამირების მეთოდების, კერძოდ, დინამიკურ პროგრამირების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ მოგვავს ამ გადაწყვეტის ალგორითმი.

მოცემული ალგორითმი ემყარება პიდროაგრეგატების ენერგეტიკული მახასიათებლების ბიბლიოთების და ძირითადად დინამიკური პროგრამირების (სხვანაირად „დინამიკური დაგეგმვის“) მათემატიკურ მეთოდის გამოყენებას. როგორც ცნობილია, აღნიშნული მახასიათებლები მიიღება მოდელური ან ნატურული გამოცდებით მიღებული შედეგების დამუშავების საფუძველზე და მასზე არ შევჩერდებით. რაც შეეხება დინამიკური პროგრამირების მეთოდს, როგორც მისი გამოყენების გამოცდილება აჩვენებს, იგი იძლევა ყველაზე უფრო ზუსტ შედეგებს და შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ეტალონური მეთოდი ალგორითმების შედარებისას. უნდა აღინიშნოს, რომ „პროგრამირებაში“ აქ იგულისხმება „გადაწყვეტილების მიღება“, „დაგეგმვა“, ხოლო სიტყვა „დინამიკური“ მიუთითებს დროის და ოპერაციების შესრულების რიგის მნიშვნელობას განხილვაში მყოფი პროცესებისათვის. დინამიკური პროგრამირების

მეთოდით ზოგადი ექსტრემალური ამოცანა დაიყვანება უფრო მარტივი ექსტრემალური ამოცანების მწკრივზე და იგი წარმატებით გამოიყენება როგორც დისკრეტულ, ასევე უწყვეტი პროცესების კვლევაში. საერთოდ, ამ მეთოდს არ გააჩნია რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნები აგრეგატის მახასიათებლებისა და ამოცანის განზომილების მიმართ [25, 26].

შემოთავაზებული ალგორითმი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი – ჰიდროელექტროსადგურის ენერგეტიკული მახასიათებლების აგება, მეორე – ჰიდროაგრეგატების შემადგენლობისა და რეჟიმების მართვის გეგმის შედგენა შეზღუდვების გათვალისწინების მთელ განსახილველ პერიოდზე.

ზემოთ დასმული ძირითადი ამოცანა სხვადასხვა ტიპის აგრეგატებით არაწრფივია ჰესის აგრეგატების მახასიათებლების არაწრფივობის გამო, არ გააჩნია ზოგადი ამონასსნი ანალიზური სახით და ყოველ კერძო შემთხვევაში შეიძლება გადაწყვეტილი იქნას მხოლოდ რიცხვითი მეთოდების გზით, ძირითადად მათემატიკური პროგრამების მეთოდებით.

ქვემოთ მოცემულია ჰესის ჰიდროაგრეგატების ენერგეტიკული მახასიათებლების ანალიზი, რომლის ძირითადი ელემენტებია: ჰიდროტურბინა და გენერატორი. საწყის ინფორმაციად გამოიყენება სიმძლავრის დანაკარგების მახასიათებლები.

ჰიდროაგრეგატში ΔN_s სიმძლავრის დანაკარგები ტოლია ΔN_δ და ΔN_α ჯამისა, რომელთაგან თითოეული დამოკიდებულია მრავალ ფაქტორისაგან და ამასთან უმეტეს შემთხვევებში ეს დამოკიდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ არაცხადი ფუნქციის სახით. ამიტომ ΔN_δ და ΔN_α დამოკიდებულებების გამოკვლევისათვის დამყარებულ რეჟიმში საჭიროა ვისარგებლოთ ბალანსური მეთოდით.

ჩვეულებრივ, დამყარებულ რეჟიმებში განიხილება ტურბინის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები და პარამეტრები: ΔN_δ – ჩადგმული სიმძლავრე გენერეტორთან ($N_\delta = N_\alpha^{\text{მდ}};$ $Q_s = Q_\delta$ – წყლის ხარჯი

აგრეგატი: $H_\delta = H_s - \delta \zeta \rho b_0 n_0$ (აგრეგატის დაწყევა ანუ დაწყევა ნეტო); $\eta_\delta = \delta \zeta \rho b_0 n_0 / \rho \cdot g \cdot k$; $a_0 = \text{მიმმართველი აპარატის გადება}$; $\varphi = \delta \zeta \rho b_0 n_0 / \rho \cdot g \cdot k$ თვალის ფრთხის დაყენების კუთხე; $D_1 = \delta \zeta \rho b_0 n_0 / \rho \cdot g \cdot k$ თვალის დიამეტრი; $n = \text{ბრუნთა სიხშირე}$; $n_s = \text{სწრაფმავლობის კოეფიციენტი}$.

გარდა მითითებული ძირითადი პარამეტრებისა და მაჩვენებლებისა, ჩვეულებრივად გამოიყენება აგრეთვე მათგან წარმოებულები, მათ შორის ΔN_δ – სიმძლავრის დანაკარგები ან ΔQ_δ – წყლის ხარჯის დანაკარგი, სხვადასხვა სახის $q_\delta^{b_3}$ და q_δ დიფერენციალური მახასიათებელი, განსხვავებით ΔN_δ , ΔQ_δ , $q_\delta^{b_3}$, q_δ , η_δ სიდიდეების N_δ , H_δ , Q_δ სიდიდეებს უწოდებენ ტურბინის რეჟიმის აბსოლუტურ მაჩვენებლებს.

ტურბინის რეჟიმის ჩამოთვლილი მაჩვენებლები და პარამეტრები გამოიყენება აგრეგატების რეჟიმების სხვადსხვა გაანგარიშებებსა და გამოკვლევებში. ასე მაგალითად N_δ , და Q_δ , ΔN_δ , და ΔQ_δ გამოიყენება სიმძლავრის ბალანსისა და წყლის ხარჯის გაანგარიშებაში ჰესის გასწორში, H_δ განსაზღვრავს სითხის თითოეული მოცულობის ენერგეტიკულ განვითარებას. ამის გარდა, ΔN_δ და ΔQ_δ ისევე როგორც η_δ გამოიყენება ჰიდროაგრეგატის რეჟიმის უფექტურობის შესაფასებლად N_δ , H_δ , Q_δ აბსოლუტური გამზომილ მაჩვენებლებთან ერთად.

ჩვენ ძირითად საწყის მაჩვენებლად ტურბინის რეჟიმისათვის ენერგეტიკულ გაანგარიშებების გლებულობთ ΔN_δ .

ჰიდროაგრეგატების ოპტიმალური რეჟიმების გაანგარიშებისა და ანალიზისას ფართოდ გამოიყენება ტურბინისა და მთლიანად აგრეგატის დიფერენციალური მაჩვენებლები და მახასიათებლები. ამ მახასიათებლების სახეზე და თავისებურებებზე დიდადად დამოკიდებული ჰესის ოპტიმალური რეჟიმების ძიების ამა თუ იმ მეთოდის კონკრეტულობა და თვითონ რეჟიმის უფექტურობა.

ზოგადი სახით ტურბინისათვის დამყარებული რეჟიმისას, რეჟიმის ძირითადი მაჩვენებლების და პარამეტრების დამოკიდებულება

შეიძლება გამოისახოს შემდეგი სახის F_{δ} არაცხადი ფუნქციის
(ტურბინის ზოგადი მახასიათებლის) სახით:

$$F_{\delta} = F_{\delta}(N_{\delta}, Q_{\delta}, a_0, \varphi, D_1 n) = 0 \quad (2.9)$$

რადიალურ-ღერძული და ჩამჩიანი ტურბინების გაანგარიშებეჭი
ფ გამოიტოვება. მბრუნავფრთიანი და დიაგონალური ტურბინებს აქვთ
ხუთი საანგარიშო ცვლადი: a_0 , φ , D_1 , n და ერთ-ერთი N_{δ} , H_{δ} , Q_{δ} -დან.
რადიალურ-ღერძულში ოთხი: a_0 , D_1 , n და ერთ-ერთი N_{δ} , H_{δ} , Q_{δ} -დან.
ჩამოთვლილი საანგარიშო ცვლადებიდან შეიძლება განისაზღვროს,
როგორც დარჩენილი ცვლადები, ასევე მათგან წარმოებულები. ეს
მიუთითებს ცვლადების დაყოფის პირობითობას საანგარიშოდ და
მათზე დამოკიდებულებად. მათი ამორჩევა განისაზღვრება ამოცანის
კონკრეტულ პირობებით.

F_{δ} ფუნქცია (2.9) მრავალგანზომილებიანია და არ გააჩნია
ანალიზური გამოსახულება, მისი ანალიზისათვის გამოიყენება F_{δ}
პიპერზედაპირის სხვადასხვა კვეთები. თუ განვიხილავთ F_{δ} ფუნქციას,
დამოკიდებულს მხოლოდ ერთი ცვლადისაგან დანარჩენების
მუდმივობის პირობით, მაშინ ამის შედეგი იქნება ფაზური
მახასიათებლები, კიბერნეტიკაში მიღებული ტერმინებით, ანუ წრფივი,
როგორც ეს მიღებულია პიდრავლიკურ მანქანებში.

არსებობს რამოდენიმე მიღგომა დასახელებულ ფაზური (წრფივი)
მახასიათებლის განსაზღვრისათვის:

პირველი – დამოუკიდებული ცვლადის მიხედვით: დაწნევითი,
შექცევადი, ხარჯვითი და სიმძლავრითი და ა.შ. მაგალითად, შექცევადი
მახასიათებელი წარმოადგენს $N_{\delta}(n), Q_{\delta}(n)$ და ა.შ. $H_{\delta}, a_0, \varphi, D_1$
მუდმივობის შემთხვევაში.

მეორე – დამოკიდებული ცვლადის მიხედვით: მუშა (მ.ქ.კ
მიხედვით), Q_{δ} (ხარჯვის მიხედვით) და ა.შ.

ფაზური მახასიათებლები არასრულად გამოსახავს F_{δ} მრავალ-
განზომილებიანი ზედაპირის ყველა თავისებურებას. ამ თვალსაზრისით

უფრო წარმომადგენლობითია უნივერსალური მახასიათებლები, რომლებიც ასახავს ტურბინის რეჟიმის პარამეტრების მაჩვენებლების დამოკიდებულებას ორი ცვლადისაგან. ამჯამად ფართოდ არის გავრცელებული $\eta_{\delta}(N_{\delta}, H_{\delta})$ დაწნევით-სიმძლავრითი ექსპლუატაციური (ზოგჯერ მას უწოდებენ ექსპლუატაციურს), $\eta_{\delta}(Q_{\delta}, H_{\delta})$ – დაწნევით ხარჯვითი ექსპლუატაციური, უბრალოდ $\varphi(a_{\delta}, H_{\delta})$ – კომბინატორული და ა.შ. თითოეული ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან გამოიყენება სხვადასხვა გაანგარიშებებში. მაგალითად: $\eta_{\delta}(N_{\delta}, H_{\delta})$ დაწნევით – სიმძლავრითი მოსახერხებელია აგრეგატის მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად N_{δ} , და H_{δ} ცვლადების გაზომილი მნიშვნელობებისას; $\eta_{\delta}(Q_{\delta}, H_{\delta})$ დაწნევით – ხარჯვითი მახასიათებელი წყლის ხარჯის გამოყენების ან აგრეგატთან ჩადგმული ენერგიის ანალიზისას. კომბინატორული მახასიათებელი აუცილებელია ნაკადის ენერგიეს ოპტიმალური გამოყენებისათვის მბრუნავფრთიან და დიაგონალურ ტურბინებში.

ფაზური და უნივერსალური მახასიათებლები ფართოდ იქნება გამოყენებული შემდგომი მსჯელობებისას. აგრეგატის რეჟიმების ანალიზი დამყარებული იქნება სიმძლავრის დანაკარგების მახასიათებლის გამოყენებაზე, როგორც საფუძველზე ყველა დანარჩენი მახასიათებლის მისაღებად. ტურბინისა და გენერატორის რეჟიმული მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულება ხორციელდება სიმძლავრეთა ბალანსის სასფუძველზე აგრეგატთან ჩადგმული სიმძლავრის მოცემული მნიშვნელობებისას, რომელიც პროპორციულია $Q_{\delta} = Q_s$ და $H_{\delta} = H_s$. მცირე აგრეგატებისათვის აუცილებელია, აგრეთვე, გათვალისწინებული იქნას სიმძლავრის დანაკარგები რედუქტორში, რომელიც აკავშირებს ტურბინას გენერატორთან.

ტურბინის რეჟიმის სხვადასხვა მაჩვენებლების ურთიორთ დასაკავშირებლად და მათი ენერგეტიკული მახასიათებლის მისაღებად განვიხილოთ მისი სიმძლავრის ბალანსის მდგრენელები.

ΔN_{δ} ტურბინაში სიმძლავრის სრული დანაკარგები შედგება სამი ძირითადი მდგრენელისაგან:

$$\Delta N_{\delta} = \Delta N_{\delta}^Q + \Delta N_{\delta}^H + \Delta N_{\delta}^{Bd} \quad (2.10)$$

ΔN_{δ}^Q – მოცულობითი დანაკარგები დამოკიდებულია იმაზე, რომ ტურბინის ხარჯის ნაწილი მუშა თვალსა და მის კამერას შორის არსებული დრენაჟის გავლისას არ მონაწილეობს მუშა პროცესში;
 ΔN_{δ}^H – დაწევის პიდრავლიკური დანაკარგები, რომელიც ითვალისწინებს ჩადგმული სიმძლავრის დანაკარგებს ნაკადის დარტყმითი შესვლის გამო მუშა თვალზე, ადგილობრივი და საგზაო (სიგრძეზე) დაწევის დანაკარგები პიდროტურბინულ დანადგარში, სიმძლავრის დანაკარგები წყლის წარმავალი ნაკადისაგან და ა.შ.;
 ΔN_{δ}^{Bd} – მექანიკური და სხვა სახის დანაკარგები, დაკავშირებული ხახუნის გადალახვასთან ტურბინის მბრუნავ ნაწილებში, ვენტილაციაზე და ა.შ.; ΔN_{δ}^Q და ΔN_{δ}^H – ჯამს ეწოდება ΔN_{δ} სიმძლავრის პიდრავლიკური დანაკარგები ტურბინაში.

ეველა ჩამოთვლილი დანაკარგები ერთმნიშვნილოვნად არის დამოკიდებული ტურბინის რეჟიმის ძირითად მაჩვენებლებზე დამყარებულ რეჟიმში. (2.10)-ის თითოეული მდგრენელის ხვედრითი წილი დამოკიდებულია ტურბინების ტიპისაგან და უმეტესად განსაზღვრავს პიდროგრეგატის ენერგეტიკული მახასიათებლების ზოგად სახეს მთლიანობაში.

$H_{\delta} = H_s$ და $Q_{\delta} = Q_s$ მნიშვნელობებისთვის, რომლებიც მიიღება პესის ოტიმალური სადგურშიგა რეჟიმების გაანგარიშებით აგრეგატთან (ე.ი. ტურბინასთან) მიტანილი სიმძლავრე კვტ-ში ტოლია:

$$\left. \begin{aligned} N_s^{\text{ნაკ}} &= N_{\delta}^{\text{ნაკ}} = 9.81 Q_{\delta} H_{\delta} \\ N_s^{\text{ნაკ}} &= N_{\delta}^{\text{ნაკ}} = \frac{Q_{\delta} H_{\delta}^{\text{ნაკ}}}{102} \end{aligned} \right\} \quad (2.11)$$

ტურბინის სასარგებლო სიმძლავრე ანუ სიმძლავრე ჩადგმული გენერატორთან (მცირე პესებისათვის ეს სიმძლავრე ჩადგმული

რედუქტორთან) $N_{\delta}^{fix} = N_{\delta} \text{ იქნება } \text{ ნაკლები } \text{ ვიდრე } N_{\delta}^{fix}, \Delta N_{\delta} = \Delta N_{\delta}(Q_{\delta}, H_{\delta})$
დანაკარგით, გ.ი.

$$N_{\delta} = N_{\delta}^{fix} - \Delta N_{\delta} = \frac{Q_{\delta} H_{\delta}}{102} - \Delta N_{\delta}(Q_{\delta}, H_{\delta}) \quad (2.12)$$

შესაბამისად η_{δ} გურძინის სრული გ.ქ.გ. ტოლი იქნება:

$$\eta_{\delta} = \frac{N_{\delta}}{N_{\delta}^{fix}} = \frac{N_{\delta}^{fix} - \Delta N_{\delta}}{N_{\delta}^{fix}} = 1 - \frac{\Delta N_{\delta}}{N_{\delta}^{fix}} \quad (2.13)$$

(1.34)-ის ადგილას შეიძლება დაიწეროს

$$N_{\delta} = N_{\delta}^{fix} \eta_{\delta} = 9.81 Q_{\delta} H_{\delta} \eta_{\delta} = 9.81 H_{\delta} (Q_{\delta}^0 - \Delta Q_{\delta}) \quad (2.14)$$

სადაც $H_{\delta}^0 = \text{გურძინის ხარჯი}, \text{ როცა } \eta_{\delta} = 1;$

$$\Delta Q_{\delta} = \frac{\Delta N_{\delta}}{9.81 H_{\delta}} \quad (2.15)$$

მაშასადამე

$$\Delta N_{\delta} = N_{\delta}^{fix} (1 - \eta_{\delta}) = N_{\delta} \left(\frac{1 - \eta}{\eta} \right) = 9.81 H_{\delta} \Delta Q_{\delta} \quad (2.16)$$

ანუ ფარდობით ერთეულებში:

$$\Delta N_{\delta}^* = \frac{\Delta N_{\delta}}{N_{\delta}} = \frac{1 - \eta_{\delta}}{\eta_{\delta}} \quad (2.17)$$

(2.11) – (2.12) გამომდინარეობს, რომ რეჟიმის ყველა პარამეტრები შეიძლება ერთმნიშვნელოვნად იქნას გამოსახული N_{δ} -თი Q_{δ} და H_{δ} ცნობილი მნიშვნელობებისას, რაც არსებითად ამარტივებს გაანგარიშებას.

წყლის ხვედრითი ხარჯები სიმძლავრის მიხედვით ტოლი იქნება:

$$q_{\delta}^{b_3} = \frac{N_{\delta}}{Q_{\delta}} = \frac{102N_{\delta}^{f_{\text{ნა}}}}{N_{\delta}} = \frac{102}{N} \left(1 - \frac{\Delta N_{\delta}}{N_{\delta}} \right) = \frac{102}{H_{\delta} \eta_{\delta}} \quad (2.18)$$

$q_{\delta}^{b_3}$ სიდიდე შეესაბამება წყლის ხარჯს ერთეულ სიმძლავრეზე აბსოლუტური მნიშვნელობით $q_{\delta}^{b_3}$ აღწევს რამდენიმე $\text{მ}^3/(\text{წ}\cdot\text{მ}^3)$. დაბალწნევიანი პესისათვის არ აღემატება 1 $\text{მ}^3/(\text{წ}\cdot\text{მ}^3)$. მაღალდაწნევიანი პესებისათვის. აქედან ჩანს უკანასკნელთა მაღალეფების გადაცვა.

$q_{\delta}^{b_3}$ –ის შებრუნებული სიდიდე ახასიათებს წყლის ხარჯის თითოეული ერთეულის ენერგეტიკულ ტევადობას:

$$q_{\delta}^{b_3} = \frac{1}{q_{\delta}^{b_3}} = \frac{N_{\delta}}{Q_{\delta}} = \frac{N_{\delta}}{102} \left(1 + \frac{\Delta N_{\delta}}{N_{\delta}^{f_{\text{ნა}}}} \right) = \frac{H_{\delta} \eta_{\delta}}{102} \quad (2.19)$$

$q_{\delta}^{b_3}$ მაქსიმალური, ე.ი. ყველაზე ეფექტური მნიშვნელობები დამახასიათებელია მაღალწნევიანი პესებისათვის.

პრაქტიკაში გამოიყენება სხვა ხვედრითი მაჩვენებლები: $q_{\delta}^{b_3}$ $03/(\text{წ}\cdot\text{მ}^3)$ სთ) და $q_{\delta}^{b_3}$ ($\text{მ}^3/\text{წ}\cdot\text{სთ}/03$), რომლებიც ახასიათებს W_{δ} ჩამონადენის გამოყენების ეფექტურობას:

$$q_{\delta}^{b_3} = \frac{W_{\delta}}{J_{\delta}} = q_{\delta}^{b_3} \cdot 3600 \quad (2.20)$$

ტურბინაში სიმძლავრის ბალანსის ზოგადი განტოლებები Q_{δ} და H_{δ} მოცემული მნიშვნელობებისას და $\Delta N_{\delta} = (Q_{\delta} H_{\delta})$ სიმძლავრის დანაკარგების მახასიათებლებისას შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით:

$$N_{\delta} = N_{\delta}^{b_{\delta}} = N_{\delta}^{b_{\delta}} - \Delta N_{\delta}^Q - \Delta N_{\delta}^{H_{\delta}} - \Delta N_{\delta}^H \quad (2.21)$$

ოპტიმიზაციურ გაანგარიშებებში გამოიყენება ტურბინის დიფერენციალური მაჩვენებლები პესზე სიმძლავრის ბალანსის პირობიდან, როცა $H_{\delta} = \text{const.}$ მიღებული მაჩვენებლების სანდოობისა და გაანგარიშებების მოხეხებულობის თვალსაზრისით. ყველაზე უფრო სწორია, თუ პიდროაგრეგატის რეჟიმის ანალიზისას გამოიყენებული იქნება განზოგადებული დიფერენციალური მაჩვენებლები N_{δ}^N , q_{δ}^N კ.ო.

$$q_{\delta N_{\delta}}^{\Delta} = \frac{d\Delta N_{\delta}}{dN_{\delta}^{b_{\delta}}} = 1 \left(\eta_{\delta} + N_{\delta}^{b_{\delta}} \frac{d\eta_{\delta}}{dN_{\delta}^{b_{\delta}}} \right) \quad (2.22)$$

ან Q_{δ} -ს მიხედვით, კ.ო.

$$q_{\delta Q}^{\Delta} = \frac{d\Delta N_{\delta}}{dQ_{\delta}} = \frac{H_{\delta}}{102} \left[1 - \left(\eta_{\delta} + Q \frac{d\eta_{\delta}}{dQ_{\delta}} \right) \right] \quad (2.23)$$

როცა $H_{\delta} = \text{const.}$

ამ მაჩვენებლის დახმარებით შეიძლება განისაზღვროს ტურბინის დიფერენციალური მაჩვენებლიც საყოველობრივ მიღებული ფორმულით, კ.ო.

$$q_{\delta Q}^{\Delta} = \frac{d\Delta N_{\delta}}{dQ_{\delta}} = \frac{d(N_{\delta}^{b_{\delta}} - \Delta N_{\delta})}{dQ_{\delta}} = \frac{H_{\delta}}{10} - q_{\delta Q}^{\Delta N_{\delta}} \quad (2.24)$$

ამრიგად, ჰესის რეჟიმების გაანგარიშებისა და ანალიზის ბალანსური მეთოდი საშუალებას იძლევა შეიკვეცოს ტურბინის სხვადასხვა დიფერენციალური მაჩვენებლების რიცხვი და დაყვანილი იყოს q_{ϕ}^N ერთ მაჩვენებელზე, რომელიც განისაზღვრება $\Delta N_{\phi}(Q_{\phi})$ -ის მიხედვით და მოწმდება $\eta_{\phi}(Q_{\phi})$ -ით.

ყველა სადგურშიგა რეჟიმების ოპტიმიზაციის ალგორითმო სტრუქტურულად შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოებს გაანგარიშებები, რომლებიც დაკავშირებულია საწყისი ინფორმაციის მომზადებასთან, მაგალითად, აგრეგატების მახასიათებლების გაანგარიშებასთან, რადგანაც ზოგად შემთხვევაში აგრეგატების დაძველების, სადგურებისა და აგრეგატების რეჟიმების ცვალებადობის გამო მახასიათებლები იცვლება. მეორო ნაწილში ხდება აგრეგატების შემადგენლობისა და რეჟიმების ოპტიმიზაცია რომელიმე მათემატიკური მეთოდის გამოყენებით. ყველაზე უფრო გავრცელებულია: დინამიკური პროგრამების (დპ), შტოების და საზღვრების (შს), ვარიანტების მიმართული მეტნაკრების (ვმმ), მეთოდები. მესამე ნაწილში წინასწარი პროგრამა სწორდება, მასში შედის შესწორებები, დაკავშირებული შეზღუდვებთან, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული მისი დამუშავებისას. შეზღუდვების გათვალისწინების არამკაცრი მეთოდების გამოყენება ამცირებს ოპტიმიზაციის ეფექტს.

დასახელებული მეთოდებიდან დპ და შს იძლევა უფრო ზუსტი გადაწყვეტის მიღებას, ვიდრე ვმმ. ამასთან ერთად ორივე არ იძლევა გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინების შესაძლებლობას და ამიტომ ალგორითმის მესამე ნაწილში კომპრომისული გზებით ხდება დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინება. ვმმ მეთოდს ამ მხრივ გააჩნია უპირატესობა [7, 16].

სამივე მეთოდის შედარებითი შეფასება სხვადასხვა ჰესებისათვის აჩვენებს, რომ მეთოდების განსხვავდება ერთმანეთისგან საბოლოო შედეგებით. არსებითი განსხვავებაა მეთოდებს შორის ალგორითმების საექსპლოატაციო პარამეტრების დათვლის დროის, მეხსიერების მოცულობის, ალგორითმის საერთო შეფასების მიხედვითაც. მართალია

და მეთოდი 2-3-ჯერ მეტ მეხსიერების მოცულობას მოითხოვს, ვიდრე შე მეთოდი და 3-5-ჯერ მეტს ვიდრე 3მმ მეთოდი, აგრეთვე მეტი დრო სჭირდება გამოთვლებისთვის, მაგრამ ის იძლევა ყველაზე უფრო ზუსტ შედეგებს. ამასთან ერთად მას, დანარჩენი ორი მეთოდისგან განსხვავებით, არ გააჩნია რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნები აგრეგატის მახასიათებლებისა და ამოცანის განზომილების მიმართ. თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის განვითარების დონესაც, ჩვენ ვფიქრობთ და ალბათ ბევრი სხვაც, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს დინამიკური პროგრამირების მეთოდს და ძირითადად მასზე გავამახვილებთ ყურადღებას.

2.2. გამოყენებული მათემატიკური აპარატი

დინამიკური პროგრამირება(დინამიკური დაგეგმვა) არის გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციის განსაკუთრებული მეთოდი, რომელიც სპეციალურად მიმარჯვებულია მრავალბიჯიან ან მრავალეტაპიან ოპერაციებისადმი. პროცესი, რომელზეც მიმდინარეობს საუბარი, ითვლება მართვადად. მის თითოეულ ბიჯზე მიიღება რაიმე გადაწყვეტილება, რომლზედაც დამოკიდებულია ამ ბიჯის და მთლიანად ოპერაციის წარმატება. ოპერაციის მართვა ჯამდება ელემენტარული “ბიჯური” მართვის მწკრივისაგან.

დინამიკური პროგრამირების პრინციპი არ გულისხმობს, რომ თითოეული ბიჯის ოპტიმიზაცია ხდება განცალკავებულად, სხვებისაგან დამოუკიდებლად და ბიჯური მართვის არჩევით შეიძლება დავივიწყოთ ყველაფერი სხვა ბიჯების შესახებ, პირიქით, ბიჯური მართვა უნდა ავირჩიოთ ყველა მისი შედეგებით მომავალში. დაგეგმვა უნდა იყოს შორსმჭვრეტელური, პერსპექტივის გათვალისწინებით. რა ხეირია, თუ მოცემულ ბიჯზე ავირჩევთ მართვას, რომლისათვისაც ამ ბიჯის ეფექტურობა იქნება მაქსიმალური, თუ კი მომავალში ეს ხელს

შეგვიშლის მივიღოთ კარგი შედეგები სხვა ბიჯებზე. ვირჩევთ რა მართვას თითოეულ ბიჯზე, ეს უნდა გავაპეოთ აუცილებლად მომავლის ხედვით, სხვანაირად შესაძლებელია სერიოზული შეცდომები [26, 27].

ამრიგად, ვგეგმავთ რა, მრავალბიჯიან ოპერაციას, აუცილებელია ავირჩიოთ მართვა ყოველ ბიჯზე მისი მომავალი გამოვლინებების გათვალისწინებით ჯერ კიდევ მომდევნო ბიჯებზე.

ამ წესში არის გამონაკლისი, ყველა ბიჯებს შორის არსებობს ერთი, რომელიც შეიძლება დაიგებმოს მარტივად მომავალში მზერის გარეშე, ეს ბოლო ბიჯია. ეს ბიჯი ერთადერთია, რომელიც შეიძლება დაგეგმო ისე, რომ მოგვცეს მაქსიმალური სარგებელი. თუ ოპტიმალურად დაგეგმავ ბოლო ბიჯს შეიძლება მას შეუწყო ბოლოსწინა, ხოლო ბოლოსწინას წინა და ა.შ. ამის გამო დინამიკური პროგრამირების პროცესი მიმდინარეობს ბოლოდან დასაწყისამდე: ყველაზე ადრე იგეგმება ბოლო მ ბიჯი. მ შეილება იყოს ხელოვნური ან ბუნებრივი. როგორ დაგეგმოთ ბოლო ბიჯი თუ არ ვიცით თუ როგორ დასრულდა ბოლოსწინა? როგორც ჩანს, უნდა გავაკეთოდ სხვადასხვა ვარაუდები, როგორ დასრულდა (მ-1) ბიჯი და თითოეული მათგანისათვის ვიპოვოთ ისეთი მართვა, რომლისათვისაც მოგება (შემოსავალი) ბოლო ბიჯზე იყოს მაქსიმალური. ამ ამოცანის გადაწყვეტით ჩვენ ვიპოვით პირობით ოპტიმალურ მართვას, რომელიც უნდა მივიღოთ თუ (მ-1) ბიჯი დამთავრდა გარკვეული სახით.

ყოველ ბიჯზე იძებნება ისეთი მართვა, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის ოპტიმალურ გაგრძელებას მოცემულ მოქმედების მიღწეული მდგომარეობის მიმართ. მართვის არჩევის ამ პრინციპს ოპტიმალურობის პრინციპი ეწოდება. თვითონ მართვა, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის ოპტიმალურ გაგრძელებას მოცემულ მდგომარეობის მიმართ ეწოდება პირობოთი ოპტიმალური მართვა მოცემულ ბიჯზე.

ალგორითმი, რომელიც ემყარება პიდროაგრეგატებს ენერგეტიკული მახასიათებლების ბიბლიოთეკის და დინამიკური პროგრამების (სხვანაირად „დინამიკური დაგეგმვის“) მათემატიკურ მეთოდის გამოყენებას. როგორც ცნობილია, ადნიშნული

მახასიათებლები მიიღება მოდელური ან ნატურული გამოცდებით მიღებული შედეგების დამუშავების საფუძველზე და მასზე არ შევჩერდებით. რაც შეეხება დინამიკური პროგრამირების მეთოდს, როგორც მისი გამოყენების გამოცდილება აჩვენებს, იგი იძლევა ყველაზე უფრო ზუსტ შედეგებს და შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ეტალონური მეთოდი ალგორითმების შედარებისას. უნდა ადინიშნოს, რომ „პროგრამირებაში” აქ იგულისხმება „გადაწყვეტილების მიღება”, „დაგეგმვა”, ხოლო სიტყვა „დინამიკური” მიუთითებს დროის და ოპერაციების შესრულების რიგის მნიშვნელობას განხილვაში მყოფი პროცესებისათვის. დინამიკური პროგრამირების მეთოდით ზოგადი ექსტრემალური ამოცანა დაიყვანება უფრო მარტივი ექსტრემალური ამოცანების მწკრივზე და იგი წარმატებით გამოიყენება როგორც დისკრეტულ, ასევე უწყვეტი პროცესების კვლევაში. საერთოდ, ამ მეთოდს არ გააჩნია რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნები აგრეგატის მახასიათებლებისა და ამოცანის განზომილების მიმართ.

შტოების და საზღვრების მეთოდი იძლევა კომბინატორული ამოცანების, ე.ი. კომბინაციების სიმრავლეზე მოცემული რაიმე ფუნქციის მინიმუმის (მაქსიმუმის) განსაზღვრის ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობას. კომბინაციებად შეიძლება განხილულ იქნას რაიმე ელემენტების შეხამებები, მაგალითად, მომუშავე პიდროაგრეგატების შემადგენლობები [7].

შტოების და საზღვრების მეთოდის არსი ჩვენს შემთხვევაში მდგომარეობს იმაში, რომ აგრეგატების ყველა შესაძლო შეხამებათა სიმრავლე თანამიმდევრულად დაიყოფა ქვესიმრავლებად. ქვესიმრავლების შედარება ხდება რაიმე კრიტერიუმის ქვედა საზღვრის მიხედვით, ხოლო შემდგომ გაანგარიშებებში ხდება იმ ქვესიმრავლების გადაგდება, რომლებიც წინასწარვე არ მოიცავს ოპტიმალურ გადაწყვეტას. ოპტიმიზაციური პროცესი განისაზღვრება საერთო სიმრავლის ქვესიმრავლებად განშტოების (დაყოფის) ხერხით. განშტოების მიღებული სქემის გამოყენებით შეიძლება შეირჩეს შესადარებლად შემადგენლობების გარიანტები და თვითოვეული გარიანტებისთვის იწარმოოს დატვირთვის ყველაზე ხელსაყრელი განაწილება.

ამოცანის გადაწყვეტა ხდება შემდეგი ფორმით. მოცემულია $N_r = N_r(t)$ სადგურის დატვირთვის გრაფიკი, აგრეგატების $Q_i = Q_i(N_i, H_i)$ ხარჯითი მახასიათებლები, ფარდობითი ნამატის (ნაზრდის) მახასიათებლები და H_i დაწევები აგრეგატებზე, რომელიც არ იცვლება მთელი ოპტიმიზაციის პერიოდის განმავლობაში. ასამუშავებელი ხარჯების გათვალისწინება ხდება. აუცილებელია ჰესის სიმძლავრის თვითოვეული დისკრეტული მნიშვნელობისათვის მინიმიზირება ფუნქციის

$$f(\bar{N}) = \sum_{i=1}^{i=n} Q_i(N_i)$$

იმ პირობით, რომ დაცული იქნება სიმძლავრის ბალანსი

$$N_{\pi} = \sum_{i=1}^{i=n} N_i$$

და შესრულებული იქნება შეზღუდვა სიმძლავრის მიხედვით ჩართული აგრეგატისათვის

$$N_{i \min.} \leq N_i \leq N_{i \max.}$$

აგრეგატების მდგომარეობის მოცემა მოხდება $\bar{\pi} = (\pi_1, \pi_2, \pi_3, \dots, \pi_n)$ ვექტორით, რომლის თვითოვეული კომპონენტია

$$\pi_i = \begin{cases} 0, & \text{თუ } i - \text{ური აგრეგატი გამორთულია} \\ 1, & \text{თუ } i - \text{ური აგრეგატი ჩართულია} \end{cases}$$

თუ შერჩეულია რომელიმე შემადგენლობა და განხორციელებულია დატვირთვების განაწილება აგრეგატებს შორის, რომელიც ხასიათდება $\bar{N} = (N_1, N_2, \dots, N_n)$ ვექტორით, მაშინ

$$f[\bar{N}(\bar{\pi})] = \sum_{i=1}^{i=n} Q_i(N_i)$$

მაშასადამე, ამოცანა დაიყვანება ისეთი $\bar{\pi}_{\text{ოპ}} \in G$ გექტორის პოვნამდე, რომლისთვისაც

$$f(\bar{\pi}_{\text{ოპ}}) = \min \sum_{i=1}^{i=n} Q_i(N_i) \quad (2.25)$$

აქ G – აგრეგატების დასაშვები კომბინაციების სიმრავლე. ამ მეთოდის გამოყენებით ქვესიმბოლოების შეფასება ხდება (1.46) კრიტერიუმის ქვედა საზღვრის მიხედვით. ქვედა საზღვარში იგულისხმება რაიმე ფიქტიური სიდიდე, მიღებული იმ პირობით, რომ განსახილველი ქვესიმრავლის აგრეგატების ნაწილი მუშაობს მაქსიმალური მ.ქ.კ.-ით. ამასთან ითვლება, რომ მათი დატვირთვა შეიძლება იცვლებოდეს ნულიდან სიმრავლემდე, რომელიც შეესაბამება მ.ქ.კ.-ს მაქსიმუმს ხარჯით მახასიათებელზე. ამისათვის თვითეული აგრეგატის ხარჯითი მახასიათებელი იცვლება უდიდესი ამოზნექილი ფუნქციით რომლისთვისაც

$$Q_i^o(N_i^o) = \begin{cases} \frac{Q_i^*}{N_i^*} N_i, & \text{როცა } 0 \leq N_i \leq N_i^* \\ \frac{N_i}{9.81H_i n_i}, & \text{როცა } N_i^o \leq N_i \leq N_{i \max}. \end{cases}$$

სადაც N_i^*, Q_i^* –იური აგრეგატის სიმბლავრე და ხარჯი მ.ქ.კ.-ს მაქსიმუმის წერტილში.

ამ აგრეგატების „შესწორებული” მახასიათებლების მიხედვით ხდება ოპტიმიზაციის კრიტერიუმის ქვედა საზღვრის დამხმარე ამოცანის გადაეყვება.

$$f^o(\bar{N}) = \min \sum_{i=1}^{i=n} Q_i^o(N_i^o) \quad (2.26)$$

ამასთან

$$0 \leq N_i^o \leq N_{i \max}.$$

გარიანტების ფორმირება ხდება აგრეგატების საწყისი შემადგენლობიდან ერთ-ერთის გამორთვით. გამორთვის პრიტერიუმად მიღება თანაფარდობა წყლის ხვედრით ხარჯსა და აგრეგატების ფარდობით ნამატები შორის.

გარიანტების მიმართული მეტნაკრების (გადარჩევის) მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია მისი დინამიკური პროგრამირების მეთოდთან შეხამებით. დინამიკური პროგრამირების პრინციპზე აგებულ ალგორითმში, რომლითაც ხდება აგრეგატების შემადგენლობის და დატვირთვის ოპტიმიზაცია, შეიძლება შეტანილი იქნას ცვლილებები და ოპტიმიზაციის თვითოვეულ ბიჯზე აგრეგატების შემადგენლობა არჩეული იქნას მიმართული ძებნის მეთოდით. საუკეთესო აგრეგატის ძებნა შეიძლება უკეთესად იქნას ორგანიზებული იმ შემთხვევაში, თუ ცნობილი იქნება მომუშავე აგრეგატების რიცხვი და მათი დატვირთვები [7].

პირველი ბიჯის ოპტიმიზაციის მახასიათებელი იგება $z=1$ მნიშვნელობისთვის. ითვლება, რომ სადგურზე დაყენებული ერთნაირი სიმძლავრის აგრეგატები, მაშინ ამოცანა დაიყვანება შემდეგი განტოლების ამოხსნამდე

$$Q_z^o = 1(N_{z=1}^o) = \min \{Q_i(N_i)\} \quad (2.27)$$

იგივე შეზღუდვებისას როგორც წინა ალგორითმში, სადაც $Q_{z=1}^o$ – ექვივალენტური მახასიათებლის ხარჯი, როცა $z=1$.

ამოცანის გადაწყვეტა ხორციელდება ერთაგრეგატიანი სადგურის მუშაოების ყველა შესაძლო ვარიანტის მარტივი მეტნაკრებით, როცა სადგურის სიმძლავრე $N_{z=1}^o$.

მეორე ბიჯის ექვივალენტური მახასიათებლის ასაგებად აუცილებელია $Q_{z=1}^j = f(N_{z=1}^j)$ მახასიათებლით სარგებლობა და ამ მახასიათებლის საუკეთესო კომბინაციის პოვნა ნებისმიერი დარჩენილი აგრეგატის მახასიათებელთან. ამისათვის ჯერ წარმოებს დატვირთვის განაწილება ექვივალენტურ და უცნობ ჩართულ აგრეგატს შორის, ხოლო შემდეგ მოიძებნება ის აგრეგატი, რომლის ხარჯი უმცირესია (აგრეგატის სიმძლავრე, რომელიც ერთვება, – ცნობილია). მაშასადამე, დატვირთვის განაწილების თვითონეული ვარიანტისათვის მოხდება მახასიათებლის გაანგარიშება ერთადერთი შეხამებისათვის, როცა $z = 2$.

$$Q_z^j = 2(N_{z=1}^j) = \min \{Q_i(N_i) + N_{z=1}^j(N_j - N_i)\}$$

$$\text{როცა } N_{i \max.} \geq N_j \geq N_{i \min.}$$

$$2N_{i \max.} \geq N_j \geq 2N_{i \min.}.$$

დაგეგმვის პროცესს ყოველთვის გააჩნია პროგნოზის ხასიათი. ერთის მხრივ პროგნოზირდება განსახილველი დარგის ან მისი საწარმოების პროდუქციაზე მოთხოვნა, მეორეს მხრივ – საწარმოო შესაძლებლობები. პროგნოზირების მეთოდები სხვადასხვანაირია და ემყარება ექსტრაპოლაციას, ანუ შეფასებების მიღებას მომავლისთვის წარსულზე და აწმყოზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე. ბევრი ნაშრომი, შესრულებული ენერგეტიკული ამოცანებისათვის, გვიჩვენებს ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობებს დაგეგმვის ამოცანებისთვის. დამუშავებულია პროგნოზირების ეკონომიკა-მათემატიკური მოდელები ელექტოენერგიის გამომუშავების, ელექტრომოხმარების, სითბური ენერგიის მოხმარების ქსელებში ენერგიის დანაკარგების, საკუთრად სადგურისთვის მოხმარების, სათბობის ხვედრითი ხარჯების ელექტრულ და სითბურ ენერგიაზე, ელექტრული და თბური ენერგიის თვითღირებულების და სხვ.

ოპტიმიზაციური ამოცანების გადაწყვეტა ალბათური მიღებით სულ უფრო და უფრო მეტ განვითარებას იძენს. სისტემების მართვისას საჭირო ხდება შემთხვევითი სიდიდეების, ფუნქციების და პროცესების გაანალიზება. ამასთან შეუძლებელია პარამეტრების განსაზღვრული მნიშვნელობების მიღება, შესაძლებელია მხოლოდ მათი მნიშვნელობების კანონზომიერებებზე მსჯელობა მასობრივ მოვლენებში. ასეთ შემთხვევაში ოპტიმიზაციური ამოცანების გადაწყვეტისას მინიმიზირდება ამასთან მათემატიკურობის კრიტერიუმის მათემატიკური მოდელინი [7, 22, 23].

$$M(\phi) \rightarrow \min \quad (2.28)$$

(2.28) პირობის შესრულება ლაპარაკობს ოპტიმალურ გადაწყვეტაზე საშუალოდ $M(\phi)$ -ზე გავლენას ახდენს X^* საწყისი პარამეტრების შემთხვევითი რეალიზაციები. ამასთან ისინის ემორჩილებიან ცნობილ ალბათურ კანონზომიერებებს, შეიძლება ჩავწეროთ, რომ

$$X^* = X_{\text{бсз}} + \Delta X^* \quad (2.29)$$

სადაც $X_{\text{бсз}}$ – პარამეტრების საშუალო მნიშვნელობა; ΔX^* – შემთხვევითი გადახრები საშუალოდან. (2.29) ჩაწერისას წარმოიშობა საწყისი ინფორმაციის ცვალებადობის (ცდომილების) საბოლოო შედეგზე გავლენის შეფასების ამოცანა

საწყისი ინფორმაციის ცვალებადობის გავლენის გათვალისწინების ამოცანისთვის ფართოდ გამოიყენება სტატისტიკური მოდელირების მეთოდი. ინფორმაციის ცდომილებები ხშირად განისაზღვრება შემთხვევითი ფაქტორებით, რომლებისთვისაც ცნობილია ალბათობის განაწილების კანონები, მათი მათემატიკური მოლოდინები, დისპერსიები და სხვა მახასიათებლები. ამასთან ერთად ვერ ხერხდება იმ სიდიდის მათემატიკური მოლოდინის ანალიზური გამოსახულების მიღება, რომელზეც გავლენას ახდენს საწყისი

ინფორმაციის შემთხვევითი რეალიზაციები. მაშინ გამოიყენება სტატისტიკური მოდელირების მეთოდი, რომელიც იძლევა გარკვეული სიდიდეების საშუალო შეფასების (მათემატიკური მოლოდინის) საშუალებას.

სადგურის საწყისი ენერგეტიკული მახასიათებლების შემთხვევითი ხასიათის გათვალისწინებით დატვირთვის ყველაზე ხელსაყრელი განაწილების ეფექტურობის შეფასებისთვის გაანგარიშებები სრულდება შემდეგი სახით. აგრეგატების მახასიათებლები დასაწყისში ჩაითვლება ზუსტად და მათი მიხედვით ხდება რეჟიმების ოპტიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტა. შემდეგ ჩაითვლება, რომ მოცემულ ცდომილების ინტერვალში მახასიათებლები შეიძლება იცვლებოდეს შემთხვევითად. შემთხვევითი მახასიათებლების მიხედვით შეიძლება ჩატარდეს ოპტიმიზაციის ანალოგიური გაანგარიშებები და შედეგად გამოვლინდება პირობითი საწვავის გადახარჯვა ოპტიმალურთან შედარებით. მსგავსი გაანგარიშებების სერიის შესრულების შემდეგ შეიძლება განისაზღვროს საწვავის (წყლის) საშუალო გადახარჯვა:

$$\overline{\Delta B_0} = B_0 - \bar{B} \quad (2.30)$$

სადაც B_0 – საწვავის (წყლის) ხარჯი ოპტიმალურ რეჟიმში; \bar{B} – საწვავის ხარჯი შემთხვევითი მახასიათებლებისას.

მახასიათებლების გარიაციებს დეტულობენ შემთხვევითი რიცხვების ერთობლიობის დახმარებით, რომელთა გამომუშავებაც ხდება სპეციალური გენერატორებით კომპიუტერზე. ფსევდოშემთხვევითი რიცხვების გენერატორი რეალიზებას უკეთებს წინასწარ მოცემულ ალბათობების განაწილების კანონს და მის რიცხვით მახასიათებლებს. როცა ლაპარაკობენ მახასიათებლების შემთხვევით ცვლილებებზე, ხშირად მიიჩნევენ რომ საწვავის (წყლის) ხარჯის ცვალებადობა ემორჩილება თანაბარი ალბათობების კანონს (პირველი მიახლოებით შეიძლება ჩავთვალოთ მრავალი ტექნიკური პარამეტრის ცვლილება თანაბარალბათურად), ხოლო აგრეგატის

სიმძლავრის ცვლილება – ნორმალურ კანონს. მაგალითად სწორი წარმოდგენა შემთხვევით სიდიდეებზე შეიძლება მივიღოთ მხოლოდ სადგურებისა და სისტემის ექსპლუატაციისას მიღებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავებით.

ამ მეთოდიკის საკვანძო მომენტია საწყისი ინფორმაციის ალბათური მოდელი, მაგალითად მახასიათებლის ცვლილება. თუ ალბათური მეთოდი არ იქნება დასაბუთებული, მაშინ სტატისტიკური მოდელირების მეთოდი აგრეთვე ვერ მოგვცემს საიმედო პასუხს საშუალო შეფასებების მიღება კი დაკავშირებულია სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების შრომატევად გაანგარიშებებთან.

განსახილველ ამოცანაში მახასიათებლების (ფარდობითი ნამატების და სიმძლავრეების) კოორდინატების იმიტაცია მიიღწევა სიბრტყეზე ორი არჩეული განაწილების კანონის კომბინაციით ცდომილების $\pm \Delta b_i$ და $\pm \Delta P_i$ ინტერვალებში, სადაც Δb_i – ფარდობითი ნამატების ცდომილებები, ხოლო ΔP_i – სიმძლავრეთა ცდომილებები. ფსევდოშემთხვევითი სიდიდეების გენერატორი გარსცემს რიცხვებს არჩეული განაწილების კანონით ნულის ტოლი მათემატიკური მოლოდინით და $\sigma = 1$ საშუალო კვადრატული გადახრით. გამოცდების დიდი რიცხვისას, რომლებშიც მახასიათებლების ზღვრული ცდომილება ერთნაირია, შეიძლება ნაპოვნი იქნას კავშირი საწვავის (წყლის) საშუალო კვადრატულ გადახარჯვასა და ცდომილებას შორის. თუ გამოიყენება ნორმალური კანონი, მაშინ $P = 0.9973$ ალბათობით შეიძლება ჩაითვალოს, რომ შემთხვევითი სიდიდის გადახრა თავისივე განაწილების ცენტრიდან აბსოლუტური მნიშვნელობით იქნება ნაკლები $\Delta = 3\sigma$, სადაც σ – საშუალო კვადრატული გადახრა. მაშინ ცნობილი ზღვრული Δ ცდომილებისას ადგილად განისაზღვრება $\sigma = \frac{1}{3}\Delta$.

თანაბარზომიერი კანონისათვის $\Delta = \sigma$.

კომპიუტერის შემთხვევითი რიცხვების გენერატორი გასცემს Φ და γ რიცხვებს, შესაბამისებს მოდელის განსაზღვრულ ალბათობების, რომლებიც იძლევიან ახალი მახასიათებლების კოორდინატების

პოვნის შესაძლებლობას. ფარდობითი ნამატის შემთხვევითი სიდიდე როცა $P_i = \text{const}$.

$$b_i^* = b_i(1 + k_i \varphi_i \Delta b_i) \quad (2.32)$$

ხოლო სიმძლავრის შემთხვევითი სიდიდე $b_i = \text{const}$

$$P_i^* = P_i(1 + m_i \gamma_i \Delta P_i) \quad (2.33)$$

სადაც b_i და P_i – მოცემული სიდიდეებია; b_i , ΔP_i – მათი ზღვრული გადახრების მნიშვნელობები; k_i , m_i – მუდმივები, დამოკიდებულებები არჩეულ ალბათობათა განაწილების კანონზე.

მოდელირებისას $b_i(P_i)$ ფარდობითი ნამატების მახასიათებლები უნდა შემოწმდეს მონოტონურობაზე. ეს პირობა ადებს შეზღუდვებს სტატისტიკური მოდელირებისას მოდელის პარამეტრებს. მართლაც, შეუძლებელია მახასიათებლის სხვადასხვა წერტილების დამოკიდებული მოდელირების განხორციელება. არსებობს სხვადასხვა წინადადებები, რომლებიც უზრუნველყოფს მონოტონურობის პირობების შესრულებას. ასე მაგალითად, არსებობს მოსაზრება, გაანგარიშებული იქნას მახასიათებელი ნაბიჯ ნაბიჯ ისე, რომ დატოვებული იქნას მისაღები შედეგები ან მოდელირებული იქნას მხოლოდ მახასიათებლის კიდური წერტილები, ხოლო დანარჩენი ნაწილებისათვის გამოყენებული იქნას დამაკმაყოფილებელი ანალიზური გამოსახულებები. ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება დებულება მახასიათებლის ყველა წერტილის ფარდობითი ცვლილების ერთიანობაზე. ეს მიიღწევა მახასიათებლის მხოლოდ ერთი წერტილის შემთხვევითი მდგომარეობის განსაზღვრით, ხოლო ყველა დანარჩენის ცვლილებით k კოეფიციენტის პროპორციულად.

$$k = \frac{X_0}{X^*},$$

სადაც X_0 – პირველ საწყისი რიცხვი, ხოლო X^* – შემთხვევითი.

გაანგარიშებათა დიდი რიცხვის ჩატარება (ჩვეულებრივად საჭიროა რამოდენიმე ასეული გამოცდა) იძლევა საშუალო მნიშვნელოებისა და მათი ალბათობების მიღების შესაძლებლობებს. მაგალითად, შეიძლება მიღებულ იქნას სათბობის (წყლის) გადახარჯვის სიდიდის საშუალო შეფასებები გარკვეული ცდომილებებისას.

სტატისტიკური გამოცდების დიდი რიცხვისას მოხერხებულია შეფასებებისათვის გამოყენებული იქნას სტატისტიკური მწკრივები, რომლებსაც გააჩნია პისტოგრამის სახე. როგორც ცნობილია, დიდი რიცხვისას ფაქტიურად გარდაიქმნა განაწილების სიმკვრივის მრუდად და მის მიხედვიდ შეიძლება აგებული იქნას გადახარჯვის ალბათობის განწილების სტატისტიკური ფუნქცია, რომლის მიხედვითაც შეიძლება განისაზღვროს ამა თუ იმ გადახარჯვის გაჩენის ალბათობა.

როგორც უკვე ვნახეთ, საწყისი ინფორმაციის შემთხვევითი ხასიათის გათვალისწინების მეთოდიკა მოითხოვს დიდი მოცულობის გაანგარიშებების ჩატარებას და ძალიან შრომატევადია. ბუნებრივია შრომატევადობა გაიზრდება, თუ გაიზრდება იმ პარამეტრების რიცხვი, რომლებსაც შემთხვევითი ხასიათი აქვს. ამის მაგალითია აგრეგატების შემადგენლობის ოპტიმიზაციის ამოცანა. ამ შემთხვევაში განისაზღვრება აგრეგატების ოპტიმალური შემადგენლობის არჩევის ალბათობა სიმძლავრის თითოეული მნიშვნელობისათვის და ხარჯვითი მახაიათებლების განსაზღვრული ცდომილებების. შემადგენლობის თითოეული გარიანტისათვის ტარდება გაანგარიშებები. სიმძლავრის ერთი მნიშვნელობისათვის შეიძლება იყოს შესაძლებელი ასეული შესაძლო შემადგენლობა და თითოეული შემადგენლობისათვის – დატვირთვის განაწილების რამოდენიმე ასეული ვარიანტი, ანუ შრომატევადობა კიდევ უფრო იზრდება.

ხშირ შემთხვევაში გერ ხერხდება საწყისი ინფორმაციის ალბათური აღწერაც, მაგალითად როცა არ არის საკმარისად საიმედო სტატისტიკური მასალა, ან სტატისტიკის დამუშავებისას არ გამოვლინდა ალბათური კანონზომიერებები და სხვ. ჩვეულებრივად

ასეთ შემთხვევებში ხერხდება მხოლოდ სიდიდეთა ზღვრული მნიშვნელობების (ცვლილების ზონის) განსაზღვრა. ყველაზე უფრო ხშირად იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც გააჩნია განუსაზღვრელი ინფორმაცია, გამოიყენება მინიმაქსური კრიტერიუმები. მინიმაქსური კრიტერიუმები ფართოდ გამოიყენება თამაშების თეორიაში, ისინი იძლევიან გარანტირებული (მინიმალური) ეფექტის მიღების საშუალებას მოწინააღმდეგის განუსაზღვრელი ყოფაქცევის პირობები [24, 25].

მსგავსი ტიპის რეჟიმული ამოცანები ნაკლებად არის დამუშავებული, ამიტომ აქ დაგვმაყოფილდებით ერთი კერძო ამოცანის მოკლე აღწერით – გადაწყვეტა პიდროსადგურის აგრეგატების რეჟიმების და შემადგენლობის მართვის სხვადასხვა ხერხების შეფასებისთვის. ხდება ავტომატურატორის (ავტომატური მოწყობილობის ჩასართველი და გამოსართველი აგრეგატების შემადგენლობის ასარჩევად) გამოყენებისა და ავტომატიზირებული სისტემის პირობებში მართვის (როცა შეიძლება ოპტიმიზირება სპეციალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით). მეორე ხერხს გააჩნია დიდი შესაძლებლობები და ამოცანა მდგომარეობს მისი ეფექტურობის შეფასებაში.

შედარება მოითხოვს პესის დატვირთვების პროგნოზს ხანგრძლივ პერიოდზე (ერთ წელზე მაინც); პესის კვეთთან მოდინებას, პესის დაწევებს, აგრეგატების მახასიათებლებს და სხვა მონაცემებს. პროგნოზებს, შედგენილს წინ წასწრების ხანგრძლივ ინტერვალზე, გააჩნიათ დიდი ცდომილებები, ამასთან სტატისტიკა იძლევა მხოლოდ ცდომილებების ინტერვალების გამომუდავნების შესაძლებლობას. ფაქტორების კომბინაციების მრავალფეროვნება და ნებისმიერობა, რომლებიც განსაზღვრავს პესის რეჟიმს, ამ ამოცანას აქცევს განუსაზღვრელად. მისი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მინიმაქსის კრიტერიუმის გამოყენებით, ამასთან ჩვეულებრივად ხერხდება თანამიმდევრობით ორი ფაქტორის განუსაზღვრელობისას. მოცემულ შემთხვევაში, ყველაზე მეტი ცდომილება გააჩნია დატვირთვას და დაწევებას პესის გასწორთან შემოდინების განსაზღვრულ მნიშვნელობისას.

გაანგარიშებები სრულდება ოთხ ეტაპად პესის თითოეულ საანგარიშო ხარჯის პიდროგრაფიისათვის: პირველ ეტაპზე განისაზღვრება დატვირთვების და დაწევების შესაძლო გრაფიკები დროის თითოეულ საანგარიშო ინტერვალისათვის, მეორეზე – დატვირთვებისა და დაწევების გრაფიკების ყველა შესაძლო კომბინაციები, მესამეზე – თითოეული კომბინაციისათვის განისაზღვრება ელექტროენერგიის მოგების სიდიდე მართვის სხვადასხვა ხერხების გამოყენებისას, ხოლო მეოთხე ეტაპზე, მინიმაქსური კრიტერიუმების გამოყენებით განისაზღვრება მოგების გარანტირებული მნიშვნელობა.

თავი III. პიდროელექტროსადგურების სადგურშიბა რეზიგნის რატიოზაციის ალგორითმი და კომპიუტერული პროგრამა

3.1. პიდროელექტროსადგურის ენერგეტიკული მახასიათებლების აგების ალგორითმი

ზოგად შემთხვევაში, პიდროაგრეგატების მახასიათებლებს, შეიძლება პქონდეს ნებისმიერი ფორმა, ცალკეულ ზონებში ჩავარდნები და თაროები. ასეთი მახასიათებლები არადიფერენცირებადია, არ იზრდება მონოტონურად, რაც გარკვეულად ართულებს მათ გამოყენებას [7,15].

პიდროელექტროსადგურის ენერგეტიკული მახასიათებლების აგების ამოცანა გულისხმობს პიდროაგრეგატების მდგომარეობის

ანალიზს, ხოლო სადგურშიგა რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანის დასმა და გადაწყვეტის მეთოდები გავლენას ახდენს ამ მახასიათებლების საერთო სახეზე და კანონზომიერებებზე.

თავდაპირველად მოგვყავს პეს-ის მყისიერი ენერგეტიკული მახასიათებლების აგების ალგორითმი. ეს მახასიათებლები აიგება პიდროაგრეგატების ენერგეტიკული მახასიათებლების საფუძველზე, არ არის დამოკიდებული დროზე და გამოხატავს კავშირს ჩადგმულ და სასარგებლო ენერგიებს ან მათ მიმართ პირდაპირ პროპორციულ მაჩვენებლებს შორის. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ენერგეტიკული სისტემის ხანმოკლე რეჟიმების გაანგარიშების დროსაც, რასაც ჩვეულებრივად თან ახლავს საწყისი ინფორმაციის გასაშუალება დროის დისკრეტულ საანგარიშო ინტერვალებზე რამდენიმე წუთიდან 1-3 საათამდე ფარგლებში, გაანგარიშებები მიმდინარეობს მყისიერი ენერგეტიკული მახასიათებლების მიხედვით.

პეს-ის ექვივალენტური ოპტიმალური $Q_s(N_s, H_s)$ ხარჯის მახასიათებლის ($\text{აქ } N_s$ -პესის ჩადგმული სიმძლავრე, H_s -დაწესვა) ასაგებად ნებისმიერი რეჟიმისათვის N_s სიმძლავრისა და H_s დაწესვის მიხედვით აუცილებელია მუშაობისას გექონდეს აგრეგატების ოპტიმალური შემადგენლობა და ამ აგრეგატების ოპტიმალური რეჟიმი. ოპტიმალურობის კრიტერიუმად აიღება სადგურის ხარჯის მინიმუმი.

ზოგად შემთხვევაში $Q_i(N_i, H_i)$ პიდროაგრეგატების ენერგეტიკული მახასიათებლების არაწრფივობის გამო დასმული ამოცანაც არაწრფივი იქნება და, რამდენადაც შესაძლებელია პიდროაგრეგატების შემადგენლობის არაერთი ვარიანტი, რომელიც უზრუნველყოფს პესის სიმძლავრის ბალანსს, ამოცანა იქნება მრავალექსტრემალურიც. პეს-ის თითოეული სიმძლავრისთვის იძებნება აგრეგატების ოპტიმალური შემადგენლობა და მათ შორის დატვირთვის ოპტიმალური განაწილება.

თუ მივიღებთ $H = \text{const}$, მათემატიკური მოდელი გამარტივდება და წარმოდგენილი იქნება შემდეგი განტოლებით:

მიზნის

$$Q_j = \sum_i Q_i(N_i) \Rightarrow \min \quad (3.1)$$

სადაც j -ჟესის N_j -სიმძლავრეების ნომერი, ხოლო i -ჟიდროაგრეგატის ნომერი; კავშირის განტოლებები - აგრეგატების $Q_i(N_i)$ ხარჯითი მახასიათებლები.

შეზღუდვების განტოლებები:

სიმძლავრეების ბალანსი ჰეს-ზე

$$N_j = \sum_i N_i; \quad (3.2)$$

ჰესის სიმძლავრის ცვლილების დასაშვები ზღვრები

$$N_{j,\min} \leq N_j \leq N_{j,\max}; \quad (3.3)$$

ჰიდროაგრეგატების სიმძლავრის ცვლილების დასაშვები ზღვრები

$$N_{i,\min} \leq N_i \leq N_{i,\max}. \quad (3.4)$$

ჰიდროაგრეგატები შემადგენლობისა და რეჟიმის ოპტიმიზაციის პროცესის i -ურ ბიჯზე დინამიკური პროგრამირების ფუნქციონალური განტოლება გამოისახება შემდეგი რეკურენტული თანაფარდობით

$$Q_i^j(N_i^j) = \min [Q_i(N_i) + Q_{i-1}(N_{i-1})], \quad (3.5)$$

სადაც Q_i^j - ექვივალენტური მახასითებლის ხარჯი ოპტიმიზაციის i -ური ბიჯზე ჰესის N_i სიმძლავრისთვის; N_{i-1} - იგივე $(i-1)$ ბიჯისთვის; Q_i და შესაბამისად ჩართული აგრეგატის ხარჯი და სიმძლავრე ოპტიმიზაციის i -ურ ბიჯზე.

სიმძლავრის ბალანსის განტოლების გამოყენებით ფუნქციონალური განტოლება დაიყვანება N_i ერთ ცვლადზე. რაკი ცნობილია N_i პერიოდის დატვირთვა, ამიტომ $N_{j-1}^j = N_j - N_i$, მაშინ (3.5) მიიღებს სახეს:

$$Q_i^j(N_i^j) = \min [Q_i(N_i) + Q_{i-1}^j(N_j - N_i)]. \quad (3.6)$$

ამრიგად, მრავალი ცვლადის ფუნქციის ოპტიმიზაციის ამოცანა დადის N_i ერთი ცვლადის ფუნქციის ოპტიმიზაციის მრავალბიჯიან ამოცანაზე.

გაანგარიშების პროცედურა გულისხმობს ექვივალენტური მახასიათებლების თანმიმდევრულ აგებას ჰიდროაგრეგატების $i = 1, 2, 3, \dots, n$ მოცემული რიგითობის მიხედვით. აგრეგატები შეიძლება განხილული იქნას ნებისმიერი რიგითობით.

დინამიკური პროგრამირების მეთოდის გამოყენებით აგებული ენერგეტიკული მახასიათებლების საფუძველზე შეიძლება ზოგად შემთხვევაში განისაზღვროს ჰიდროაგრეგატების შემადგენლობა და სიმძლავრე ოპტიმიზაციის განსახილველი პერიოდის დროის ნებისმიერი ინტერვალისათვის.

ოპტიმიზაციის პირველი ბიჯის მახასიათებელი მოიცემა როგორც ერთერთი აგრეგატის, მაგალითად $i = 1$ მახასიათებელი. შემდგომში ის გასწორდება ოპტიმალურით. მეორე ბიჯზე საჭიროა აიგოს ორი ერთობლივად მომუშავე აგრეგატის ექვივალენტური მახასიათებელი. ამისათვის განიხილება პირველი ბიჯის ცნობილი (მოცემული) მახასიათებლის და მოცემული რიგითობიდან მომდევნო აგრეგატის, ანუ $i = 2$ მახასიათებლის შეუდლება.

ოპტიმიზაციის განტოლება იძლევა ამ ორი აგრეგატის ექვივალენტურ ხარჯსა და ექვივალენტურ სიმძლავრეს, ანუ

$$Q_{i=1,2}^j(N_i^j) = \min [Q_2(N_2) + Q_1(N_1 - N_2)], \quad (3.7)$$

სადაც მარჯვენა ფრჩხილის პირველი შესაკრები – ჩართული $i=2$ აგრეგატის მახასიათებელი, ხოლო მეორე – ოპტიმიზაციის პირველი ბიჯის მახასიათებელი.

N_2 სიმძლავრის ვარირებით $N_j = \text{const}$ პირობებში შეიძლება მივიღოთ ისეთი განაწილება, რომლისთვისაც (2.7) ფუნქციას ექნება მინიმუმი. თუ ასეთ გაანგარიშებებს ჩავატარებთ სხვადასხვა N_j -ისთვის ორი აგრეგატის შესაძლებლობის დიაპაზონში, მივიღებთ $Q_{i=1,2}^j(N_i^j)$ ოპტიმიზაციის მეორე ბიჯის მახასიათებელს, რომელიც იქნება $i=1,2$ აგრეგატების მახასიათებელზე იქნება წერტილები, რომლებშიც მუშაობს ერთ-ერთი აგრეგატი, და წერტილები, სადაც ისინი მუშაობენ ერთობლივად. ყველაფერს განსაზღვრავს წყლის ხარჯის მინიმუმი. ამის შემდეგ აიგება ექვივალენტური მახასიათებელი სამი $i=1,2,3$ აგრეგატისათვის შემდეგი განტოლების გამოყენებით.

$$Q_{i=1,2,3}^j(N_i^j) = \min [Q_3(N_3) + Q_{i=1,2}^j(N_i - N_3)]. \quad (3.8)$$

აქ ჩაირთვება მესამე $i=3$ აგრეგატი და განიხილება მისი ერთობლივი გამოყენება ჰიპოთეზურ აგრეგატთან ერთად, რომელსაც გააჩნია $Q_{i=1,2}^j(N_i^j)$ მახასიათებელი. N_3 სიმძლავრის ვარირებით შეიძლება ნაპოვნი იქნას ოპტიმალური გადაწყვეტილება რიგრიგობით ყველა N_j -ისთვის სამი აგრეგატის მუშაობის დიაპაზონში და აგებული იქნას $Q_{i=1,2,3}^j(N_i^j)$ ექვივალენტური მახასიათებელი. გაანგარიშებების შედეგად შეიძლება მიღებული იქნას მუშაობის რეჟიმები ან სამიდან ერთერთი აგრეგატის, ან მათგან ორ-ორის კომბინაციების, ან ყველა სამი აგრეგატის მუშაობისათვის. შემდეგ გაანგარიშებები მეორდება ყოველ ბიჯზე აგრეგატების რიცხვის ერთით გაზრდისას. ნათლად ჩანს, რომ ექვივალენტური მახასიათებლების ასაგებად საჭიროა დიდი რაოდენობის გაანგარიშებების ჩატარება. ზოგად შემთხვევაში გაანგარიშებების რიცხვი იქნება:

$$m = \sum_i (k_i + 1)k_i,$$

სადაც $k - \Delta N$ სიმძლავრის დისკრეტულობის ბიჯების რიცხვი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს გაანგარიშებები; i -ბიჯის ნომერი. გაანგარიშებები მახასიათებლების ასაგებად მარტივი არითმეტიკული ოპერაციებია, თუმცა მრავალრიცხოვანი, რაც კომპიუტერისთვის არ არის რთული. მნიშვნელოვნად უფრო რთულია მათი აგება და დამახსოვრება. ოპტიმალური რეჟიმის პოვნა ხდება უკუსვლის პროცედურის გამოყენებისას, რაც შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად შეიკვეცოს კომპიუტერის მეხსიერების მოცულობა, რომელიც საჭიროა ექვივალენტური მახასიათებლის დასამახსოვრებლად. იმისათვის, რომ ნაპოვნი იქნას ოპტიმალური გადაწყვეტა, საკმარისია მეხსიერებაში სადგურის ყოველი N_j სიმძლავრისათვის დახსომებული იქნას იმ აგრეგატის ნომერი და დატვირთვა, რომელიც მიერთებულია ექვივალენტურთან ამ სიმძლავრისას და არა ყველა მომუშავე აგრეგატის ნომერი და დატვირთვა [28, 29, 30].

3.2. პიდროაგრეგატების შემადგენლობისა და რეჟიმების მართვის ალგორითმის შედგენა.

პესის რეჟიმის სადგურშიგა ოპტიმიზაციის დროს დეკომპოზიციის განხორციელება ხდება დროითი, სიტუაციური და ფუნქციონალური პრინციპით.

დროითი პრინციპის შესაბამისად ამოცანის გადაწყვეტა ხდება ორ სტადიად: ჯერ ოპერატიული დაგეგმვის სტადიაზე, ხოლო შემდეგ პროცესის ტემპში მართვის სტადიაზე. ოპერატიული დაგეგმვის სტადიაზე პროგნოზული ინფორმაციის საფუძველზე დგება

აგრეგატების გამოყენების გეგმა. შემდეგში პროცესის ტემპში გეგმა კორექტირდება მიმდინარე ინფორმაციის მიხედვით. ამ ორი სტადიის ალგორითმებს წაეყენება სხვადასხვა მოთხოვნები. პირველ შემთხვევაში არ არის სპეციალური შეზღუდვები ალგორითმის სირთულის მიმართ. მეორე შემთხვევაში ალგორითმი უნდა იყოს სწრაფად მოქმედი, რომ მინიმუმადე იყოს დაყვანილი რეაქციის დაყოვნება მიმდინარე ინფორმაციაზე.

სიტუაციური თვალსაზრისით აგრეგატების მართვა შეიძლება ხდებოდეს სისტემის ნორმალურ, ავარიულ და ავარიის შემდგომ რეჟიმებში. ოპტიმიზაციის კრიტერიუმები აღნიშნულ სიტუაციებში სხვადასხვაა. თუ ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში კრიტერიუმია ენერგორესურსი, ავარიულ სიტუაციებში – ესაა საიმედოობის რომელიმე მაჩვენებელი. კრიტერიუმებს შორის განსხვავება აისახება სადგურშიგა ოპტიმიზაციის ალგორითმის სტრუქტურაზე.

ფუნქციონალური თვალსაზრისითაც შეიძლება ცალკე გამოიყოს რეზერვის კონტროლის, დატვირთვის განაწილების, აგრეგატების შემადგენლობის ცვლილების და სხვა ქვეამოცანები.

ამრიგად, სადგურშიგა ოპტიმიზაციის ამოცანა მრავალფეროვანია თავისი მიზნებით და გადაწყვეტის მეთოდებით. აქ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ აგრეგატების შემადგენლობის და აქტიური სიმძლავრეების მართვის გეგმის შედგენის ამოცანას ოპერატიული დაგეგმვის სტადიაზე, რამდენადაც სხვა ამოცანები მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი სისტემის ალგორითმულ სტრუქტურასთან.

სადგურშიგა ოპტიმიზაციისას ხდება არჩევა აგრეგატების შემადგენლობის, რომლებიც ზოგად შემთხვევაში შეიძლება მუშაობდნენ გენერეტორის და სინქრონული კომპესატორის რეჟიმში და მათი აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეების სადგურის ენერგეტიკული რესურსების ეკონომიკური გამოყენების პირობით.

განვიხილოთ სადგურშიგა ოპტიმიზაციის ერთერთი ამოცანა, როცა სადგურისათვის მოიცემა აქტიური დატვირთვის გრაფიკი. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გაცემული იქნას მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრე რესურსის მინიმალური დახარჯვით. ასეთი ამოცანის გადაწყვეტა ხდება სასადგურო და არა სისტემური

ეფაქტურობის კრიტერიუმებით – ეს ან რესურსის ხარჯია, ან ტექნოლოგიური პროცესის მ.ქ.პ.

მოცემულია $N_j(t)$ ჰესის აქტიური დატვირთვის გრაფიკი. სამუშაოდ გამოსაყენებელი აგრეგატების შემადგენლობა, რომელთა გექტორია $[k_j]$ ამასთან $[k_j] \in M$, M – აგრეგატების საერთო რიცხვი. თვითონეული აგრეგატი $\sum_{i=1}^j Q_i(N_i, H_i)$, სადაც $i = 1, 2, \dots, j$ – აგრეგატის ნომერი, Q_i – აგრეგატის ხარჯი, N_i – აგრეგატის სიმძლავრე, H_i – აგრეგატის დაწევა. აგრეთვე მოცემულია: აგრეგატის ასამუშავებელი ხარჯები, ამასთან ასამუშავებელი ხაჯები არ არის დამოკიდებული აგრეგატის გაცდენის დროსგან; ყველა შეზღუდვა აგრეგატების შემადგენლობისა და გამოყენების რეჟიმის მიმართ.

საჭიროა განისაზღვროს დაგეგმვის მთელი პერიოდის თვითონეული დროით ინტერვალზე აგრეგატების შემადგენლობა და სიმძლავრე წყლის ჩამონადენის მინიმუმზე. ყველა შეზღუდვების გათვალისწინებით განსახილველი პერიოდის განმავლობაში.

ამოცანის მათემატიკური მოდელს გააჩნია მიზნის განტოლება – ჰესის ჩამონადენის მინიმუმი ოპტიმიზაციის პერიოდში. ჰესის ჩამონადენი ოპტიმალური გადაწყვეტისას

$$W = \sum_{i=1}^{j-1} \sum_{t=1}^{m-i} Q_{i,t}(N_{i,t}) \Delta \tau_t + \sum_{i=1}^{j-1} \sum_{t=1}^{m-i} Q_{\pi,i,t} c_{\pi,i,t} \Delta \tau_{\pi,i,t} \Rightarrow \min, \quad (3.9)$$

სადაც $t = 1, \dots, m -$ საანგარიშო დროის ინტერვალის ნომერი $\Delta \tau_t$ ხანგრძლივობით; $i = 1, \dots, j -$ აგრეგატი ნომერი $[k_j]$ შემადგენლობიდან; $Q_{\pi,i,t}$ – ასამუშავებელი ხარჯები; $\Delta \tau_{\pi,i,t}$ – აგრეგატის გაშვების ხანგრძლივობა; $c_{\pi,i,t}$ – გაშვების რიცხვი $i -$ ური აგრეგატისათვის t ინტერვალში.

ამოცანის გადაწყვეტა ხდება აგრეგატების შემადგენლობისა და რეჟიმებისა და სადგურის მიმართ შეზღუდვებით. ეს შეზღუდვებია:

- 1). სადგურის აქტიური სიმძლავრის ბალანსის მიმართ

$$N_t = \sum_{i=1}^{i=j} N_{i,t}; \quad (3.10)$$

2). სადგურის აქტიური სიმძლავრის მიმართ

$$\sum_{i=1}^{i=j} N_{\text{ყლ}, \pi, i, t} - N_t \geq N_{\text{რებ}, t} \quad (3.11)$$

სადაც $N_{\text{რებ}, t}$ – მოცემული რეზერვი; $N_{\text{ყლ}, \pi, i, t}$ – აგრეგატის ფლობაში არსებული სიმძლავრე;

3). აგრეგატების დასაშვები სიმძლავრეების მიმართ. დასაშვები ზღვრები არ არის მუდმივი და განისაზღვრება გენერატორების, საქასლების, საკისრების ტემპერატურული რეჟიმით, კავიტაციური მოვლენებით ტურბინაში, აგრეგატების ვიბრაციით, და სხვ. მოკლევადიანი დაგეგმვისას შეზღუდვები ხშირად ითვლება უცვლელად და მაშინ

$$N_{i,\min} \leq N_i \leq N_{i,\max} \quad (3.12)$$

4). აგრეგატების შემადგენლობის მიმართ, როცა მაგალითად საკუთარი საჭიროებების სქემების საიმედოობა მოითხოვს გარკვეული აგრეგატების მუშაობას, ან სარელეო დაცვის სწორი მოქმედების პირობების მიხედვით უნდა მუშაობდეს აგრეგატების გარკვეული რიცხვი, ან დაუშვებელია აგრეგატების რომელიმე კომბინაციები კალაპოტის ან ქვედა ბიუფის ნაპირების წარეცხვის პირობებით.

5). აგრეგატების რიცხვის მიმართ. აგრეგატების რიცხვი მეტწილად განისაზღვრება სისტემის მუშაობით წინაავარიული და ავარიულ სიტუაციებში, მაგალითად სადგურის დაყოფაზე არასინქრონულ ნაწილებად. შეზღუდვებს მომუშავე აგრეგატების მინიმალური რიცხვის მიხედვით აქვს სახ:

$$Z_t \geq Z_{\text{prob},t},$$

სადაც Z_t – მომუშავე აგრეგატების რიცხვი; $Z_{\text{prob},t}$ – მომუშავე აგრეგატების დასაშვები რიცხვი.

6). აგრეგატებით სარგებლობის ხანგრძლივობის მიმართ. მათ შეიძლება მიეკუთვნოს შეზღუდვები აგრეგატების მოცდენის ხანგრძლივობის მიმართ ცივ რეზერვში გაშვების წინ ან მუშაობის ხანგრძლივობის მიმართ აგრეგატების გაჩერების წინ, მაგალითად, საქუსლის საიმედო მუშაობის პირობებიდან გამომდინარე.

7). გაშვების რიცხვის მიმართ – აგრეგატების გაჩერებები განსახილველი პერიოდის განმავლობაში.

8). გადაწყვეტილების რეალიზაციის მიმართ. ეს შეზღუდვები განპირობებულია ავტომატიკის სქემებით და მოწყობილობებით. ცნობილია, მაგალითად, რომ მოქმედ მოწყობილობებში ხშირად დატვირთვა აგრეგატებს შორის ნაწილდება ან სიმძლავრეების თანაბრობის მიხედვით, ან მიმმართველი აპარატის თანაბარი გაღებით.

შეიძლება სხვა შეზღუდვების მოცემაც. შეზღუდვების შედგენილობა განისაზღვრება კონკრეტული პირობებით.

ამოცანის გადაწყვეტა მიიღება აგრეგატების და მათი აქტიური სიმძლავრეების გამოყენების გეგმის სახით დაგეგმვის მთელი პერიოდის თვითონეულ ინტერვალზე.

სადგურშიგა რეჟიმების ოპტიმიზაციის ალგორითმი ზოგადად სტრუქტურულად შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად. პირველი ნაწილში სრულდება გაანგარიშებები, დაკავშირებული საწყისი ინფორმაციის მომზადებასთან, მაგალითად, აგრეგატების მახასიათებლების გაანგარიშებები, რადგანაც ზოგადად აგრეგატების დაძველების, სადგურისა და აგრეგატების რეჟიმების ცვალებადობის გამო მახასიათებლები იცვლება. მეორე ნაწილში წარმოებს აგრეგატების შემადგენლობისა და რეჟიმების ოპტიმიზაცია რომელიმე მათემატიკური მეთოდის გამოყენებით, მაგრამ ოპტიმიზაციისას ჩვეულებრივად ხერხდება მხოლოდ წინასწარი პროგრამის შედგენა. მესამე ნაწილში წინასწარი პროგრამა სწორდება, კერძოდ იმ შესწორებების შეტანით,

რომლებიც დაკავშირებულია შეზღუდვებთან, რომელთა
გათვალისწინებაც არ მოხდება პროგრამის შედგენისას.

სადგურშიგა ოპტიმიზაციის ალგორითმის დინამიკური
პროგრამირების მეთოდის გამოყენებით დამყარებულია
პიდროაგრეგატების მახასიათებლების ბიბლიოთეკის გამოყენებაზე და
შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი პესის ენერგეტიკული
მახასიათებლების აგება, რომლის აღწერაც ზემოთ იყო მოყვანილი, და
მეორე – აგრეგატების შემადგენლობისა და რეჟიმების მართვის გეგმის
შედგენა შეზღუდვების გათვალისწინებით მთელი განსახილველი
პერიოდის განმავლობაში [31].

დინამიკური პროგრამირების მეთოდით აგებული პესის
ენერგეტიკული მახასიათებლების საფუძველზე შეიძლება ზოგად
შემთხვევაში განისაზღვროს აგრეგატების შემადგენლობა და
სიმძლავრე ოპტიმიზაციის განსახილველი პერიოდის თვითოვეული
დროითი ინტერვალისთვის. ამასთან უმეტესად ვერ ხერხდება
შეზღუდვების მთელი კომპლექსის გათვალისწინება, რის გამოც
ალგორითმის მეორე ნაწილში ხდება პირველ ნაწილში მიღებული
გადაწყვეტის შესწორება. გასწორება ჩვეულებრივად მიიღწევა
კომპრომისული გზით. ასე მაგალითად, თუ მომუშავე აგრეგატების
რიცხვი ნაკლებია მოცემულ რიცხვზე, წინასწარი გეგმის აგრეგატების
რიცხვი იზრდება. თუ არ კმაყოფილდება შეზღუდვები სიმძლავრის
რეზერვის მიმართ, მაშინ აგრეთვე ჩაირთვება დამატებითი აგრეგატები.
ჩართვა გამორთვის ოპერაციების მინიმიზაციისთვის რომელიდაც
აგრეგატები რჩება სამუშაო პროცესში, ან ნაადრევად გამოირთვება,
ვიდრე ამას თხოვლობს პირველ ნაწილში ნაპოვნი გეგმა, ამასთან
ხდება გასაშვები ხარჯების გათვალისწინება. ასეთ შემთხვევაში
მომუშავე აგრეგატების შემადგენლობა აღარ იქნება ყველაზე
ხელსაყრელი, მაგრამ ისეთ შემთხვევებში, როცა შეზღუდვები არ არის,
ან მათ არ შეუძლიათ არსებითი ზეგავლენა მოახდინონ გადაწყვეტის
ექონომიკურობაზე, ალგორითმი, დამყარებული დინამიკური პროგრამების
მეთოდზე, შეიძლება წარმატებით იქნას გამოუყენებელი. ალგორითმი
სქემა მოცემულია ნახ. 3.1-ზე.

პირველ ბლოკში განისაზღვრება პესის დასაშვები რეჟიმების არე და სადგურის მახიათებლების პარამეტრები, კერძოდ დაწევები.

მეორე ბლოკში წარმოებს ამოცანის პირველი ნაწილის გადაწყვეტა, ანუ წარმოებს ოპტიმალური მახასიათებლების აგება დინამიკური პროგრამების მეთოდის გამოყენებით. მესამე ბლოკში განისაზღვრება $H_{\text{ამ}}^{\text{c}}$ მოცემული დაწევების შესაბამისობა გაანგარიშებისათვის არსებულ $H_{\text{საა}}$ საანგარიშო მახასიათებლებთან. თუ ეს შესაბამისობა არ იქნება (მეოთხე ბლოკი), მაშინ აგრეგატების შემადგენლობა და რეჟიმი $H_{\text{ამ}}^{\text{c}}$ -ისთვის გაუტოლდება ერთერთ გადაწყვეტას საანგარიშო დაწევებიდან. ინტერპოლაცია დაწევის მიხედვით წარმოებს ხარჯის დანაკარგების მინიმუმის მიხედვით.

ანალოგიურად წარმოებს ინტერპოლაცია სიმძლავრეების მიხედვით (მეხუთე და მეექვსე ბლოკები), თუ $N_{\text{საა}}$ მახასიათებლების საანგარიშო წერტილები არ შეესაბამება $N_{\text{ამ}}^{\text{c}}$ სადგურის სიმძლავრეებს მათი მუშაობისას მოცემული გრაფიკის მიხედვით.

მეშვიდე ბლოკში დატვირთვის გეგმიური გრაფიკისათვის განისაზღვრება აგრეგატების შემადგენლობა და სიმძლავრეები. ამ პროგრამას ჰქვია წინასწარი იმიტომ, რომ მასში არ არის გათვალისწინებული ყველა შეზრუდვები. წინასწარი პროგრამა სწორდება მერვე ბლოკში, ხოლო მეცხრე ბლოკში მიიღება საბოლოო შედეგი.

რეჟიმის ოპტიმიზაციის რთული ამოცანების რიცხვითი ამოხსნების გარდა, მიზანშეწონილია ამ ამოცანების გამარტივებული გარიანტების ანალიზური ამოხსნების ქონა, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს ამოვიცნოთ პესების რეჟიმების ოპტიმალური მართვის ძირითადი კანონზომიერებები, რაც თავის მხრივ იძლევა რიცხვითი მეთოდებით ამოხსნების კორექტირების კონტროლის საშუალებას. მარტივ შემთხვევებში, კერძოდ, შეზღუდვების ტოლობის ფორმით მოცემისას დასმული ოპტიმუმის ძიების ამოცანა შედარებით მარტივდება და მის გადასაწყვეტად შეიძლება გამოყენებული იქნას ვარიაციული აღრიცხვის მეთოდები, პირველ რიგში ლაგრანჟის მეთოდი. ეს მეთოდი იძლევა უწყვეტი ფუნქციის ექსტრემუმის მოძებნის

შესაძლებლობას, რომელიც იქნება მაქსიმუმი ან მინიმუმი დამატებითი პირობების შესრულებისას ტოლობების (კავშირის განტოლებების) ფორმით.

ლაგრანჟის მამრავლების მეთოდი შესაძლებლობას იძლევა ნაპოვნი იქნას განტოლებათა ისეთი სისტემა, რომელსაც დააკმაყოფილებს $f(x_1, \dots, x_k)$ ფუნქციის ექსტრემუმს N სიმრავლეზე რომელიც განისაზღვრება $g_i(x)$ განტოლებათა სისტემით $i=1,2,\dots,m$.


იმისათვის, რომ ნაპოვნი იქნას ექსტრემუმის წერტილი, აუცილებელია ნაპოვნი იქნას m რაოდენობის $\lambda_1, \dots, \lambda_m$, რიცხვი, რომლებიც X ვექტორთან ერთად დააკმაყოფილებენ შემდეგ $m+n$ განტოლებათა სისტემის $m+n$ უცნობებით:

$$\frac{\partial f(X)}{\partial X_j} + \sum_{i=1}^m \lambda_i \frac{\partial g_i(X)}{\partial X_j} = 0$$

$$j=1, \dots, n; \quad g_i(X)=0; \quad i=1,2,\dots,m.$$

$$\text{ეს განტოლებები მიღებულია როგორც } L(X, \lambda) = f(X) + \sum \lambda_i g_i(X)$$

ლანგრანჟის ფუნქციის ექსტრემუმის პირობები, სადაც $\lambda_1, \dots, \lambda_m$ უწოდებენ ლანგრანჟის მამრავლს.



ნახ. 3.1. სადგურშიგა ოპტიმიზაციის გამსხვილებული ბლოკ-სქემა
დინამიკური პროგრამირების მეთოდის გამოყენებით.

F საჯარიმო ფუნქციების შემოტანისას შესაძლებელია უტოლობის ტიპი შეზღუდვების გათვალისწინება. საჯარიმო ფუნქციების შემოტანის არსი მდგომარეობს იმასი, რომ შეზღუდვები აიდება რაიმე წონითი კოეფიციენტი, რის შედეგადაც აკრძლაულ ზონაში მოხვედრისას f ფუნქციის მნიშვნელობებიდან ხდება ჯარიმის გამოკლება და ხდება გადაადგილებების მიმართულებების ხელოვნური მიახლოება შეზღუდვების ზედაპირთან.

მაგალითად, აგრეგატების მოცემული რიცხვისა და შემადგენლობისას სადგურშიგა ოპტიმიზაციის პერძო ამოცანის გადაწყვეტისას, როცა $H_{si}(t) = H_{sj}(t) = \text{const}$ მოცემული $N_{\beta_j}(t)$ გრაფიკისა და (1.4), (1.6) სახის შეზღუდვების პირობებში შეიძლება გამოყენებული იყოს ლაგრანჟის მეთოდი საჯარიმო ფუნქციებთან ერთად.

მუდმივი დაწევის პირობებში აგრეგატების რეჟიმები არ არის ერთმანეთზე დამოკიდებული. ეს იძლევა ოპტიმალურობის კრიტერიუმებად (2.1), (2.2), (2.3) კრიტერიუმების ქვემოთ მოყვანილი კეძო გამოსახულებების გამოყენების შესაძლებლობას:

$$N_{\beta_j}(t) \Rightarrow \min;$$

$$N_{\beta_j}(t) \Rightarrow \max;$$

(3.13)

$$(\Delta Q_{\beta_j}(t) \vee Q_{\beta_j}(t)) \Rightarrow \min.$$

რაკი რეჟიმების მაჩვენებლები ამ კრიტერიუმებისათვის იქნება ერთნაირი (განსხვავება იქნება მხოლოდ მათ რიცხვით შეფასებაში), განვიხილოთ ერთერთი მათგანი, ყველაზე უფრო შთამბეჭდავი, $Q_{\beta_j}(t)$ ხარჯის მინიმუმი. მაშინ დასმული ამოცანა შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ლაგრანჟის ამოცანა პირობით ექსტრემუმზე დიფერენციალურ აღრიცხვის. მის ამოსახსნელად აუცილებელია ისეთი Φ მიზნის

ფუნქციის ორგანიზება, რომელიც გაითვალისწინებდა (2.4) და (2.6) სახის შეზღუდვებს. გავითვალისწინოთ (2.4) შეზღუდვები $\lambda > 0$ დაგრანჯის განუსაზღვრელი არატრივიალური მამრავლის შემოტანით, ხოლო (2.6) – F საჯარიმო ფუნქციის შემოტანით, ანუ

$$\Phi = Q_{\text{obj}}(t) + \lambda(t) \left[N_{\text{obj}}(t) - \sum_{i=0}^{z_0, s^0(t)} N_{si}(t) \right] + F \Rightarrow \min. \quad (3.14)$$

აქ

$$F = \frac{1}{2} \left[\sum_{i=0}^{z_0, s^0(t)} \mu_i \left(N_{si}^{\min}(t) - N_{si}^{\max}(t) \right)^2 \sin \operatorname{gn} \left(N_{si}^{\min}(t) - N_{si}^{\max}(t) \right) + \right. \\ \left. + \sum \gamma_i \left(N_{si}^{\min}(t) - N_{si}^{\max}(t) \right)^2 \sin \operatorname{gn} \left(N_{si}(t) - N_{si}^{\max}(t) \right) \right] \quad (3.15)$$

სადაც μ_i და $\gamma_i (i = 1, 2, \dots, z_0)$ – მუდმივი მამრავლები (ემპირულები); $\sin \operatorname{gn} (f^{\min}(x) - f^{\max}(x)) = \sin g_u$ – ფუნქცია-სიგნატურა, რომელიც განისაზღვრება თანაფარდობით

$$\sin g_u = \begin{cases} 1 & \text{როცა } u \geq 0; \\ 0 & \text{როცა } u < 0. \end{cases} \quad (3.16)$$

(2.6)-ის ექსტრემუმის აუცილებელი პირობა შეიძლება ნაპოვნი იქნას შემდეგი განტოლებებით

$$\frac{\partial \Phi}{\partial N_{si}} = 0 (i = 1, 2, \dots, z_0) \quad (3.17)$$

და (2.4) ბალანსური პირობის ამოხსნით. ამრიგად $[N_{si}$ და $\lambda(t)]$ ცვლადების $(z^0 + 1)$ -ე განტოლებისათვის გვაქვს $z^0 + 1$ განტოლებები შეუთავსებელია და გვაქვს საწყისი ამოცანის ამოხსნა, მაშინ ისინი შესაბამისი იქნებიან (3.14)-ის ამოხსნისა.

რამდენადაც როცა $H_{si} = H_{sj} = \text{const}$, აგრეგატების რეჟიმები დამოკიდებულია ერთმანეთისაგან, ამიტომ (3.17) პირობა დებულობს სახეს:

$$\frac{\partial Q_{si}}{\partial N_{si}} - \lambda(t) + \frac{\partial F}{\partial N_{si}} = 0 \quad (i=1,2,\dots,z^0), \quad (3.18)$$

ანუ

$$\frac{\partial Q_{s1}^*}{\partial N_{s1}} = \frac{\partial Q_{s2}^*}{\partial N_{s2}} = \dots = \frac{\partial Q_{sz^0}^*}{\partial N_{sz^0}} = \lambda(t), \quad (3.19)$$

სადაც

$$\begin{aligned} \frac{\partial Q_{s1}^*}{\partial N_{s1}} &= \frac{\partial Q_{si}^*}{\partial N_{si}} - \mu_i(N_{si}^{\min} - N_{si}) \text{sign}(N_{si}^{\min} - N_{si}) + \\ &+ \gamma_i(N_{si} - N_{si}^{\max}) \text{sign}(N_{si} - N_{si}^{\max}) \end{aligned} \quad (3.20)$$

(3.19) განტოლება ასახავს პიდროაგრეგატის რეჟიმების დიფერენციალური მაჩვენებლების ტოლობას.

როცა $\mu_i \rightarrow \infty$ და $\gamma_i \rightarrow \infty$ (N_{si} -ის ფიქსაცია ზღვრულ მნიშვნელობებზე) ვდებულობთ $q_s(N_s)$ მახასიათებლების შემდეგ წარმოდგენის ფორმას (2.6)-ის გათვალისწინებით:

$$q_s(N_{si}) = \begin{cases} -\infty \text{ როცა } N_{si} \leq N_{si}^{\min} \\ q_{si}(N_{si}) \text{ როცა } N_{si}^{\min} < N_{si} \leq N_{si}^{\max} \\ +\infty \text{ როცა } N_{si} \geq N_{si}^{\max} \end{cases} \quad (3.21)$$

ამ შემთხვევაში $N_{sj}(t)$ დატირთვის ოპტიმალური განაწილების აუცილებელი პირობას z მომუშავე აგრეგატებიდან მოცემული შემადგენლობისათვის (2.6) კრიტერიუმის შესაბამისად ექნება სახე:

$$q_{si}(N_{si}(t)) = \dots = q_{sz}(N_{sz}(t)) = q_{sj}(N_{sj}(t)) = \lambda(t). \quad (3.22)$$

3.3. ენერგეტიკული მახასიათებლების აპროქსიმაციის საკითხები.

ენერგეტიკული მახასიათებლები, რომლებიც გამოიყენება გაანგარიშებისათვის, კომპიუტერის მეხსიერებაში წარმოდგენილი ცხრილური ფორმის ან სხვადასხვა მააპროქსიმირებელი ფუნქციების სახით. უფრო მეტი სიზუსტე მიიღწევა მახასიათებლის ცხრილური სახით მოცემის შემთხვევაში.

რადგანაც აგრეგატების მახასიათებლები საწყისია ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად, მისი სიზუსტე განისაზღვრება არა გადახრით დასაწყისში მოცემული კოორდინატებიდან, არამედ დასახული ამოცანის გადაწყვეტაზე ზეგავლენით. ეს ორი შეფასება ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგანაც მიზნის ფუნქციას რეჟიმულ ამოცანებში არაწრფივი ხასიათი აქვს. აგრეგატების რეჟიმების და შემადგენლობის ოპტიმალური მართვის განსახილველ ამოცანებში მახასიათებლების სიზუსტე უნდა განისაზღვროს წყლის გადახარჯვით (წყლის გადახარჯვის მათემატიკური ლოდინით). ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ცდომილებების მიზნის ფუნქციაზე გავლენის ზღვრული მნიშვნელობა შეიძლება განისაზღვროს ზუსტი და მოცემული მახასიათებლების კოორდინატების შედარებით. მახასიათებლების მოდელირების ცდომილებები ზოგად შემთხვევაში დამოკიდებულია კოორდინატების ჩაწერის სიზუსტისაგან საკვანძო წერტილებში, საკვანძო წერტილებს დაკვანტივის ბიჯისაგან, მახასიათებლების მოდელირების ხერხისაგან.

ჩვენ აქ შევჩერდებით მხოლოდ რამოდენიმე პიდროაგრეგატების მახასიათებლების აპროქსიმაციის მაგალითზე ამ საკითხის გადაწყვეტის გზების დემონსტრირებისათვის.

მახასიათებლების ცხრილური ფორმით მოცემისას გამოიყენება წრფივი და კვადრატული ინტერპოლაციის ხერხები მახასიათებლების კოორდინატების მოსაძებნად, რომლებიც არ ემთხვევა საკვანძო წერტილებს. $y=f(x)$ ფუნქციის წრფივი ინტერპოლაციისას

აპროქსიმაციისათვის გამოიყენება ნიუტონის ფორმულა [31] , რომელიც იძლევა პოლონომს

$$P_1(x) = y_0 + q\Delta y_0, \quad (3.23)$$

სადაც y_0 – საკვანძო წერტილის კოორდინატი, $\Delta y(h)$ – გადახრა y_0 -დან; q – ბიჯების რაოდენობა, რომელიც აუცილებელია x_0 წერტილიდან x წერტილთან მისაღწევად; h – ინტერპოლაციის ბიჯი.

კვადრატული ინტერპოლაციისას გამოიყენება მეორე ხარისხის პოლონომი

$$P_2(x) = y_0 + q\Delta y_0 + \frac{q(q+1)}{2} \Delta y_0^2 \quad (3.24)$$

აპროქსიმაცია ხდება სტანდარტული პროგრამების დახმარებით. ინტერპოლაციის და ექსტრემულაციის ხერხის არჩევა დამოკიდებულია მახასიათებლის სახისგან. ხარჯვითი მახასიათებლებს გააჩნია სუსტად გამოხატული არაწრფივობა, ამიტომ სავსებით მისაღებია წრფივი ინტერპოლაცია. მუშა მახასიათებლებს მ.ქ.კ.-ის ვარდნის მარცხენა და მარჯვენა ხაზებზე გააჩნიათ ფორმა, რომელიც ახლოა წრფივთან, ხოლო მაქსიმალური მ.ქ.კ.-ს ზონაში – ნათლად გამოხატული არაწრფივობა (ნახ. 3.2) ცხადია ისიც, რომ რაც უფრო მცირე იქნება ინტერპოლაციის ბიჯი, მით უფრო ზუსტად იქნება ასახული მახასიათებლები.

აპროქსიმაციის ფორმისა და h ინტერპოლაციის ბიჯის არჩევის ამოცანა ჩვეულებრივად წარმოებს ექსპერიმენტულად, რადგანაც პრაქტიკულად საინტერესოა აგრეგატების რეჟიმის ოპტიმიზაციის ეფექტი, რომელიც მ.ქ.კ.-ს პროცენტის მეათედ წილებს შეადგენს, მახასიათებლების სიზუსტე შეიძლება გატოლებული იქნას პროცენტის მეათედ წილათან, ე.ი. რიგით უფრო მაღალა ოპტიმიზაციის ეფექტზე. ასეთი სიზუსტის შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ მახასიათებლები კომპიუტერში შეტანილია ცდომილებების გარეშე.


პროცენტის მეათასედი წილით ცვლილების მიღევნება ხარჯვით მახასიათებელზე ძალიან ძნელია, ამიტომ უფრო მისაღები ამ პოზიციიდან მუშა მახასიათებლებია, ანუ მახასიათებლები ფარდობით მაჩვენებლებში.

ყველაზე მეტი ცდომილებები შეიძლება აღმოჩნდეს იმ წერტილებში, სადაც ირდვევა მახასიათებლების სიმდოვრე. ნატურული მახასიათებლებისათვის ისინი შეიძლება იყოს რამდენიმე. მაგალითად A,B,C, წერტილები ნახ. 3.3. ასეთი წერტილებს უწოდებენ მახასიათებელ წერტილებს. მახასიათებლების სიზუსტე მაღლდება იმ შემთხვევაში, თუ საკვანძო წერტილების რიცხვში შევა მახასიათებელი წერტილი.

მოგვავს ინტერპოლაციის ბიჯის ასარჩევად ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკლევების ზოგიერთი შედეგები, რომლებსაც გააჩნია ზოგადი ხასიათი. გამოკვლევებისათვის აღებული იყო მოსაბრუნებელფორთიანი, რადიალურ-დერძული და პროპელერული ტურბინების ტიპიური მახასიათებლები. სიმძლავრე მუშა მახასიათებლების ინტერპოლაციის ბიჯის ჩადგმული სიმძლავრის ერთიდან 20%-მდე მარგი ქმედების კოეფიციენტში. ცდომილება კვადრატული ინტერპოლაციისას ნომინალური სიმძლავრეების 50-60% სამუშაო ზონაში შეადგენს 0.004-0.05%. წრფივი ინტერპოლაციისას ზღვრული ცდომილებები უფრო მაღალია და შეადგენს იგივე პირობებში 0.02-0.1%. ცდომილებები მახასიათებელზე უთანაბროდ ნაწილდება. კვადრატული ინტერპოლაციისას ცდომილებები მეტია მ.ქ.პ-ს დაწევისა და აწევის შტოებზე, ხოლო წრფივი ინტერპოლაციისას – მაქსიმალური მ.ქ.პ-ს ზონაში. ინტერპოლაციის ბიჯის დასაშვები სიდიდე მჭიდროდ არის დაკავშირებული მახასიათებლის სიმრუდესთან. მოსაბრუნებელფორთიანი ტურბინების დამრეცი მახასიათებლებისათვის h ბიჯი ზოგად შემთხვევაში შეიძლება აღებული იყოს უფრო დიდი, ვიდრე რადიალურ-დერძული ტურბინების ციცაბო მახასიათებლებისათვის [7].

ჩატარებულმა გაანგარიშებების საფუძველზე აგებული იქნა სიმძლავრის მიხედვით ინტერპოლაციის ბიჯის ასარჩევი პლანშეტი (ნახ. 3.4), რის მიხედვითაც გაანგარიშებების პირველსაწყის სტადიაზე


შეიძლება არჩეული იქნას ინტერპოლაციის ბიჯი. პლანშეტი სედგენილია სხვადასხვა ტურბინების ტიპიური მუშა მახასიათებლების, რომლებსაც ერთი მახასიათებელი წერტილი აქვთ (მაქსიმალური მ.ქ.კ.-ს წერტილი) და მუდმივი ბიჯი კვადრატული ინტერპოლაციისას. პრინციპულად შეიძლება ინტერპოლაციის ცვლადი ბიჯის არჩევაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, თუ მახასიათებლებს გააჩნია რამოდენიმე დამახასიათებელი წერტილი პლანშეტი შეიცავს შემდეგ სიდიდეებს: მახასიათებლის α დახრილობის მაჩვენებელს, რომელიც განისაზღვრება როგორც ტანგენსი კუთხისა მხებთან მუშა მახასიათებლის იმ წერტილში, სადაც დახრილობა ყველაზე მეტია; $\Delta\eta_e$ – დასაშვებ აბსოლუტურ ცდომილებას; N_b – აგრეგატების ჩადგმული სიმძლავრე. განიხილებოდა მოსაბრუნებელფრთიანი, რადიალურ-დერძული, უპროპელერული და ჩამჩიანი ტურბინების მახასიათებლები [8].




ნახ. 3.2. ხარჯვითი მუშა მახასიათებლის ნიმუში.

გაანგარიშებები უჩვენებს, რომ მუშა მახასიათებლები შეიძლება მოცემული იყოს ზოგად შემთხვევაში 10–30 ცხრილური წერტილით მ.ქ.პ.-ს მიხედით 0.05% დასაშვები ზღვრული აბსოლუტური ცდომილებით.

მახასიათებლების ცხრილური და პოლიმერული ფორმით მოცემული შედარება აჩვენებს, რომ ცხრილური ფორმა უფრო ზუსტია და 1.5–2.0-ჯერ ნაკლები ცდომილება გააჩნია.



ნახ. 3.3. აგრეგატის ნატურული მუშა მახასიათებლის ნიმუში.



ნახ. 3.4. სიმძლავრითი მუშა მახასიათებლების ინტერპოლაციის
პიჯის განსაზღვრის დიაგრამა.

დასპვები

1. ელექტროენერგეტიკაში არსებული მართვის იერარქიის გათვალისწინებით, პესის რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანა პირობითად იყოფა რამდენიმე გაანგარიშების ეტაპად, დროსა და სივრცეში ურთიერთდაკავშირებული ცვლადებით: პესის ოპტიმალური გრძელვადიანი რეჟიმის გაანგარიშება; პესის მოკლევადიანი რეჟიმის გაანგარიშება; პესის ძირითადი მოწყობილობის ოპტიმალური სადგურშიგა რეჟიმის გაანგარიშება. პირველი ორი ამოცანა ზოგადსისტემურია. მესამე ამოცანის გადაწყვეტა ხდება პიდროგრეგატების მუშაობის დამყარებული ნორმალური პირობებისათვისა და გარდა იმისა, რომ აქვს თავისთავადი მნიშვნელობა, წარმოადგენს ინფორმაციულ ბაზას სხვა ამოცანებისათვის;
2. პიდროელექტროსადგურის (პესის) სადგურშიგა რეჟიმის ოპტიმიცაზია, გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს პიდროენერგორესურსების შეზღუდული და დროით რეგლამენტირებული მარაგების რაციონალურ გამოყენებას, ზოგად შემთხვევაში არეგულირებს ენერგოსისტემის დატვირთვასა და სიხშირეს, რაც დაკავშირებულია აგრეგატების მუდმივი ჩართვასა და გამორთვებთან, აგრეგატებს შორის დატვირთვების სისტემატიურ გადანაწილებასთან;
3. გეგმიური ეკონომიკიდან საბაზოზე გადასვლამ ისევე, როგორც სამეურნეო მოღვაწეობის სხვა დარგების, შეცვალა ელექტროენერგეტიკის განვითარებისა და ფუნქციონირების პირობები. კერძოდ, შეიმჩნევა ტენდეცია დეცენტრალიზაციისაკენ რეჟიმების მართვაში და ობიექტის ცალკეული მესაკუთრეების სწრაფვა ინდივიდუალური სარგებლობის მიღწევისკენ. ეს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ელექტროსადგურების, კერძოდ, პიდროელექტროსადგურების სადგურშიგა რეჟიმების ოპტიმიზაციის მეთოდების სრულყოფას თვითოვეული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით;

4. ელექტროენერგიის საერთო გამომუშავებაში ჰესებზე გამომუშავებული ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი წილის მქონე ენერგოსისტების კონომიკურად ეფექტური მუშაობისა და ენრგორესურსების ოპტიმალური გამოყენების უზრუნველყოფისათვის, აუცილებელია რეჟიმების ციკლური დაგეგმვა მათი მართვის თავისებურებების გათვალისწინებით. რეჟიმების დაგეგმვის მეთოდიკა უნდა შეიცავდეს აუცილებელ კორექტივებს ელექტროენერგეტიკაში საბაზო ურთიერთობების ხასიათის გათვალისწინებით;
5. ჰესის მუშაობის ოპტიმალური რეჟიმს მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთაგან არსებითი მნიშვნელობა გააჩნია შესაძლო ვარიანტების რაოდენობას. ელექტროენერგიის დეფიციტის პირობებში შეუძლებელია ოპტიმალური რეჟიმით მუშაობა;
6. ჰესის მუშაობის ზოგადი კანონზომიერებების და ეფექტური სადგურშიგა რეჟიმის ორგანიზების თავისებურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია არა რამოდენიმე, არამედ ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი სადგურისათვის ოპტიმალურობის კრიტერიუმის შერჩევა. აღნიშნული კრიტერიუმი შეიძლება იყოს, მაგალითად, ჰესზე ენერგიის დანაკარგების მინიმუმი, ან მ.ქ.კ.-ს მაქსიმუმი. ტოლობების ტიპის შეზღუდვებად ჩვეულებრივ მიღებული უნდა იყოს ჰესის აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეების ბალანსი, ხოლო უტოლობის ტიპის შეზღუდვებად – ჰიდროაგრეგატის ან მთლიანად ჰესის აქტიური სიმძლავრის შეზღუდვები;
7. ხანგრძლივი რეჟიმების ოპტიმიზაციას, მოკლევადიანი ოპტიმიზაციისაგან განსხვავებით, გააჩნია შემდეგი თავისებურებანი: საწყისი ინფორმაციის დიდი ცდომილება; დატვირთვის და საყოფაცხივრებო მოდინების გრაფიკის სეზონური ცვლილებების გათვალისწინების აუცილებლობა; ქვედა ბიუგის მახასიათებლების ცვლილება ზამთარში ყინულოვანი პირობების ან ზაფხულში წყალდენის მცენარეებით გაბარდვის გამო; ელექტროსადგურებზემოწყობილობის რიცხვისა

და შემადგენლობის ცვლილება რემონტის შედეგად; პიდროვენერგოდანადგარების რეჟიმის მიმართ მნიშვნელოვანი მოთხოვნები წყალსამეურნეო სისტემის მონაწილეთა მხრიდან (შეზღუდვები ზედა და ქვედა ბიეფის ნიშნულებში ნაოსნობის, სოფლის მეურნეობის, სამრეწველო და კომუნალური წყალმომარაგების პირობებით და ა.შ.) სპეციფიური მოთხოვნები არსებობს გარემოს დაცვის მხრივ. განსაკუთრებული სირთულეები შემოაქვს გაანგარიშებებში დედამიწაზე მტკნარი წყლის შეზღუდული მარაგების კომპლექსური გამოყენების აუცილებლობას, მასში მოთხოვნილების უწყვეტი ზრდის პირობებში. არანაკლებ რთულია საწყისი ინფორმაციის ალბათური და განუსაზღვრელი ხასიათის გათვალისწინებაც;

8. პესის მუშაობის ზოგადი კანონზომიერებების და ეფექტური სადგურშიგა რეჟიმის ორგანიზების თავისებურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია არა რამოდენიმე, არამედ ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი სადგურისათვის ოპტიმალურობის კრიტერიუმის შერჩევა. აღნიშნული კრიტერიუმი შეიძლება იყოს, მაგალითად, პესზე ენერგიის დანაკარგების მინიმუმი, ან მ.ქ.კ.-ს მაქსიმუმი. ტოლობების ტიპის შეზღუდვებად ჩვეულებრივ მიღებული უნდა იყოს პესის აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეების ბალანსი, ხოლო უტოლობის ტიპის შეზღუდვებად – პიდროაგრეგატის ან მთლიანად პესის აქტიური სიმძლავრის შეზღუდვები;

9. პესების ექსპლუატაციისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური პიდროვენერგეტიკული პრობლემების არსებობის გამო შეუძლებელია ამ ეტაპზე პესების დაპროექტების სტადიაზე მიღებული გადაწყვეტის მეთოდების გამოყენება ყველა რეჟიმული ამოცანისათვის;

10. მოცემული ალგორითმები, ძირითადად ემყარება პიდროაგრეგატების ენერგეტიკული მახასიათებლების ბიბლიოთეკის და ძირითადად დინამიკური პროგრამირების („დინამიკური დაგეგმვის“) მათემატიკური მეთოდის გამოყენებას. როგორც ამ უკანასკნელის გამოყენების გამოცდილება აჩვენებს,

იგი იძლევა კველაზე უფრო ზუსტ შედეგებს და შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც „ეტალონური“ მეთოდი ალგორითმების შედარებისას;

11. დინამიკური პროგრამირების მეთოდით აგებული პესის ენერგეტიკული მახასიათებლების საფუძველზე შეიძლება ზოგად შემთხვევაში განისაზღვროს აგრეგატების შემადგენლობა და სიმძლავრე ოპტიმიზაციის განსახილველი პერიოდის თითეული დროითი ინტერვალისათვის. ამასთან, შეზღუდვების კომპლექსის სრულად გათვალისწინების შეუძლებლობის გამო ალგორითმის მეორე ნაწილში ხდება პირველ ნაწილში მიღებული გადაწყვეტის კომპრომისული გზით შესწორება;

12. სიტუაციური თვალსაზრისით აგრეგატების მართვა შეიძლება განხორციელდეს სისტემის ნორმალურ, ავარიულ და ავარიის შემდგომ რეჟიმებში. აღნიშნულ სიტუაციებში ოპტიმიზაციის კრიტერიუმი სხვადასხვაა. ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში კრიტერიუმია ენერგორესურსი, ავარიულ სიტუაციებში – საიმედოობის რომელიმე მაჩვენებელი. კრიტერიუმებს შორის განსხვავება აისახება სადგურშიგა ოპტიმიზაციის ალგორითმის სტრუქტურაზე;

13. უტოლობის ტიპის შეზღუდვები რეაქტიული დატვირთვების მიხედვით ძირითადად განისაზღვრება ენერგოსისტემის რეჟიმის მდგრადობით და დამოკიდებულია მთლიანად პესზე და არა თითოეულ აგრეგატზე. დაშვებები აგრეგატის გაშვება-გაჩერების დასაშვები მაქსიმალური რიცხვის მიხედვით T პერიოდის განმავლობაში განისაზღვრება პიდროაგრეგატების მუშაობის საიმედოობის უზრუნველყოფის მოთხოვნებით;

14. ენერგეტიკული მახასიათებლების აგება და მათი დამახსოვრება მრავალრიცხვანი არითმეტიკული ოპერაციების განხორციელებით კომპიუტერის მეხსიერებაში შესაძლებელია ცხრილური ფორმით ან სხვადასხვა მაპროექტიმერებელი ფუნქციების სახით. ცხრილური ფორმა უფრო ზუსტია და მას

1.5-2.0-ჯერ ნაკლები ცდომილება გააჩნია პოლინომურ ფორმასთან შედარებით;

15. რეჟიმის ოპტიმიზაციის რთული ამოცანების რიცხვითი ამოხსნების გარდა, მიზანშეწონილია ამ ამოცანების გამარტივებული ვარიანტების ამოხსნების ქონა, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს დავადგინოთ პესების სადგუშიგა რეჟიმების ოპტიმალური მართვის ძირითადი კანონზომიერებები, რაც თავის მხრივ იძლევა რიცხვითი მეთოდებით ამოხსნების კორექტულობის კონტროლის საშუალებას.

ՃԱԹՄԱՅԵՐԱՆՔՆՈ ՀՈՒԺԱՎԱԾԱՐՈ

1. Легалов Д. Н. Методика планирования долгосрочных оптимальных режимов электроэнергетических систем с ГЭС, основанная на методе динамического программирования. Автореф. дисс. на соиск. ученой степени канд. техн. наук. Иркутск: Институт систем энергетики им. Л. А. Мелентева, 2005, 18 с.
2. Воропай Н. И. особенности формирования оптового рынка электроэнергии и мощности в России с учетом специфики ее регион /Н. И. Воропай, С. И. Паламарчук, В. М. Соболевский// Электричество. – 2000. - №2. – С. 2-9.
3. Русина А. Г. Модели прогнозирования электропотребления и мощности нагрузки электроэнергетических систем с учетом особенностей их функционирования на электроэнергетическом рынке /Т. А. Филипова, Ю. В. Дронова, Р. В. Зимин, А. Г. Русина, М. Л. Тутундаев //Научный вестник НГТУ. - 2007. - №1(26). – С. 123-130.
4. Русина А. Г. Особенности расчетов режимов электрических сетей при перспективном развитии объединенной энергосистемы /А. Г. Русина, А. Ю. Останин, Т. А. Филипова // Электрические станции, Москва: НТФ <Энергопрогресс>. – 2009 - №10, с, 28-33.
5. Филипова Т. А. Оптимизация энергетических режимов гидроагрегатов гидроэлектростанций. – М.: Энергия, 1973, 207 с.
6. Автоматизация управления энергообъединениями. под ред. С. А. Совалова. – М.: Энергия, 1979. – 422 с.
7. Веников В. А. , Журавлев В. Г. , Филипова Т. А. Оптимизация Режимов электростанций и энергосистем. М.: Энергоиздат, 1981. 464 с.
8. Вентцель Е. С. Исследование операций. М.: Наука, 1980. 207 с
9. Химмельблау Д. Прикладное программирование: Пер. с анг. М.: Мир. 1975. 534 с.

10. Александровский А. Ю., Солдаткин А. Ю., <Оценка дохода гидроэлектростанций в зависимости от дифференциации тарифа на продаваемую электроэнергию> Вестник МЭИ, №2, 2011. с.21-25.
11. Солдаткин А. Ю. Разработка методика расчета суточного режима работы гидроэлектростанций в современных условиях. Автореф. дисс. а соиск. ученой степени канд. техн. наук. Москва: Московский энергетический институт, 2011. 19 с.
12. Алябышева Т. М. Разработка методов оптимизации краткосрочных режимов работы каскадов ГЭС в объединенных энергосистемах с учетом неустановившегося движения воды в нижних бьефах. – Автореф. дисс. на соиск. ученой степени канд. техн. М.: ВНИИЭ, 1980. 17 с.
13. Александровский А. Ю., Солдаткин А. Ю., <Оценка влияния изменения условий эксплуатации на суточный режим работы ГЭС> Гидротехническое строительства №8, 2011 с. 15-19.
14. Малинин Н. К. Теоретические основы гидроэнергетики. Москва: Энергоатомиздат, 1985, 312 с.
15. Александровский А. Ю. Кнеллер М. И. и др. Гидроэнергетика. Москва: Энергоатомиздат, 1988, 512 с.
16. Цветков Е. В. и др. Оптимальные режимы гидроэлектростанций в энергетических системах. Москва: Энергоатомиздат, 1984, 304 с.
17. Мелентьев Л. А. Оптимизация развития и управления больших систем энергетики. М.: Высшая школа, 1982. 319с.
18. Метод и алгоритм оптимального планирования долгосрочных режимов ГЭС по критерию минимума расхода топлива в энергосистемах. А. П. Кузмич, Л. Г. Парfenov, А. К. Руднев и др. – Электричества 1977, №3 с. 8-14.
19. Методы оптимизации режимов энергосистем /Под ред. В. М. Горнштейна. Москва: Энергоатомиздат, 1981, 336 с.

20. Волькенау И. М., Зейлигер А. Н., Хабачев Л. Д. Экономика формирования электроэнергетических систем. М.: Энергия, 1981. 320 с.
21. Воропаев Г. В. Задачи и организация научных исследований в связи с проблемой перераспределения водных ресурсов – Водные ресурсы, 1976, №3, с. 3-12.
22. Вуколов В. А. Планирование длительных режимов ГЭС в условиях неопределенности. – Автореф. дисс. на соиск. ученой степени канд. техн. наук. М.: МЭИ, 1982. 20 с.
23. Валдма М. Х. Одноэтапные задачи оптимизации режима энергетической системы в условиях неполной информации. М.: АН СССР: Научный совет по комплексной проблеме <Кибернетика>, 1977. 60 с.
24. Мак-Кинси Дж. Введение в теорию игр. Москва: ФМ, 1960. 420 с.
25. Льюс Р. Д., Райфа Х. Игры и решения: Пер. с англ. М.: Изд-во иностр. лит., 1961. 642 с.
26. Беллман Р. Динамическое программирование. Москва: Изд-во иностр. лит., 1960. 400 с.
27. Беллман Р., Дрейфус. Прикладные задачи динамического программирования. Москва: Наука, 1965, 458 с.
28. ვ. გილასონია, პ. სამსონაშვილი. ჰიდროელექტროსადგურების მოკლევადიანი რეჟიმების გაანგარიშების საკითხისათვის . ურნალი “ენერგია” თბილისი 2(38), 2006 წ. გვ. 85-88.
29. ვ. გილასონია, პ. სამსონაშვილი. ჰიდროელექტროსადგურის სადგურშიგა რეჟიმის თანამდებობის აღგორითმი. ურნალი “ენერგია” თბილისი 3(39), 2006 წ. გვ. 73-75.
30. Киласония Дж. Н., Самсонашвили П. О. О некоторых принципах построения системы машинного конструирования. Журнал GEN, Тбилиси, №3, 2006, с. 193-195.
31. ვ. გილასონია, პ. სამსონაშვილი. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების სტატუსის ხელშემწყობი

რეკომენდაციების შემუშავება პერსპექტივაში ენერგომოთხოვნილების ზრდის გათვალისწინებით. ენერგეტიკის სექტორის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტი. ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები”. 21-22 მაისი, 2010 წ., ქუთაისი, საქართველო. მოხსენებების კრებული., გვ. 175-178.

32. Немногин С., Стесик О. Современный фортран. Санкт-петербург: <БХВ - Петербург>, 2005, 496 с.
33. Катцан Г. Язык ФОРТРАН 77. Москва: <Мир>, 1982, 208 с.
34. Грунд Ф. Программирование на языке ФОРТРАН IV. Москва: <Мир>, 1976, 183 с.
35. Демидович Б. Марон Н. Основы вычислительной математики. Москва: Наука, 1970, 664 с.